პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ № 64, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8-81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის— 1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები
საქართველოს ფორმულებზე— ტექსტის უკან — 80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებული გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ კანტორაში განცხადებები მიიღება 9 —3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სადემონსტრაციო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— ნიკარაგუაში განახლდა ბრძოლა ამერიკის ჯარებსა და ლიბერალების რაზმებს შორის.
— ზემო სილეზიის ფაბრქარხკომები მოითხოვენ 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას.
— საფრანგეთ-ამერიკის ხელშეკრულების პროექტი.
— კუნძულ კორსიკაზე ჩააქრეს ჯარისკაცთა აჯანყება.
— ლიტვაში არ შეუშვეს პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი.
— გლეხების შეტაკება პოლიციასთან ბირმაში (ინდო-ჩინეთი).

სამშაბათი, 3 იანვარი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 2 (2015)

ხვალ ა. წ. 4 იანვარს, საღამოს 6 საათზე
სახელმწიფო ოპერის შენობაში შესდგება
საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება
დღის წესრიგშია: ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება
საკავშირო კომპარტ. (ბ) მე-15 ყრილობის შედეგების შესახებ.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სოლქო კომიტეტის, საქ. კ. (ბ) ა.-კ. სოლქო საკონტ. კომისიის და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის წევრებსა და კანდიდატებს დასწრება შეუძლიათ თავიანთი მანდატებით დახარჯე ანხანაგებს კი—რაიკომში მიღებულ ბილეთებით.

ამერიკის იმპერიალიზმის ს[illegible]

ბოლო დროს ხშირად მოდის ცნობები სამეურნეო კრიზისის შესახებ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში. მრეწველობის მსხვილი დარგები ამცირებენ წარმოებას. წვრილი საწარმოო [illegible] ბევრგან კოტრდება. უმუშევრობა იზრდება. კლასთა ბრძოლა მწვავდება და გაფიცვების ტალღა ერთედ ედება ქვეყანას. ფულის ბაზარზე ფრთებს შლის სპეკულიაცია.

ყველაფერი ეს ხდება ამერიკაში, რომელიც ყველაზე უფრო მდიდარ ქვეყანას წარმოადგენს, რომელმაც კაპიტალისტური ქვეყნების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. სწორედ ამ სიმდიდრეში, ამ აყვავებაში მარხია სერიოზული საფრთხე ამერიკის კაპიტალიზმის სიმტკიცისათვის. სწორედ აქედან გამომდინარეობს მისი ეხლანდელი საერთაშორისო პოლიტიკაც.

რომ გავიგოთ ამერიკის დღევანდელი მდგომარეობა, საჭიროა ორიოდე სიტყვით მაინც შევეხოთ მის მიერ გავლილ გზას უკანასკნელ 10—15 წელში. მსოფლიო ომამდე ამერიკის მეურნეობა საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა, მაგრამ ეს განვითარება თვით ამერიკის ჩარჩოებში ეტეოდა, მისი მეურნეობის პროდუქცია ადგილობრივადვე შოულობდა ბაზარს. ძირითადი გარდატეხა ამერიკის მეურნეობაში მოხდა ომის დროს და მისი წყალობით. მან მიეცა მას სრული შესაძლებლობა გაეშალა უდიდესი საწარმოო ძალები. ევროპის ქვეყნები ერთმანეთის სისხლის მორევში იხრჩობოდენ და ხელი მათი ძალები და რესურსები მის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ იყო მიმართული. ამ გარემოებით ისარგებლა ამერიკამ, [illegible] მხრივ მეტად გააფართოვა საქონლის გასაღების ბაზრები იმ ქვეყნებში, რომელნიც მანამდე ეკონომიურად ევროპისაგან იყვნენ დამოკიდებულნი, მეორე მხრივ ის გახდა ომის ფრონტზე თავის „მოკავშირეთათვის“ საომარ მასალის, სურსათის და ნედლეულის ერთი მთავარი მიმწოდებელთაგანი. ომის გათავების პირველ წლებშიაც, როცა ევროპა განადგურებულ - გაღატაკებული იყო, ამერიკელ კაპიტალისტებმა უფრო გააფართოვეს და განამტკიცეს თავისი მონაპოვარნი.

ამნაირად, ამერიკა გახდა არაჩვეულებრივად მდიდარი ქვეყანა. მის ბანკებში მოქცეულია მსოფლიო ოქროს მარაგის ნახევარზე მეტი, მას ეკუთვნის ლითონის მსოფლიო წარმოების 60 პროც., ნავთის 72 პროც., სპილენძის 53 პროც., ნახშირის 43 პროც., მსოფლიოში არსებულ ავტომობილების ოთხი მეხუთედი და სხ.

ამ გიგანტურ ზრდის ნიადაგზე აუცილებლად უნდა წარმოშობილიყო ამერიკის მეურნეობის კრიზისი. საქმე ის არის, რომ ევროპა ომის შემდეგ წელში გასწორდა და მის მთელ რიგ ქვეყნებმა ომის წინაროინდელ ეკონომიკის დონეს მიაღწიეს, ალაგ-ალაგ კიდეც გადააცილეს მას. თვით ევროპის კაპიტალიზმისათვის ამჟამად მწვავედ სდგას გასაღების კრიზისი. ეს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მისი საწარმოო აპარატი გაცილებით მეტ საქონელს ამზადებს ვინემ საჭირო შინაურ ბაზრის დასაკმაყოფილებლად; ამასთან, ფართო მომხმარებელი მასები, რომელთა ექსპლოატაციის გზით ხდება წარმოების აღორძინება, გაღატაკებული არიან, რის გამო მათი გადახდის უნარის მქონე მოთხოვნილება სამრეწველო პროდუქციაზე საგრძნობლად შემცირებულია ომის წინა დროსთან შედარებით; მეორე, იმიტომ, რომ ომის დროს და მას შემდეგ განვითარდა ადგილობრივი მრეწველობა მთელ რიგ ისეთ ქვეყნებში, რომელნიც წინედ ევროპის სამრეწველო საგნების გასაღების ბაზარს წარმოადგენდენ.

და გასაკვირი არ არის, რომ გასაღების კრიზისმა მწვავედ იჩინა თავი ჩრდილოეთ-ამერიკის შტატებშიაც, რომლის მრეწველობა სანახევროდ ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოზე მუშაობს ომის და მის მომყოლ წლებში. ესაა კრიზისი. გამოწვეული სამრეწველო შესაძლებლობით და პროდუქციის გასაღების შეუთავსებლობით, რომელიც ახასიათებს მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოს, მათ შორის ამერიკასაც. ამავე დროს უკანასკნელის განსხვავებული მდგომარეობა ისაა, რომ მას ახრჩობს ოქროს სიჭარბე. თუმცა მას მილიარდობით დოლარები სესხის სახით დაბანდებული აქვს სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. — ის ვერ ერევა დარჩენილ უამრავ ფინანსიურ კაპიტალს, რომელიც გამოუყენებელი რჩება.

ასეთი მდგომარეობა ართულებს ეკონომიურ მდგომარეობას როგორც ამერიკის შიგნით, ისე საერთაშორისო მაშტაბით. ამერიკაში ჩვენ ვხედავთ მძაფრ კონკურენციას საქონლის გასაღების დარგში. ცალკე საწარმოო გაერთიანებანი ერთმანეთს ულმობლად ებრძვიან, უფრო სუსტი ეკონომიური ორგანიზაციები, რა თქმა უნდა, ეცემიან ბრძოლის ველზე. მაგრამ საქმე ამით როდი თავდება. ამერიკის კაპიტალი გასაღების კრიზისიდან გამოსავალს ეძებს ახალ ბაზრების დაპყრობაში და იქედან სხვა ქვეყნების განდევნაში. ის უკვე მაგრად შეიჭრა ლათინურ ამერიკაში, ხელებს იშვერს ინგლისის დომინიონებისაკენ და ეკონომიურად თანდათან ეუფლება მათ, აფართოვებს თავის პოზიციებს ჩინეთში და სხ. და აქ აშკარაა, რომ ამერიკის და ინგლისის ინტერესები სასტიკად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ამით აიხსნება საზღვაო განიარაღების კონფერენციის ჩაშლა და ორივე ქვეყნის გამალებული სამხედრო მზადება.

ამ მზადებასთან ერთად, ამერიკის კაპიტალი ცდილობს „მშვიდობიანად“ გადასჭრას გასაღების კრიზისი. თვითონ აწესებს რა მაღალ ტარიფებს უცხოეთიდან შეზიდულ საქონელზე, სხვებისაგან მოითხოვს საზღვრების გახსნას. ამ მხრივ საგულისხმოა ამერიკელ ბანკირების დეკლარაცია 1926 წ. თავისუფალ ვაჭრობის შემოღების და საერთაშორისო ვაჭრობისათვის ყოველგვარ შემზღუდავ ღონისძიებათა გაუქმების შესახებ. ეს გამოხატულებაა ამერიკის კაპიტალის სიმძლავრის; მას ყველა შანსები აქვს, რომ გაიმარჯვებს „თავისუფალ“ ვაჭრობის პირობებში და ჩაკლავს არა მარტო ადგილზე მრეწველობას ჯერ კიდევ ინდუსტრიალური მხრივ სუსტად განვითარებულ ქვეყნებში, არამედ მაღალ კაპიტალიზმის ქვეყნებშიც. ამიტომაა, რომ ამერიკელ ბანკირების დეკლარაცია მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა და ის უარყოფილ იქნა ჟენევის ეკონომიურ კონფერენციაზე.

ამერიკელმა კაპიტალისტებმა მშვენივრად იციან, რომ მათი ცდა დანარჩენ კაპიტალისტურ მსოფლიოს თავის კოლონიად გადაქცევისაკენ მედგარ წინააღმდეგობას წააწყდება, წინააღმდეგობას არა მარტო ეკონომიურს, არამედ სამხედროსაც. ამით აიხსნება, რომ, ამერიკა, როგორც ვსთქვით, მომავალ ომისათვის ემზადება. ამიტომაა, რომ კულიჯი თავის მიმართვაში კონგრესის მომავალ სესიისადმი აყენებს შეიარაღების გაძლიერების ლოზუნგს.

არ სძინავთ სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებსაც, პირველ ყოვლისა ამერიკის მთავარ მოქიშპეს ინგლისს, რა თქმა უნდა. ამერიკის საპასუხოდ ის არა ნაკლებ ემზადება. ამავე დროს ის ცდილობს ამერიკის წინააღმდეგ გააერთიანოს ლათინურ ამერიკის ქვეყნები, რომელნიც დოლარის იმპერიალიზმის სუსხს ძალზე გრძნობენ. გარდა ამისა, ჩემბერლენი ლამობს ევროპის დიდ სახელმწიფოების (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია) ბლოკის შეკვრას ამერიკის გავლენის შესასუსტებლად.

ამნაირად, გასაღების კრიზისის ნიადაგზე მოსალოდნელი და აუცილებელია ახალი შეიარაღებული შეხლა-შემოხლა. კაპიტალისტებს სამეურნეო საკითხების გადასაჭრელად ბოლოს და ბოლოს სხვა საშუალება არ გააჩნიათ, გარდა ზარბაზნების აგუგუნებისა. მათ მხოლოდ ზოგიერთი „წვრილმანი“ აიწყდებათ. — სახელდობრ ის, რომ მსოფლიო მუშათა კლასი დღეს სრულიებით არ არის ის, რაც იყო 1914 წ. რომ მათი ინტერესებისათვის სისხლი დაღვაროს. არც კოლონიებშია წინანდელი მდგომარეობა: თუ აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხები მაშინ ზარბაზნის ხორცს წარმოადგენდენ. დღეს ისინი ენერგიულად იბრძვიან იმპერიალიზმის უღლის დასამსხვრევად; ბოლოს. საბჭოთა ხელისუფლების არსებობა მსოფლიოს ერთ მეექვსედზე „რამეს“ ნიშნავს თუ არა მშრომელთა კაცობრიობის მომავალი ბედისათვის?

საარჩევნო კამპანიის ამოცანები

მთელს საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად ხდება საბჭოების გადარჩევა: საბჭოთა ხელისუფლების არჩევითი აპარატი გადახალისებასა და განახლებას განიცდის. საბჭოების გადარჩევის კამპანიამ ჩვენში უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვა, როგორც ისეთმა კამპანიამ, რომელიც პოლიტიკურად აძლიერებს ათეულ მილიონობით მშრომელებისა და მუშების. ღარიბ და საშუალო გლეხების აქტივობას

კომუნისტური პარტია. რომლის ავტორიტეტი მშრომელთა შორის სრული და უდავოა, საბჭოების გადარჩევის დროს, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის შემქმნელი და ხელმძღვანელი, მუდამ იქით მიმართავს გეზს, რომ ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასები ფართოდ ჩააბას ამ კამპანიაში, რომ საბჭოებში კვლავ განამტკიცოს მშრომელთა და მუშათა კლასის მოწინავე ავანგარდის როლი. გააძლიეროს ღარიბი გლეხობის როლი სოფლად, ლაგამი ამოსდოს კულაკს და გააღრმავოს ღარიბი გლეხებისა და პროლეტარიატის კავშირი საშუალო გლეხებთან. კომუნისტები ცდილობენ, რომ საბჭოების მუშაობაში ჩააბან მუშათა და გლეხთა მასების, მათ შორის უპარტიოებისა, უფრო და უფრო მეტი კადრები, რათა გაუმჯობესდეს სახელმწიფო აპარატი და განმტკიცდეს ამ აპარატის კავშირი მასებთან.

გარდა იმ ზოგადი, ასე ვსთქვათ, მუდმივი ამოცანებისა, რომლებიც ყოველ წლიურად ჩვენს წინაშე ისახება საბჭოთა არჩევნების მორიგი კამპანიის დროს, თვითეულს ახალ წლიწადს ამ კამპანიაში თან შემოაქვს საკუთარი თავისებურებანიც. რა მთავარი თავისებურებანი ახასიათებს ეხლანდელ წელიწადს?

ჯერ შევეხოთ კამპანიის პოლიტიკურ შინაარს. ეს არის საბჭოების პირველი გადარჩევა საბჭოთა ხელისუფლების მეორე ათწლეულში. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მასიურ კრებებზე ჯამი გაუკეთდება არა მარტო გადასარჩევ საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობას, უკანასკნელი წლის განმავლობაში. არამედ ზოგადი ჯამი გაუკეთდება აგრეთვე მათი ათი წლის არსებობასაც.

ამ ჯამის გაკეთება, თუნდაც მეტად ზოგადის სახით, განუმარტავს მშრომელ ამომრჩევლებს საბჭოთა ხელისუფლების როლსა და მნიშვნელობას და იმ უპირატესობათ და მიღწევებს, რომლებიც მოიპოვეს მუშებმა და გლეხებმა იმით, რომ ხელისუფლება საბჭოებს გადასცეს.

მაგრამ კამპანიის პოლიტიკურ შინაარს მარტო იმით ვერ შემოვფარგლავთ, რომ წარსულს ჯამი გაუკეთოთ; მშრომელთა ფართო მასებმა უნდა იცოდნენ ის გეგმები და პერსპექტივები, რომლებიც მიღებული აქვს საბჭოთა ხელისუფლებას მომავალ მუშაობისათვის.

ამ მხრით მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ლოზუნგებისა და დირექტივების პოპულიარიზაციასა და გავრცელებას მასებში, რომლებიც საკავშირო კომპარტიის ყრილობამ მოგვცა, იმ პარტიის ყრილობამ, რომელიც საბჭოთა კავშირში საბჭოების ხელისუფლებას ხელმძღვანელობს.

როგორც ქალაქად, ისე სოფლად მშრომელთა მასიურ კრებებზე საბჭოების გადარჩევის დროს ყველა ამომრჩეველს უნდა გავაცნოთ და განვიხილოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პრაქტიკა, მთელ ჩვენს მეურნეობაში ეკონომიის გატარების მეთოდები, სამრეწველო საქონლის ფასის დაწევა, აპარატების შეკვეცა, სახელმწიფო სესხის ჩატარება მოსახლეობაში, მუშათა კადრების კულტუროსნობის ამაღლება და მასების ჩაბმა სოციალისტური მრეწველობის მშენებლობის საქმეში. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ახალი ამოცანები, რომლებსაც პარტია სოფლად უსახავს საბჭოთა ხელისუფლებას და გლეხობას; ეს ახალი ამოცანებია გეზის დაჭერა იქით, რომ გაძლიერდეს გლეხთა მეურნეობის კოლექტივიზაციის და განსაზოგადოების პროცესები, გაიზარდოს მსხვილი კოლექტიური მიწათმოქმედება, გაძლიერდეს მეურნეობის სოციალისტური ელემენტები, შეტევა ქალაქისა და სოფლის კაპიტალიზმის წინააღმდეგ. საჭიროა, რომ მასას სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება ისეთ ამოცანად დაუსახოთ, რომელიც ერთ-ერთ უსაჭიროეს ამოცანას წარმოადგენს და რომელიც ამავე დროს აუცილებლად შეიძლება თანდათანობით გადავჭრათ მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობით, როგორც ეს უკვე დაგვანახვა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის პირველმა ცდამ.

მაგრამ საარჩევნო კამპანიის თავისებურებანი მარტო ამ ზოგად პოლიტიკურ შინაარსში არ უნდა იყოს მოქცეული. ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა ზრდასა და გართულებას სამეურნეო და კულტურული ცხოვრებისა ყოველ დარგში და განსაკუთრებულის ძალით უნდა დავსვათ საკითხი იმის შესახებ, რომ პოლიტიკურად და ორგანიზაციულად ჩვენი გავლენის ქვეშ მოვაქციოთ არა მარტო მშრომელი მასის მოწინავე ფენები, არამედ ყველა ის ფენები, კერძოდ, მშრომელი მასის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ფენები, რომლებიც ჩვენ დღევანდლამდე ახალი ცხოვრების მშენებლობის საქმეში არ ჩაგვირევია. ასეთი ფენები ჯერჯერობით ქალაქადაც არიან ყველაზე უფრო ჩამორჩენილ წარმოებაში, პროფესიებში და მუშა ქალთა შორის, მაგრამ უფრო მეტია სოფლად. „მივარდნილ კუთხეებში“, სადაც ღარიბი გლეხობა ჯერ კიდევ საკმაოდ არ „დაძრულა“ პოლიტიკურ აქტივობისათვის, ხოლო საშუალო გლეხი საკმაოდ არ ჩაბმულა საბჭოთა მუშაობაში და არ დაინტერესებულა ამ მუშაობით.

სოფლელი ქალი—ღარიბი და საშუალო შეძლების ქალი აუცილებლად უფრო ფართოდ უნდა იქნას ჩაბმული საბჭოების გადარჩევის საქმეში, ვიდრე წარსულ კამპანიებში, როცა მხოლოდ პირველი ნაბიჯი გადაიდგა ამ მხრივ.

პარტიის განსაკუთრებული ყურადღება მიქცეულ უნდა იქნას საბჭოების გადარჩევაზე იმ ეროვნებათა რესპუბლიკებში, რომელნიც მეფის ძველ რეჟიმის სიბნელეში და მონობაში ჰყავდა საუკუნოებით, სადაც მშრომელი ქალი მონობის ნამდვილი სიმბოლოა („აღმოსავლეთის მონა-ქალი“) და სადაც მშრომელები საერთოდ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გამოფხიზლდენ და დადგენ კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების გზაზე.

სპეციფიური ამოცანა სოფლად მომავალ კამპანიაში უნდა იყოს: ჩვენ უნდა მივაღწიოთ მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა უდიდეს პოლიტიკურ აქტიობას, უნდა დავრაზმოთ ისინი კულაკების წინააღმდეგ შეტევის წარმოებისათვის და ამასთანავე ღარიბთა ორგანიზაციებსა და საშუალო გლეხთა მასებს შორის უნდა დავამყაროთ ისეთი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს პროლეტარიატისა და ნახევარ პროლეტარიატის ჰეგემონიის (ხელმძღვანელობის) ზრდას ერთის მხრით და საშუალო გლეხობის საბჭოთა აქტიობის ზრდას მეორეს მხრით. მხოლოდ ასეთი სწორი ურთიერთობის დამყარებით შეიძლება უზრუნველვყოთ სოფლის შემდგომი შეუჩერებელი პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ზრდა და იმ წინასწარი პირობების განმტკიცება, რომელნიც საჭიროა სოციალისტური ელემენტების ზრდისათვის სოფლად.

რასაკვირველია, მხოლოდ ამით არ ამოიწურება მრავალი საარჩევნო კამპანიის თავისებურებანი. კერძოდ სამეურნეო და კულტურული ამოცანების სირთულე, რომლის შესახებაც ზემოდ ვილაპარაკეთ, გვაიძულებს კიდევ უფრო მეტად ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ყოველმა პარტიულმა ორგანიზაცია ფხიზლად და დეტალურად უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვაგვარი ადგილობრივი თავისებური პირობები საბჭოთა კავშირის, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში, სადაც გადარჩევა ხდება. განსაკუთრებით გამოყენებულ უნდა იქნას მასების საქმიანი ინიციატივა ადგილობრივი მშენებლობის დარგში სხვადასხვა ღონისძიებათა მიღების დროს.

მხოლოდ ეს მისცემს პარტიას საშუალებას უფრო მოქნილად და მოხერხებულად დაუახლოვდეს მშრომელთა მასებს და გამონახოს მათ სიღრმეში ახალი და ახალი აქტიური ძალები ცხოვრების მშენებლობაში, სოციალიზმის მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად.

ამასთანავე საქმიანი თვითკრიტიკა ყოველთვის უნდა იყოს საბჭოების გადარჩევის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი. მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია ნამდვილი ბრძოლა, სახელმწიფო აპარატის ნაკლულოვანებათა აღმოფხვრა და საბჭოების გაწმენდა ცუდი მუშაკებისა ან უვარგისი ელემენტებისაგან. უპარტიო მუშათა, მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა მოწინავე ფენების აქტიობა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 10 წლის განმავლობაში იმდენად გაიზარდა და იმდენად დიდი გამოცდილება შეითვისეს ამ მოწინავე ფენებმა მშენებლობის დარგში, რომ ეს საქმიანი თვითკრიტიკა არა ჩვეულებრივად სასარგებლოა საბჭოთა ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელთათვის. საბჭოთა ხელისუფლებისა და ჩვენი პარტიის ავტორიტეტი საბჭოთა კავშირის მშრომელებს შორის იმდენად დიდია, რომ, თუმცა არსებობს საფრთხე ამ კრიტიკის ბოროტად გამოყენებისა კულაკურ-ნეპმანური ელემენტების მხრივ, მაგრამ ეს საფრთხე საერთოდ უმნიშვნელოა.

ჩვენ ეჭვი არ შეგვდის, რომ საბჭოები, სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მებრძოლი შემოქმედებითი ორგანოები, კიდევ უფრო მეტად გამტკიცდებიან მორიგი არჩევნების შემდეგ.

„პრავდა“. 2 იანვარი.

ინგლისის მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირის შესახებ
ეკონომიური კრიზისი ამერიკაში
რეაქციის ლიკვიდაცია მექსიკაში.—ამერიკის პრესის კამპანია მექსიკის წინააღმდეგ
ჩეხო-სლოვაკიის რეფორმისტებმა ჩაშალეს ჩეხო-სლოვაკიის პროფკავშირების კონფერენცია

ინგლისის მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირის შესახებ

ლონდონი, 1 იანვარი. გამოქვეყნებულია ინგლისის იმ მუშათა დელეგაციის ანგარიში, რომელიც დაესწრო ოქტომბრის ზეიმს. დელეგაციის ანგარიში **ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის სამეურნეო მშენებლობის სწრაფ ტემპს მოსახლეობის, კერძოთ-კი გლეხობის საერთო კეთილდღეობას და ნაციონალური თავისუფლების პრინციპის განხორციელებას**; ანგარიში ეხება აგრეთვე შრომის დაცვის კანონმდებლობას და ქალების და ბავშვების დასაცავ ზომებს იმ ღონისძიებათა სისტემაში, რომელიც მიზნად ისახავს წარმოებებში შრომის საუკეთესო პირობების უზრუნველყოფას. ამასთანავე დელეგაცია დაწვრილებით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის კულტურულ მუშაობის და საბჭოთა ხელისუფლების სასკოლო პოლიტიკას.

კრიზისი ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 1 იანვარი. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების პოლიტიკურ მოღვაწეთა და ხელმძღვანელ სამრეწველო წრეების საახალწლო სურვილები შედგენილია ჩვეულებრივ ოპტიმისტურ გამოთქმებით. მაგრამ ამ სურვილების ავტორები მაინც ვერ ახერხებენ **უარჰყონ სამრეწველო დეპრესიის და სასოფლო-სამეურნეო კრიზისის ზრდა უკანასკნელ თვეებში**. და მხოლოდ იმედს გამოსთქვამენ, რომ ახალი წელი გამოაცოცხლებს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების ეკონომიკას. დამახასიათებელია, რომ თავის საახალწლო სურვილების გამოთქმაში პრეზიდენტი **კულიჯი** ძლიერ თავშეკავებული იყო და უარი სთქვა მოეცა რაიმე პროგნოზი მომავალ 1928 წლისათვის. **მმართველ წრეების აგიტაცია მრეწველობის აყვავების ლოზუნგით სრულებით არ შეეფერება კონკრეტულ სინამდვილეს. მრეწველობის უდიდესი დარგები, მათ შორის ლითონისა, განიცდის სერიოზულ დეპრესიას. უმუშევრობა შეუწყვეტლივ იზრდება. ქვანახშირის მაღაროებში არ სწყდება გაფიცვები, რომელთა ხასიათი მოგვაგონებს აშკარა ომს. საფეიქრო მრეწველობა ამოკლებს წარმოებას და ამცირებს სამუშაო ხელფასს. საერთო დეპრესიის გამო ეცემა აგრეთვე სარკინიგზო ტრანსპორტის შემოსავალი. კრედიტი ისეთ ძლიერ ხელმისაწვდომია. ფულს იძლევიან ძლიერ დაბალ პროცენტით, რაც ხელს უწყობს სპეკულიაციას ბირჟაზე. ბირჟის წრეებში მოელიან მნიშვნელოვან ამბებს. ფიქრობენ, რომ ბევრი აქციების პატრონნი თავს იკავებენ ქაღალდების გაყიდვიდან, რომ არ გაადიდონ თავის 1927 წლის საერთო შემოსავლის ჯამი და ამით არ გამოიწვიონ გადასახადების გადიდება, ახალ წლის შემდეგ კი ისინი ერთბაშად გამოუშვებენ ბაზარზე აქციების დიდ რაოდენობას, რასაც შეუძლია გამოიწვიოს ფასიან ქაღალდების ძლიერი დაცემა და საბირჟო კატასტროფა.** მორგანის დანიშვნას ფოლადის ტრესტის დირექტორად [illegible], რომლის მიზანია დაიცვას ფოლადის აქციების კურსი და ამით დაეხმაროს მრეწველობის ბევრ დარგებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ფოლადის მრეწველობასთან და ამ უკანასკნელის დეპრესია ცუდ გავლენას ახდენს მათზე. სხვათაშორის კი მორგანის დანიშვნა წმინდა ნომინალურია და არ ამყარებს იმაზე მეტ კავშირს მორგანსა და „სტილ-კორპორეშენს“ შორის, რომელიც უკვე დიდი ხანია მკვიდრად არსებობს. თავის დანიშვნისთანავე „სტილ კორპორეშენის“ დირექტორად, მორგანმა მისცა პრესის წარმომადგენლებს ინტერვიუ, რომელშიაც განაცხადა:

—მე ვარ უზე დივიდენდების მომხრე“. მორგანი თავის თვალსაზრისს ასაბუთებდა იმით, რომ საჭიროა წავახალისოთ აქციების მფლობელნი და თავი შევაკავებინოთ მათ თავის ქაღალდების გაყიდვიდან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საავტომობილო მრეწველობის მდგომარეობა. ამ მრეწველობაში ადგილი აქვს ძლიერ კონკურენციას და შინაგან ბრძოლას. უახლოეს დროში ტრესტი „ჯენერალ მოტორს“ უშვებს იაფ მანქანების რამოდენიმე ახალ მოდელს, რომლების სპეციალურ დანიშნულებას შეადგენს კონკურენციის გაწევა ფორდისათვის. ამ კონკურენციასთან დაკავშირებით მოსალოდნელია ავტომობილების ფასების ძლიერი დაცემა. უკანასკნელი წლის განმავლობაში ფორდმა დროებით შეაჩერა წარმოება. ამჟამად როგორც ფორდი, ისე „ჯენერალ მოტორს“-იც იმუქრებიან წარმოების ინტენსიური გაძლიერებით, რაც აუცილებლად გამოიწვევს ზედმეტ წარმოებას. აგრეთვე გრძელდება წვრილ წარმოებათა შთანთქმა მსხვილ კომბინატების მიერ. გაკოტრდა ბევრი წვრილი ვაჭარი, ეკონომიკაში მომხდარმა ყველა ამ გარდატეხებმა ჯერ ვერ ჰპოვეს რაიმე ფართო პოლიტიკური გამოხატულება გარდა იმისა, რომ შეიქმნა ოპოზიციონური ჯგუფები, რომლებიც ბლოკში შედიან სოფლის მეურნეობის წარმომადგენლებთან ძველი პარტიების შიგნით. მიუხედავად საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოვებისა, მოძრაობა მესამე პარტიის შექმნის სასარგებლოდ ვერ ღებულობს რაიმე სერიოზულ მნიშვნელობას. ლაფოლეტის ყოფილი მომხრეები, ლიბერალურ წვრილ ბურჟუაზიის, რეფორმისტულ პროფბიუროკრატიას, სოციალისტურ პარტიას და სხვა ამგვარ ელემენტებს გული გაუტყდათ მესამე პარტიის შექმნის შესაძლებლობაში. ბევრი მიემხრო ძველ პარტიებს, დანარჩენნი კი შეუკავშირებელნი დარჩენ. **რაც შეეხება, კერძოდ, ამერიკის შრომის ფედერაციას, ის სრულებით [illegible]ბულია იმის ფიქრს, რომ თავი გაართვას მომავალ კრიზისს. ფედერაციის თავმჯდომარე გრინმა გამოაქვეყნა „საახალწლო მილოცვები მწარმოებლებისა და საზოგადოებების მიმართ“. ამ მილოცვებში ის იძლევა წინადადებას შრომისა და კაპიტალის თანამშრომლობის შესახებ და მოუწოდებს სხვათაშორის მწარმოებლებს, რათა მათ შესწყვიტონ მუშების წინააღმდეგ მიმართული ზომები. და შეურიგდენ პროფბიუროკრატიას. ერთად ერთი ჯგუფი, რომელიც აყენებს შეტევის პროგრამას როგორც პოლიტიკის დარგში, ისე ეკონომიკის დარგში,—ეს არის უორკერს პარტი (ადს).**

მთავრობის კრიზისი ლატვიაში

კაბინეტი ჯერ არ შემდგარა.

რიგა, 1 იანვარი. გერმანული ფრაქციის ლიდერმა **შიმანმა** უარი განაცხადა კაბინეტის შედგენაზე, რადგან მისი ცდა შეედგინა მთავრობა, უშედეგოთ დამთავრდა. კაბინეტის შედგენა დაევალა მენშევიკ **გოლცმანს**.

რა აშინებს კულაკებს

რიგა, 1 იანვარი. გლეხთა კავშირის ორგანო „ბრივა-ზემე“, დაბეჯითებით მოითხოვს ბურჟუაზიული მთავრობის შედგენას, რადგან სკუენეკის კაბინეტმა, მისი აზრით, „ლატვია გადააქცია საშიშ ცალმხრივ იარაღათ, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირთან მთლიანი ფრონტის დამყარებისაკენ“.

გაზეთი ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების მომენტიდან „ლატვიის საგარეო პოლიტიკა მიმართულია ბოლშევიკურ რუსეთთან დაახლოებისაკენ“.

მდგომარეობა ჩინეთში

კომუნისტების დაპატიმრება.

შანხაი, 1 იანვარი. ხანიანში მიტინგის დროს 28 დეკემბერს დააპატიმრეს 50 კომუნისტი. დაპატიმრებულთა შორის ბევრია ქალები. (ადს)

ხუან-სია-სიუნის ჯარები კანტონში.

ტოკიო, 1 იანვარი. მიღებული ცნობების მიხედვით, კანტონში შევიდა ჯარები გენერალ **ხუან-სია-სიუნის** მეთაურობით. ცენტრალურმა ბანკმა შესწყვიტა ოპერაციები, რადგან ბანკის მთელი რეზერვი გაიტაცეს ხუან-ცზინ-სიანის ჯარებმა, რომლებმაც დაიხიეს ტუნ-შანის მიმართულებით. (ადს).

ფინ-იუი-სიანის წინსვლა.

შანხაი, 1 იანვარი. ნანკინის მთავრობის ოფიციალური სააგენტო იტყობინება, რომ 28 დეკემბერს **ფინ-იუი-სიანის ჯარებმა აიღეს ენჩჟოუფუ**, რომელიც მდებარეობს შანდუნის პროვინციაში ტიან-ძინ პუკოუს რკინის გზაზე. **ჩან-ძო-ლინის ჯარები მოულოდნელათ გადავიდენ სამხრეთის არმიის მხარეზე.** (ადს).

ჩოჯოუ ჯერ არ ჩაუბარებიათ.

პეკინი, 1 იანვარი. ჩოჯოუ ფაქტიურად ჯერ კიდევ არ გადაუციათ მუკდენელთა ჯარებისათვის. როგორც ფიქრობენ, მუკდენელებმა ქალაქის კომენდანტს ფუ ცზოის წარუდგინეს ზოგიერთი მისთვის არახელსაყრელი პირობები, რის გამოც შეჩერებულია ქალაქის გადაცემა (ადს).

სამხრეთ-ამერიკა—საბჭოთა კავშირის სავაჭრო საზოგადოება

ნიუ-იორკი, 1 იანვარი. **არგენტინის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ალვეარმა დაამტკიცა კანონი სამხრეთ ამერიკა—საბჭოთა კავშირის სავაჭრო სააქციო საზოგადოების დაარსების შესახებ. საზოგადოების თავმჯდომარეა კრაევსკი. საზოგადოების მიზანს შეადგენს ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირის და სამხრეთ-ამერიკის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას**

პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობა

პოლონელი კორესპონდენტი არ შეუშვეს ლიტვაში.

ვარშავა, 1 იანვარი. პოლონეთის ოფიციალური დეპეშათა სააგენტო იტყობინება, რომ სააგენტოს კორესპონდენტი, რომელსაც ლიტვის პრემიერ ვოლდემარასისაგან მიცემული ჰქონდა ვიზა ლიტვაში შესასვლელათ. 31 დეკემბერს ჩავიდა პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე. **მიუხედავად იმისა, რომ მას შესრულებული ჰქონდა ყველა საჭირო ფორმალობა, ლიტვის სანაპირო საგუშაგომ კოვნოდან მიღებული ინსტრუქციების თანახმად ის არ შეუშვა ლიტვის ტერიტორიაზე.**

ისევ ძველი ზღაპარი

პარიზი, 1 იანვარი. „ტანი“ ჯამს უკეთებს 1927 წელს საერთაშორისო ურთიერთობის დარგში და სწერს, რომ შეიარაღების შეზღუდვას ხელს უშლის „საბჭოთა რუსეთის არსებობა“. შემდეგ გაზეთი აცხადებს: რადგან საბჭოთა მთავრობამ „ხელი არ აიღო მსოფლიო რევოლიუციის მავნე იდეაზე“, ამიტომ „ამ საფრთხის წინააღმდეგ უნდა გაერთიანდეს ყველა კეთილად მოაზროვნე ადამიანი“ (ადს)..

ელზასელი ავტონომისტების დაპატიმრება

პარიზი, 1 იანვარი. „პტი-პარიზიენი“ ამტკიცებს: ელზასელი ავტონომისტების დაპატიმრების მიზეზი ის იყო, რომ ერთი ჩხრეკის დროს აღმოჩნდა ისეთი დოკუმენტი, საიდანაც სჩანს, რომ, ვითომდა ავტონომისტები ელზაში აპირებდნენ საკუთარი სამხედრო ორგანიზაციის შექმნას. (ადს).

შეტევა პოლონელ მეშახტეთა ხელფასზე

ზემო-სილეზიის საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტები მოითხოვენ 8 საათის სამუშაო დღეს

ვარშავა, 1 იანვარი. ზემო-სილეზიის ფაბქარხკომების ყრილობამ განიხილა რა მთავრობის პროექტი ზემო-სილეზიის მრეწველობაში, 8 საათის სამუშაო დღის ნაწილობრივი შემოღების შესახებ, მიიღო რეზოლუცია, რომელშიც **გმობს მთავრობის პროექტს და კატეგორიულათ მოითხოვს იანვრის რიცხვებიდან ზემო-სილეზიის ყველა წარმოებებში 8 საათის სამუშაო დღის მთლიანათ გატარებას.** (ადს).

ვერ შეთანხმდენ.

ვარშავა, 1 იანვარი. 30 დეკემბერს შესდგა დომბროვის რაიონის ნახშირის მრეწველობის მეპატრონეთა პროფკავშირის წარმომადგენლების გაერთიანებული თათბირი. **ნახშირის მრეწველობის მეპატრონეებმა მოითხოვეს მუშათა სხვადასხვა კატეგორიების ხელფასის შემცირება 5 პროცენტიდან 11 პროცენტამდე.** პროფკავშირის წარმომადგენლებმა წამოაყენეს შემდეგი მოთხოვნილება: 8 საათის სამუშაო დღის აღდგენა, დომბროვის სამთო მრეწველობაში, ხელფასის გადიდება 10 პროცენტიდან 15 პროცენტამდე და საშვებულებო კანონის შესრულება. თათბირმა ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია. (ადს).

საფრანგეთ-ამერიკის ხელშეკრულება

ვაშინგტონი. 1 იანვარი. ხმების მიხედვით, გარეშე საქმეთა მინისტრმა კელოგმა საფრანგეთის ელჩს ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასცა საფრანგეთ-ამერიკის ხელშეკრულობის პროექტი, რომლის მიხედვით ყველა სადავო საკითხები არბიტრაჟის გზით უნდა გადაწყდეს. პროექტის თანახმად, სავალდებულო არბიტრაჟს **არ** ექვემდებარება მხოლოდ **ის სადავო** საკითხები, რომელნიც შეეხება **ერთ-ერთი** შემთანხმებელი მხარის შინაურ პოლიტიკას, რომელიმე მესამე სახელმწიფოს ინტერესებს ან მონროეს დოქტრინის გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს (ადს).

კომუნისტების გამოსვლა პარიზის მუნიციპალიტეტში

პარიზი, 1 იანვარი. პარიზის მუნიციპალიტეტში, 1928 წლის ბიუჯეტის განხილვის დროს, კომუნისტებმა წინადადება შეიტანეს, რომ თანამდებობაზე დაებრუნებიათ საზოგადოებრივი მზრუნველობის განყოფილების თანამშრომელნი, რომელნიც დათხოვნილ იქნენ იმის გამო, რომ მათ 1927 წლის აგვისტოში მონაწილეობა მიიღეს საკოსა და ვანცეტის დასაცავად გამართულ დემონსტრაციებში; კომუნისტებმა პროტესტი განაცხადეს აგრეთვე პოლიციის შესანახად გადადებული თანხების 15 მილიონი ფრანკით გადიდების წინააღმდეგ და თანაც მკაცრად გააკრიტიკეს პოლიციის მოქმედება საკოსა და ვანცეტის დასაცავად გამართული დემონსტრაციების დროს. მუნიციპალური სამმართველოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დათხოვნილებს შეუძლიათ შემოიტანონ თხოვნა სამსახურში უკან მიღების შესახებ. პოლიციის მოქმედების კრიტიკის საპასუხოთ გამოვიდა პოლიციის პრეფექტი შიაპი; მან განაცხადა, რომ სრულიად ეთანხმება პოლიციას იმ მოქმედებაში, რომელსაც კომუნისტები უწუნებენ (ადს).

ვაიან-კუტიურიეს საჩივარი

პარიზი, 1 იანვარი. საკასაციო სასამართლომ უარყო ვაიან-კუტიურიეს საჩივარი სასამართლოს იმ დადგენილების შესახებ, რომლის თანახმად მას მიესაჯა 3 თვის ციხე იმისათვის, რომ „მუსოლინზე თავდასხმის შესახებ გამოქვეყნებულ წერილში, აქებდა მკვლელობას“. (ადს).

ბრძოლა ნიკარაგუაში

ნიუ-იორკი, 1 იანვარი. ნიკარაგუაში კვლავ მოხდა შეტაკება ჩრდილო-ამერიკის შეერთ. შტატების ჯარებსა და ლიბერალების ჯარების რაზმს შორის. **ჩრდილო-ამერიკის შეერთ. შტატების ჯარებიდან მოკლულია 5 კაცი, დაჭრილია 23 კაცი.** ლიბერალების ჯარების დანაკლისი გამოურკვეველია (ადს).

მღელვარება კუნძულ კორსიკაზე

პარიზი, 1 იანვარი. მღელვარება კუნძულ კორსიკაზე დაბანაკებულ დისციპლინარულ ბათალიონში ჩააქრეს. იმ კამერის კარები, სადაც იმყოფებოდენ აჯანყებულები, შეამტვრიეს 10 აჯანყებული, რომლებიც ცნობილი იქნენ მეთაურებათ, გადაიყვანეს ცალკე კამერებში, დანარჩენები კი ჩასვეს ციხეში.

„იუმანიტეს“ ცნობით „სამხედრო სამინისტროს განზრახული აქვს სერიოზულ რეპრესიებს მიმართოს აჯანყებულების წინააღმდეგ. „იუმანიტე“ აღნიშნავს, რომ **აჯანყების მიზეზი იყო ცუდი საჭმელი, უმთავრესად-კი ცუდი მოპყრობა.** (ადს).

გლეხების შეტაკება პოლიციასთან

ლონდონი, 1 იანვარი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ბირმაში (ინდო ჩინეთი), პაუნგდეს მახლობლად, **გლეხები თავს დაესხენ პოლიციის რაზმს და მძიმედ დასჭრეს რაზმის მეთაური ოფიცერი. პოლიციამ გლეხებს აუტეხა სროლა.** სროლის დროს მოკლულ იქნა 2 გლეხი, დაიჭრა ხუთი. სააგენტოს სიტყვით, გლეხების თავდასხმა პოლიციაზე დაკავშირებულია იმ მოძრაობასთან, რომელიც ამას წინედ დაიწყო სულობრივი გადასახადის წინააღმდეგ (ადს).

რეფორმისტების მორიგი ღალატი

პრაღა, 1 იანვარი. რეფორმისტული პროფკავშირების ბელადებმა ჩაშალეს ჩეხო-სლოვაკიის პროფკავშირთა გაერთიანებული კონფერენცია, რომელსაც უნდა განეხილა საკითხი სოციალური დაზღვევის არსებული სისტემის გაუქმების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. რეფორმისტებმა კონფერენციაში მონაწილეობის პირობად წამოაყენეს ისეთი მოთხოვნილებანი, რომელნიც აშკარად მიუღებელია საერთო-ეროვნული პროფესიონალურ პროფკავშირისათვის (ჩეხო-სლოვაკიის რევოლიუციონური პროფკავშირთა გაერთიანება). **გარდა** ამისა, რეფორმისტებმა გადაჭრით უარი განაცხადეს იმაზე, რომ მოწვეულ იქნას ფაბქარხკომებისა და სოციალურ დაზღვევის დამცველი კომიტეტების ყრილობა (ადს).

ამერიკა-მექსიკის ურთიერთობა

მექსიკო, 1 იანვარი. პრესის წარმომადგენელთა საახალწლო მიღების დროს პრეზიდენტმა **კაიესმა** განაცხადა, რომ რეაქციონური მოძრაობის ლიკვიდაცია მოხდა ყველგან, მხოლოდ მიკოაკანის და ხალკოს შტატებში დარჩა აჯანყებულთა მცირე რიცხოვანი ჯგუფები (ადს).

ნიუ-იორკი, 1 იანვარი. ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების პრესის ნაწილი კვლავ იწყებს კამპანიას მექსიკის იმ კანონმდებლობის წინააღმდეგ, რომელიც შეეხება მადნებს; ეს პრესა აცხადებს, კაიესის შესწორებანი არ არის ჩრდილო-ამერიკის შეერთ. შტატების გამარჯვება და რომ შეუძლებელია ამ შესწორებით დაკმაყოფილება.

გაზეთების ტრესტის (ხერსტის) პრესაც კვლავ განაგრძობს კამპანიას მექსიკის წინააღმდეგ. ეს კამპანია ალბად ამით აიხსნება, რომ ხერსტს აუარებელი ადგილ-მამული აქვს მექსიკაში, რომელნიც კაიესის შესწორებით არ თავისუფლდება ნაციონალიზაციისაგან.

გერმანიის ვალები

ვაშინგტონი, 1 იანვარი. სარეპარაციო აგენტ გილბერტს საუბარი ჰქონდა ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების ფინანსთა მინისტრ მელონთან—დაუესის გეგმის შესახებ. გილბერტი დაბეჯითებით მოითხოვდა გერმანიის სარეპარაციო გადასახადების საერთო ჯამის მტკიცედ განსაზღვრას და უცხოეთის ფინანსიური კონტროლის მოხსნას გერმანიაზე (ადს).

მჭედავთა გამარჯვება

პარიზი, 1 იანვარი. მჭედავთა გაფიცვა ლიმოჟში, რომელიც დაიწყო 12 დეკემბერს ერთიანი ფრონტის განხორციელების წყალობით, დასრულდა მუშების ნაწილობრივი გამარჯვებით. მიღწეულია შეთანხმება, რომლის თანახმად მამაკაცების ხელფასი დიდდება 2 ფრანკით, ქალების კი— 1 ფრ. და 25 სანტიმით. (ადს).

დიდი ხანძარი ოსლოში

ოსლო, 1 იანვარი. ოსლოში მანქანების ფაბრიკაში გაჩნდა ხანძარი, რომლის დროს დაინგრა სახელოსნოს ორი დიდი შენობა. მრავალი ძვირფასი მანქანები განადგურებულია. ხანძრით მიყენებული ზარალი უდრის 3 მილიონ კრონს.

აფეთქება ქარხანაში

ლონდონი, 1 იანვარი. ბრიუსელიდან მიღებული ცნობებით, ლანეკენში, ტონგრის მახლობლად, აფეთქება მოხდა თოფის წამლის ქარხანაში. 9 მომუშავე კაციდან 5 დაიღუპა; მათი გვამები ნანგრევებიდან ამოიღეს. დანარჩენი მუშებისა და ბედი გამოურკვეველია, ჰფიქრობენ, რომ ისინიც დაიღუპნენ.

სხვა და სხვა

წვიმები მაროკოში

პარიზი, 1 იანვარი. მაროკოში კვლავ კოკისპირული წვიმებია, რისგანაც ნათესები ძლიერ დაზარალდა. რაბატიდან მიღებული ცნობების მიხედვით, ბურავის მიდამოები წალეკილია. მცხოვრებნი თავშესაფარს ხეებზე ეძებენ (ადს).

მატარებლების დაჯახება

ლონდონი, 1 იანვარი. ჩიკაგოდან იუწყებიან, რომ სამი მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა; დაიჭრა 25 მგზავრი. გაჩერებულ მატარებელს დაეჯახა მეორე გაქანებული მატარებელი მეორე მატარებელს კი მესამე (ადს).

ლინდბერგი სალვადორში

ნიუ-იორკი, 1 იანვარი. ლინდბერგი, რომელიც განაგრძობს გადაფრენას ცენტრალურ ამერიკაში, ბელიზედან (ინგლისის გონდურასი) გადაფრინდა და დაეშვა სალვადორში (ადს).

500 გაყინული პეკინში

პეკინი, 1 იანვარი. პეკინის პოლიციის ცნობებით, დეკემბრის განმავლობაში პეკინის ქუჩებში გაიყვანა 500 კაცი, რომელთაც თავშესაფარი არ ჰქონდათ (ადს).

რომის სასახლის ნანგრევები

ბერლინი, 1 იანვარი. რომიდან იუწყებიან, რომ ძველი ყაზარმების დანგრევის დროს აღმოჩენილია რომის დიდ სასახლის ნანგრევები (ადს).

გემების დაჯახება მარმარილოს ზღვაში

ანგორა, 28 დეკემბერი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„სამოსამართლო ხელისუფლება განაგრძობს გამოძიებას გემ „სევინჯ“-ის და „მარმარა“-ს დაჯახების შესახებ მარმარილოს ზღვაში. გემ „სევინჯ“-ის პატრონმა გასაჩივრა კომპანია „სერი-სეფაინის“ განცხადება, რომელიც პასუხისმგებლობას დაჯახებისათვის აკისრებს „სევინჯ“-ს ორივე გემის კაპიტანი დაპატიმრებულია. გემი „მარმარა“ შეიძლება შეკეთდეს 15 დღეში. (ადს).

ძვირფასი გამოგონება

კიევი, 29 დეკემბერი. მასწავლებელმა ბოლშევსკიმ გამოიგონა ახალი საფეიქრო დაზგა, რომელიც მნიშვნელოვნად ადიდებს წარმოებას. ახალ გამოგონების დიდ მნიშვნელობას წარმოადგენს მისი სრული უხმაურობა, რასაც დღემდე საზღვარგარეთაც ვერ აღწევდენ, მიუხედავათ გამოცხადებულ პრემიებისა. ამ გამოგონების განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს „მთავტექსტილი“.

დეპეშების გაგრ. იხ. მე-2-ე გვ.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობა ამიერ-კავკასიაში

ამხ. მ. ცხაკაიას მოხსენება ეროვნებათა საკავშირო საბჭოში

მოსკოვი, 31 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელმა სხდომამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. კულბეშეროვი, მოისმინა ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარის ამხ. ცხაკაიას მოხსენება ამიერ-კავკასიის ერთა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის, მათი ეროვნული ურთიერთობის განვითარებისა და ცვლილების შესახებ საბჭოთა ხელისუფლების დროს.

თავის ვრცელ მოხსენებაში ამხ. ცხაკაიამ გააშუქა ამიერ-კავკასიის ერთა ეკონომიური და ეროვნულ-კულტურული ცხოვრების ცალკე მოვლენანი.

მიწის საკითხი

— 1917 წლის რევოლუციამდე—განაცხადა ამხ. ცხაკაიამ—მიწათმფლობელობა ამიერ-კავკასიაში არსებითად თავად-აზნაურული იყო; გლეხებს ხიზნებად, უმთავრესად, „ხასადლო" მიწებით და ხაზინისაგან ან მემამულეებისაგან იჯარით აღებული მიწებით. საბჭოთა ხელისუფლებამ დაანგრია მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ძველი ფორმები და თავისი სადგილ-მამულო პოლიტიკით შექმნა მტკიცე მატერიალური ბაზისი ხალხთა მიწათმოწყობისათვის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით). ტერიტორიალური დავა, როგორც სოფლებსა და ცალკე გლეხებს შორის, ისე ცალკე რესპუბლიკებს შორის, რომელნიც მანამდე ერთმანეთს მტრობდნენ ამ ნიადაგზე, საბჭოთა ხელისუფლებამ გადაჭრა არა იარაღის ძალით, არამედ ერთმანეთთან შეთანხმების გზით. მუშაობას მიწათმოწყობის გარშემო უმეტეს წილად დაკვრითი ხასიათი ჰქონდა და ტექნიკურადაც უფრო ხშირად დამაკმაყოფილებელი არ იყო. ამიტომ მომავალი სადგილ-მამულო მუშაობა თავიდან ბოლომდე შესრულებული უნდა იყოს მეცნიერებისა და ტექნიკის მოთხოვნილებებთან შეთანხმებით. ამიერ-კავკასიის სამიწათმოწყობო მუშაობა, რომელსაც უახლოეს მომავლისათვის ითვალისწინებს საპერსპექტივო გეგმა, შეგვიძლია დავყოთ სამ ჯგუფად: სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მიწების მოწყობა (ტყეებისა და საძოვრების გამოკლებით), საძოვრებისა და იალაღების მოწყობა და გლეხთა გადასახლება-დასახლება. ამიერ-კავკასიაში საადგილ-მამულო მუშაობის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეროვნულ უმცირესობათა მიწათმოწყობას, როგორც მიწის ნორმების, ისე საძოვარ-საბალახო ადგილების მხრით. აქ მოხდა მიწათსარგებლობის უფლებათა მხრით გათანასწორება გადმოსული რუსებისა და ადგილობრივი მოსახლეობისა. თუმცა ზოგ შემთხვევაში ეს ნიშნავდა მიწათსარგებლობის ფაქტიური ნორმების შემცირებას რუსებისათვის, მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ მეფის პოლიტიკა გადასახლება-დასახლების საქმეში იმ მიზანს ისახავდა, რომ გადმოსახლებულ რუსებს გაცილებით მეტი და უკეთესი მიწები რგებოდათ, ვიდრე ადგილობრივ მოსახლეობას.

მიღწევები კულტურის დარგში

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკები ერთმანეთთან ახლო დგანან და ერთმანეთს ავსებენ; მაგრამ თვითეულ მათგანს აქვს თავისი დამახასიათებელი თვისებანი და ხალხთა ცხოვრების და კულტურული ხასიათის თავისებურებანი; ეს გარემოება კულტურულ და კერძოდ სასკოლო მშენებლობის ერთნაირ სურათს არ გვაძლევს. რევოლუციის წინ საქართველოში სკოლათა რიცხვი 1,5 ათასს უდრიდა, ახლა 2 ათასზე მეტია, მოწაფე 138,5 ათასი იყო, ახლა 285,5 ათასია, პედაგოგი 5,1 ათასი იყო, ახლა 10,6 ათასია. 1-ლი საფეხურის სკოლებში ბავშვების რიცხვი 8-დან 11 წლამდე 55,1 პროცენტით გამოიხატება, ხოლო მე-2 საფეხურის სკოლებში ცალკე მაზრების მიხედვით 10-დან 62 პროცენტამდე. საქართველოში მოწაფეთა რიცხვის შეფარდება მთელ მოსახლეობასთან 10,6 პროცენტს შეადგენს. საბჭოთა ხელისუფლების მიღწევა განსაკუთრებით გამოიხატა საბავშო დაწესებულებათა საქმეში, ცარიზმის დროს საბავშო დაწესებულებანი სრულებით არ არსებობდა. მენშევიკების დროს იყო: 5 საბავშო ბაღი, 2 საბავშო სახლი და ერთი დაწესებულება დეფექტიანი ბავშვებისათვის. 1926-27 წელს საქართველოში იყო 191 საბავშო ბაღი, 23 საბავშო სახლი, 8 კერა და 7 დაწესებულება დეფექტიანი ბავშვებისათვის. ეს ციფრები მოწმობენ რომ ამ საქმეში უდიდესი მიღწევებია ცარიზმისა და მენშევიკების ხელისუფლების დროსთან შედარებით. ოქტომბრის პირმშო შვილებს წარმოადგენენ მუშათა ფაკულტეტები, რაც ცარიზმისა და მენშევიკების დროს სრულიად არ ყოფილა; ახლა კი არსებობს 4 მუშფაკი 1.812 მოსწავლით. გარდა ამისა საქართველოს აქვს 4 უმაღლესი სასწავლებელი. რამდენადაც საქართველოს მოსახლეობის სამი-მეოთხედი ქართველებისაგან შესდგება, ბუნებრივია, რომ სკოლათა უმეტესობაში სწავლა-მეცადინეობის ენა ქართული ენაა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა ინტერესები მივიწყებულია. საქართველოში არის 359 სკოლა, სადაც მეცადინეობა სწარმოებს ეროვნულ უმცირესობათა ენებზე. საქართველოში საშუალოდ სახალხო განათლებაზე იხარჯება რესპუბლიკის ბიუჯეტის დაახლოებით 25 პროცენტი.

აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკაში 1926—27 წელს სახალხო განათლებაზე დაიხარჯა ბიუჯეტის დაახლოებით 30 პროცენტი. 1914 წელს აზერბეიჯანში სულ იყო 988 სკოლა 74.825 მოწაფით. მუსავატისტების დროს სკოლათა რიცხვი 674 ჩამოვიდა. ამ ჟამად იქ არის 1.585 სკოლა (160,4 პროცენტი ომის წინადროსთან შედარებით) 182,3 ათასი მოსწავლით. სწავლა-მეცადინეობის ენა 1 საფეხურის სკოლებში 72,3 პროცენტში თურქულია, 14 პროცენტში—სომხური, 9,6 პროცენტში—რუსული, დანარჩენ 4,1 პროცენტში—სხვა ენები. დაბალ სასწავლებლების გარდა აზერბეიჯანში 5 უმაღლესი სასწავლებელია.

საბჭოთა სომხეთში სახალხო განათლებაზე იხარჯება ბიუჯეტის 23 პროცენტი. სოციალური აღზრდის სკოლები სომხეთში 1913-14 წელს სულ 448 იყო, დაშნაკელების დროს სკოლათა რიცხვი 435-დე ჩამოვიდა, ხოლო საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ 800 მეტი გახდა —გაიზარდა 86,6 პროცენტით. ანალოგიურ სურათს წარმოადგენენ პროფგანათლების დაწესებულებანი: 1913-14 წელს მათი რიცხვი 7 უდრიდა, დაშნაკელების დროს 8, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 86-ს, 6.357 მოსწავლით. საშუალო სასწავლებელთა გარდა სომხეთს აქვს უნივერსიტეტი. ეროვნულ უმცირესობათათვის სომხეთში არსებობს დაბალი და საშუალო სასწავლებლები. უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში ეროვნულ უმცირესობათათვის გამოვიდა სახელმძღვანელო 117 სახელწოდებით.

ლიკპუნქტების ქსელის ფართოდ განვითარების წყალობით წერა-კითხვის მცოდნე ქართველთა რიცხვი 35 პროცენტიდან (1917 წ.) 48 პროცენტამდე ავიდა (1926 წ.). აზერბეიჯანში საბჭოთა წყობილების დროს წერა-კითხვა შეასწავლეს 100.000 კაცს, სომხეთშიც—თითქმის იმდენსავე. ფართოდ განვითარდა პოლიტიკურ-განმანათლებელი დაწესებულებების ქსელი. საქართველოში 857 ქოხ-სამკითხველოა, 55 ბიბლიოთეკა, 82 კლუბი და თეატრი, 28 სოფლის კინო, 78 სოფლის რადიო. ტფილისის ფართო მაუწყებელი რადიო სადგური მთელ ამიერ-კავკასიას ემსახურება და გადასცემს ლექციებს, მოხსენებებს, მუსიკალურ პროგრამებს საქართველოს და ამიერ-კავკასიის ერებისათვის გასაგებ ყველა ენაზე. აზერბეიჯანში 127 ქოხ-სამკითხველოა, 118 კლუბი, 97 ბიბლიოთეკა. აზერბეიჯანის პოლიტიკურ-განმანათლებელ დაწესებულებათა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია ბაქოს თურქ ქალთა კლუბს, სადაც ათობით თურქი-ქალები წერა-კითხვასა და სხვადასხვა ხელობას სწავლობენ. ნაკლები მიღწევები არაა სომხეთშიაც.

ამიერ-კავკასიაში განვლილ 6 წლის განმავლობაში გამოშვებულია 10,5 მილიონი გამოცემა, აქედან 3,6 მილიონი თურქულ ენაზე, 3,7 ქართულ ენაზე, 2,3 სომხურზე და სხვ.

კოოპერაცია

ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციული მდგომარეობა ხასიათდება შემდეგი ცნობებით: 502 კოოპერატივი, 1.969 დუქანი და 494.537 პაის მქონე. კოოპერატიულად შეკავშირებულია მოსახლეობის 39,4 პროცენტი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინ ამიერ-კავკასიის კოოპერაცია ეკონომიურად სავსებით გაკოტრებული იყო, მაგრამ მან შესძლო მოკლე ვადაში აღედგინა და განემტკიცებინა თავისი ფინანსიური მდგომარეობა. მისი საკუთარი საშუალებები შეადგენენ საკმაოდ დიდ თანხას—8,2 მილიონ მანეთს, ბრუნვა კი უდრის 78 მილიონ მანეთს. ამიერ-კავკასიის მუშათა კოოპერაციამ, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარულ რევოლუციის ნაყოფს წარმოადგენს, თავის არსებობის რამოდენიმე წელში შესძლო არაჩვეულებრივად განვითარება და სამეურნეო სიძლიერის მიღწევა. 1926 წლის 1 ოქტომბრისათვის მან გააერთიანა 157.872 მუშა და მოსამსახურე. მისი ქსელი შესდგება 629 დუქნისაგან. მუშათა კოოპერაციის ბრუნვამ 1925—26 წელში მიაღწია 60 მილიონ მანეთს. სამომხმარებლო კოოპერაციის ხვედრითი წონა ამიერ-კავკასიის საერთო საქონლის ბრუნვაში 1925-26 წელში შეადგენდა 28 პროცენტს. 1926 წლის 1 ოქტომბრისათვის მთელ ამიერ-კავკასიაში ითვლება 690 სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა 109.290 წევრით. ამიერ-კავკასიის სასოფლო სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის ფინანსიურ მდგომარეობის ანალიზი აშკარავებს მის მეტისმეტ გამწვავებას, მის საკუთარ სახსრის საშუალებათა არახელსაყრელ შეფარდებისა და სხვათა კაპიტალების სიმცირის გამო.

საბინაო-სამშენებლო და საბინაო-საიჯარო კოოპერაცია ამიერ-კავკასიაში წარმოიშვა სულ მცირე ხნის წინად. მიუხედავად ამისა, 1927 წლის 1-ლ იანვრისათვის ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე ირიცხებოდა 70 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი 2.077 წევრით და 378.192 მან. საკუთარ თანხებით, 697 საბინაო-საიჯარო კოოპერატივი 21.452 წევრით და 87.000 მან. საკუთარ თანხებით.

მრეწველობის განვითარება

სამეურნეო მოღვაწეობა მრეწველობის დარგში ხასიათდება შემდეგი ციფრებით: ადგილობრივ საფაბრიკო-საქარხნო წარმოებათა რიცხვი უდრის 541, მათში ჩაბმულია 62 ათასი მუშა და მათი საერთო პროდუქციის ღირებულება შეადგენს 400 მილ. მან.. წარმოებათა უმრავლესობა იმყოფება საქართველოში და აზერბეიჯანში, საქართველოში სჭარბობს წვრილი წარმოებები, აზერბეიჯანში კი საშუალო ტიპის. წარმოებათა საერთო რიცხვიდან 411 არის სახელმწიფო, 60 კოოპერატიული და 70 კერძო წარმოება. მნიშვნელოვანი მიღწევებია ელექტროფიკაციის დარგში. უკანასკნელ 4 წელიწადში საექსპლოატაციოდ არის გაშვებული 18 ახლად აგებული ელექტრო-სადგური 23.872 ცხენის ძალის სიმძლავრით. ელექტრო-სადგურების საერთო რიცხვი ამჟამად აღწევს 63-ს, 153 ათას ცხ. ძალის სიმძლავრით, აქედან საქართველოზე მოდის 40 სადგური, აზერბეიჯანზე 14 და სომხეთზე 9. განსაკუთრებით ძლიერ ვითარდება ნავთის მრეწველობა და ფართოვდება მარგანეცის, ქვანახშირის, სპილენძის, მარილის და სილიკატების მრეწველობა.

სასოფლო მეურნეობა

სოფლის მეურნეობის დარგში მთავრობის ზრუნველობა მიმართული იყო ნათესების სივრცის გაფართოებისა, მეურნეობის ინტენსიფიკაციისა, სოფლის მეურნეობაში გაუმჯობესებულ იარაღების შემოღებისა და ტექნიკურ კულტურებზე გადასვლისაკენ, რითაც იზრდებოდა გლეხურ მეურნეობის სარგებლიანობა და შექმნა ნედლეულის ბაზისი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის და მის სოციალისტურ კალაპოტში ჩაყენებისათვის. სამი წლის განმავლობაში ნათესების სივრცე შეუწყვეტლივ იზრდებოდა და ამჟამად საშუალოდ უკვე აღწევს ომის წინადროის დონეს, [illegible] ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი და ბამბა კი მნიშვნელოვნად მეტი ითესება ომის წინა დროსთან შედარებით. მნიშვნელოვნად იზრდება მესაქონლეობა, წვრილ და მსხვილ რქოსან პირუტყვის რიცხვი თითქმის აღწევს ომის წინა დროის რაოდენობას.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს მელიორაცია და ირიგაცია. ამ საჭიროებაზე 1926-27 წ. დაიხარჯა 8,2 მილიონი მანეთი, მიმდინარე წელში კი ნავარაუდევია დაიხარჯოს დაახლოებით 12 მილიონი მანეთი.

საბჭოთა საზოგადოებრიობა

ამიერ-კავკასიის ხალხების სამეურნეო საქმიანობის ზრდის ნიადაგზე სოფლად შეუწყვეტლად იზრდება საბჭოთა საზოგადოებრიობა. საზოგადოებრიობის ძირითადი ბაზისი სოფლად—სოფლის საბჭოები უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად განმტკიცდა ორგანიზაციულად და პოლიტიკურად. საერთოდ 1926-27 წლის საარჩევნო კამპანიის წინ სოფლის საბჭოებში ადგილი აქვს ერთის მხრივ კომუნისტებისა და კომკავშირელების რიცხვის ზრდას, მეორეს მხრივ კი ღარიბ და საშუალო გლეხობის ნაწილის გაძლიერებას. რამოდენიმედ გაიზარდა ქალების მონაწილეობა (წარსულ წელში ქალები საბჭოებში შეადგენდნენ 28,9 პროცენტს, მიმდინარე წელში 29,6 პროცენტს). ქალების, კერძოდ თურქ ქალების აქტივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა წარსულ წლის საარჩევნო კამპანიასთან შედარებით. საარჩევნო კამპანიის შედეგები შეიძლება დახასიათდეს შემდეგნაირად: როგორც ქალაქში, ისე სოფლად ამომრჩეველთა ფართო მონაწილეობა კანდიდატურების განხილვაში, ღარიბ გლეხობის დიდი აქტივობა ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში, სრული იზოლიაცია კულაკებისა, რომლებმაც მიუხედავად დიდი აქტივობისა განიცადეს დამარცხება, სრული დამარცხება ანტისაბჭოთა პარტიების ცდებისა, რომლებიც მიმართული იყო იმისაკენ, რომ რამე გავლენა მოეხდინათ არჩევნების შედეგებზე, საარჩევნო კამპანია ჩატარდა ამიერ-კავკასიის ეროვნებათა მშვიდ ერთობის ნიშან ქვეშ. საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში უზრუნველყოფილი იყო ეროვნულ უმცირესობათა აქტიურ მონაწილეობის უფლება.

არჩევნებმა ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ სოფლის მშრომელთა ფართო მასები ენდობიან საბჭოთა ხელისუფლებას. გლეხებისა და გლეხ ქალების მიერ აქტივობამ საბჭოთა დემოკრატიის ნიადაგზე ერთხელ კიდევ დაადასტურა საბჭოების გამოცოცხლებისათვის აღებულ გზის სისწორე. ამ შემოწმების კამპანიამ, იმის შემოწმებამ, თუ რამდენად ძლიერია საბჭოთა ხელისუფლების კავშირი მასებთან, რამდენად ძლიერია მასების ნდობა, ხელისუფლებისადმი, გამოარკვია როგორც მიღწევები, ისე ნაკლი ჩვენი მუშაობისა.

ეროვნულ მშვიდობიანობის ნიადაგზე

დასასრულ ამხ. ცხაკაია დაწვრილებით შეჩერდა ამიერ-კავკასიის ხალხების ნაციონალურ ურთიერთობაზე. „საბჭოთა ნაციონალურმა პოლიტიკამ—სთქვა მან—საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად დაგვეძლია ნაციონალური შუღლი და გვეშენებინა მეურნეობა ნაციონალურ მშვიდობიანობის პირობებში ამიერ-კავკასიის ფედერაციაში მოსახლე მრავალრიცხოვან ეროვნებათა შორის" (ადს).

კამათი ამხ. ცხაკაიას მოხსენების გამო

ამხ. აღამალი ოღლის სიტყვა

მოხსენების გამო დაწყებულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ეროვნებათა საბჭოს წევრებმა, მათ შორის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლებმაც.

აზერბეიჯანის ცაკის თავმჯდომარე ამხ. აღამალი-ოღლი აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის პირობებში ნაციონალური საკითხი წარმოადგენდა მთავარ პოლიტიკურ საკითხს. მეფის პოლიტიკა ცდილობდა ნაციონალური შუღლის დათესვას ამიერ-კავკასიის ერთა შორის და ეს შუღლი ცალკე მომენტში ღებულობდა ურთიერთ ჟლეტის საშინელ ფორმებს. მეფის წყობილება იყენებდა ამ ნაციონალურ შუღლს იმისათვის, რომ შეენარჩუნებია ძალა-უფლება და დაეჩაგრა ამიერ-კავკასია. ნაციონალური მშვიდობიანობის განხორციელება შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკის ძირითად მომენტს წარმოადგენს ჩამორჩენილ ერთა კულტურული განვითარება, პირველ რიგში კი მომთაბარე ტომების კულტურული განვითარება. მომთაბარეთა გადაყვანა მუდმივ ბინადრობაზე, მათი მიწების გამოყენება და ამ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელება—ასეთია პოლიტიკა მოსახლეობის ამ ჯგუფის მიმართ. არაბული შრიფტები, რომელიც მეტად ძნელი შესათვისებელია მოსახლეობისათვის, დაუძლეველ სიძნელეებს ჰქმნიდა მოსახლეობის კულტურულად განვითარების საქმეში. ლათინური ანბანის შემოღებამ კი არა თუ ხელი შეუწყო მოსახლეობის ფართო ჩამორჩენილ მასების კულტურულ განვითარებას, არამედ ერთგვარი რევოლუციონური როლიც ითამაშა ამიერ-კავკასიის ერთა, განსაკუთრებით კი აზერბეიჯანის მოსახლეობის განვითარებაში. ძველი არაბული მწერლობა ამასთანავე დაკავშირებული იყო სარწმუნოებასთან და ახალ ანბანზე გადასვლა წარმოადგენს დიდ გარდატეხას სარწმუნოებრივ საკითხში თურქთათარ ეროვნებათა შორის.

დიდი მუშაობაა ჩატარებული აგრეთვე თურქი ქალის განთავისუფლების დარგში. თურქი ქალი დღეს აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამიერ-კავკასიის არც ერთი ერი არ განვითარებულა ისე რევოლუციის ხანაში, როგორც თურქები. თუ რევოლუციამდე ვერცერთ სამმართველო ორგანოში ვერ ნახავდით თურქს, დღეს თურქების სამმართველო ორგანოებს უმთავრესად თვით თურქები ხელმძღვანელობენ. აზერბეიჯანში სოფლის საბჭოების თავმჯდომარეებს შორის 23 ქალია. ეს ქალები მეტის ყურადღებით ეკიდებიან თავის მოვალეობას და უფრო პირნათლად ასრულებენ მას, ვიდრე მამაკაცები, და ამით დაიმსახურეს მოსახლეობის საყოველთაო პატივისცემა. დიდი მიღწევებია აგრეთვე თეატრის დარგშიაც. დიდი ხანს არ გასულა მას შემდეგ, რაც თურქულ თეატრში ქალების როლებს ასრულებდნენ მამაკაცები. დღეს კი თეატრის მუშაობაში ქალებიც ღებულობენ მონაწილეობას. ლათინური შრიფტი, რომელიც მისაწვდომია მოსახლეობის ფართო მასებისათვის. უახლოეს წლების განმავლობაში ხელს შეუწყობს იმ კოლოსალურ ლტოლვას კულტურისაკენ, რომელიც ემჩნევა თურქთა მოსახლეობას და წერა-კითხვის უცოდინარობას მოსპობს. ჩვენ ისეთი უდიდესი მიღწევები მოგვეპოვება ნაციონალური განვითარების ყველა დარგში, როგორიც არა აქვს აღმოსავლეთის არც ერთ ქვეყანას.

დასასრულ აღამალი-ოღლი ეხება ამიერ-კავკასიის ეკონომიური განვითარების პრობლემას. ამიერ-კავკასიის მოსახლეობა უმთავრესად მისდევს სასოფლო-მეურნეობას და მის უბედურებას წარმოადგენს მიწის ნაკლებობა. მაშინ, როდესაც მიწების უდიდესი სივრცე გამოუყენებელი რჩება წყლის ნაკლებობის გამო. ამიტომ ამიერ-კავკასიის ერთა ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს სამელიორაციო და სარიგაციო სამუშაოების განვითარება.

ამხ. მრავიანის სიტყვა

სომხეთის წარმომადგენელი ამხ. მრავიანიც ეხება მიწის ნაკლებობის საკითხს. მიწების განაკვეთების გადიდების შეუძლებლობა არსებულ პირობებში სომხეთს უკარნახებს სასოფლო მეურნეობის განვითარების აუცილებლობას ინტენსიფიკაციის ხაზით, ვინაიდან მხოლოდ ეს გაადიდებს მიწების შემოსავლიანობას. ამასთან ერთად ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხს, ისეთს, რომელსაც აქვს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა, წარმოადგენს ლტოლვილების საკითხი. სომხეთის გასაბჭოების შემდეგ, ოსმალეთიდან სომხეთში გადმოსახლდა 300.000-მდე ლტოლვილი. მიუხედავათ ფინანსიური დაბრკოლებებისა, ჩვენ იძულებული ვიყავით ყოველწლიურად მოგვეწყო სომხეთში ორი-სამი ათასი ლტოლვილი, რაც მოითხოვდა ყოველწლიურად დიდ თანხას.

ამხ. მახარაძის სიტყვა

საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. მახარაძე აღნიშნავს ნაციონალური საკითხის გადაჭრის განსაკუთრებულ სირთულეს საქართველოში. მუსავატელების და დაშნაკელების პოლიტიკა და ქართველი მენშევიკების ანალოგიური პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რათა ერთა შორის გაჩენილიყო შუღლი და მტრობა. ამიტომ სულ უკანასკნელ დრომდე იძულებული ვართ გაძლიერებული ბრძოლა ვაწარმოოთ ამ ნაციონალური შუღლის ძირიანად აღმოსაფხვრელად. რომ სრული ნაციონალური მშვიდობიანობის ნიადაგზე შევქმნათ მომავალში მუშაობა საბჭოთა საქართველოს ეკონომიურ განვითარების დარგში.

საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკის წყალობით ნაციონალურ მტრობას ნიადაგი გამოეცალა. დღეს უდიდესი მუშაობა სწარმოებს ამ ნაციონალური მტრობის უკანასკნელი ნაშთების საბოლოოთ აღმოფხვრისათვის. ეროვნებათა საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მოსახლეობის კულტურულ ზრდას და საგზაო მშენებლობის განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს კავშირის გაუმჯობესებას ცალკე ერებს შორის. ჩვენ დიდი მიღწევები მოგვეპოვება კულტურულ განვითარებისა და საბინაო და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების დარგში. საჭიროა განვამტკიცოთ ეს მიღწევები და განვაგრძოთ მუშაობა ამავე მიმართულებით.

ამხ. შავერდოვის სიტყვა

ამხ. შავერდოვი ეხება რევოლუციონური კანონიერების განვითარებას ამიერ-კავკასიის ფედერაციაში. რევოლუციონური კანონიერების განმტკიცებას—აღნიშნავს ორატორი—უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიისათვის, მაგრამ მთელი რიგი გარემოებები ხელს უშლიან ამ ღონისძიების გატარებას. ამჟამად მთავარი ყურადღება ექცევა საერთო საკავშირო ხასიათის კანონმდებლობის პოპულიარიზაციას, განსაკუთრებით გლეხთა მოსახლეობაში, და სასამართლოს დაახლოებას მოსახლეობასთან. ამ მიზნით ამიერ-კავკასიაში ჩატარებულ იქნა სასამართლოს რეფორმა. გაუქმებული იქნენ საგუბერნიო და საოლქო სასამართლოები და მათი ფუნქციები გადაეცა ახლად დაარსებულ საოლქო სასამართლოებს, სასამართლოს მუშაკთა უმრავლესობა ძველი მუშა-პარტიულებია. პროკურატურა კი 100 პროცენტით პარტიის წევრებისაგან შესდგება.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. სკრიპნიკმა, კორიმმა, პახომოვმა, დიმანშტეინმა და სხვ.

ეროვნებათა საბჭოს რეზოლუცია ამხ. ცხაკაიას მოხსენების გამო

ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმმა, მოისმინა რა ამიერ-კავკასიის ცაკის მოხსენება აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის წარმომადგენლების მონაწილეობით, ამიერ-კავკასიის ერთა ნაციონალური ურთიერთობისა და მათი სამეურნეო კულტურულ განვითარების შესახებ,—საერთოდ და მთლიანად დამაკმაყოფილებლად სცნო ის პოლიტიკური ხაზი, რომელსაც ატარებს ამიერ-კავკასიის მთავრობა ნაციონალური საკითხის გადაჭრის დარგში და ის მუშაობა, რომელიც მან უკვე ჩაატარა.

მიუხედავათ იმ არაჩვეულებრივად მძიმე პირობებისა, რომლებიც შექმნა როგორც რევოლუციის წინა ხანებში, ისე განსაკუთრებით მენშევიკებისა, დაშნაკებისა და მუსავატელების ნაციონალური მთავრობის დროს ერებს შორის არსებულმა გამწვავებულმა შუღლმა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებამ მთლიან საბჭოთა სოციალისტურ ფედერატიულ რესპუბლიკაში შედეგად მოჰყვა ამიერ-კავკასიაში მოსახლე ყველა ერების მშვიდობიანი ძმური თანამშრომლობა, რამაც უზრუნველჰყო მათი ეკონომიური და კულტურული განვითარება სოციალისტური მშენებლობის გზაზე.

ამასთანავე ერთად ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმი აღასტურებს შემდეგ მთავარ მიღწევებს ამიერ-კავკასიის მთავრობის მუშაობაში: ძირითად ეროვნებათა მუშაკების სავსებით წარმატებით ჩაბმას სამეურნეო ორგანოებში, საქმის წარმოების თითქმის სავსებით გადასვლას ადგილობრივ ენებზე, არსებულ წარმოებათა აღდგენას და ახალ წარმოებათა ფართო მშენებლობას; მიწის ნაციონალიზაციამ და ჩამორთმეულ მიწების მშრომელი გლეხობისათვის გადაცემამ შექმნეს ბაზისი მათი მეურნეობის განვითარებისათვის. სასკოლო ქსელის გაფართოებამ, უმაღლეს ეროვნულ სკოლებმა, ნაციონალური პრესისა და სხვ. შექმნამ დიდათ შეუწყვეს ხელი ამიერ-კავკასიაში მოსახლე ყველა ერების კულტურული მოთხოვნილების ზრდას.

არსებულ მიღწევათა განმტკიცებისა და ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. ძირითადი ერებისა და ნაციონალურ უმცირესობათა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შემდგომი დაკმაყოფილების მიზნით,—ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. მთავრობას წინადადება ეძლევა მიიღოს ზომები, რათა აღმოფხვრილ იქნეს ნაციონალისტური ინტელიგენციის გავლენის ნაშთები ა. კ. მშრომელ მასებზე და მიწის ნიადაგზე წარმოშობილ შუღლა-შემოწვის ნაშთები. ვინაიდან ამიერ-კავკასიის ყველა ერების მოსახლეობა უმთავრესად მისდევს სასოფლო მეურნეობას, რომელიც ჯერ-კიდევ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება მეურნეობის მეტად ჩამორჩენილი ფორმებით წარმოებისა და მიწის მნიშვნელოვანი სიმცირის გამო, ამიტომ ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს: უახლოეს წლებში მიწათმოწყობის დამთავრებას სოფლად, საძოვრების საკითხის მოგვარებას, სასოფლო მეურნეობის მაქსიმალურ ინტენსიფიკაციას, ნახევრად მომთაბარე მესაქონლეობიდან კულტურულ, უფრო ინტენსიურ მესაქონლეობაზე გადასვლისათვის ხელის შეწყობას, რის შემდგომი განმტკიცება საბჭოთა კავშირის მეურნეობის განვითარების მიმართულებასთან შეფარდებით მთლიანად შესაძლებელია მხოლოდ მრეწველობისა და ელექტროფიკაციის განვითარების საფუძველზე, რისთვისაც აუცილებელია მუშაობის გაძლიერება ამ დარგში. შინამრეწველურ სარეწაოთა დიდი მნიშვნელობის გამო, რომელთაც წინად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ გლეხურ მეურნეობაში, აუცილებლად იქნეს ცნობილი შინამრეწველურ-სარეწაო კოოპერაციის განმტკიცებისათვის ხელის შეწყობა და შინამრეწველობის უფრო სწრაფი განვითარება ამიერ-კავკასიაში. ამიერ-კავკასიის ერების შემდგომი კულტურული განვითარების მიზნით, ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმს აუცილებლად მიაჩნია: ძირითადი ერების მიერ კულტურული მუშაობის გაძლიერება ნაციონალურ უმცირესობათა შორის უკანასკნელთა მშობლიურ ენაზე, კვალიფიციური მუშაკების კადრის შექმნის დაჩქარება ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. ერების მშრომელი ფენებიდან, ლიკპუნქტების გაძლიერება წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად, ზომების მიღება კულტურული მუშაობის ყველა დარგების ხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის და კულტურულ დაწესებულებებში მუშებისა და სოფლის მშრომელების უფრო მეტად ჩასაბმელად.

ახალ ანბანის შემოღებით გამოწვეულ განსაკუთრებულ დადებითი შედეგების გამო, რამაც მნიშვნელოვნად გაადვილა ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. თურქი ხალხების მშრომელთა კულტურული დონის აწევა, აუცილებლად იქნას ცნობილი მუშაობის გაძლიერება ამ ანბანის გასავრცელებლად და ამ ანბანზე სახელმძღვანელოებისა და პოლიტიკური ლიტერატურის გამოცემლობის გაფართოება. საბჭოთა მშენებლობის დარგში აუცილებლადაა ცნობილი რესპუბლიკებში ნაციონალურ უმცირესობათა ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით ნაციონალურ რაიონებისა და ეროვნებათა საბჭოების გამოყოფა. ამასთანავე ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. მთავრობას წინადადება ეძლევა, რომ მან დიდი ყურადღება მიაქციოს როგორც ძირითადი ერების, ისე ჩამორჩენილ ეროვნებათა მშრომელების დაწინაურებას და მათ ჩაბმას ფედერატიულ და რესპუბლიკურ ორგანოებში და დაბალ საბჭოებში, ყოველმხრივ გააძლიეროს მუშაობა ქალების, განსაკუთრებით თურქი და აჭარელი ქალების ჩაგრული მდგომარეობიდან გასანთავისუფლებლად და მათ ჩასაბმელად საბჭოებისა, კოოპერაციისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების აქტიურ მუშაობაში, და გადაჭრით ებრძოლოს ადათ-ჩვეულებებზე დამყარებულ ბოროტმოქმედებებს. მიუხედავათ მნიშვნელოვანი მიღწევებისა რევოლუციონური კანონიერების განმტკიცებაში, საჭიროდაა ცნობილი ღონისძიებების გაძლიერება ამ დარგში შემდეგშიაც.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

იტალიის კონსულის მადლობა

ოდესა, 2 იანვარი. იტალიის კონსულმა ტორკვემ მადლობა განუცხადა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის აგენტ ბორკუხევის და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ტრაგიკულად დაღუპულ ვიცე-კონსულ კაციოს დაკრძალვაზე დასწრებისათვის. და აგრეთვე იტალიის საკონსულოსადმი ყურადღებით მოპყრობისათვის. (ადს).

გოტო ამხ. კალინინთან

მოსკოვი, 2 იანვარი. 31 დეკემბერს საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. კალინინმა მიიღო ვიკონტი გოტო. მეგობრული საუბრის დროს, რომელიც გაგრძელდა 45 წუთი, კალინინმა და გოტომ აღნიშნეს მიღწევები იაპონია-საბჭოთა ურთიერთობის ყველა დარგებში და გამოსთქვეს მოსაზრებები ორივე ქვეყნის შემდგომი დაახლოების პერსპექტივებზე. (ადს).

არაყის ფასი

მოსკოვი, 2 იანვარი. საკავშირო სახკომსაბჭომ ვედრო არაყზე უჭურჭლოთ დააწესა 28 მანეთი. (ადს).

500.000 მან. ყირიმს

მოსკოვი, 2 იანვარი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ წინადადება მისცა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს გადასცეს 1926—27 წლის მოგებიდან—500.000 მან. ყირიმის მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოთ. (ადს).

ახალი სავაჭრო წარმომადგენელი ოსმალეთში

მოსკოვი, 2 იანვარი. საკავშირო სახკომსაბჭომ ამხ. აჟუმის მაგიერ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლად ოსმალეთში დაინიშნა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილე სპარსეთში ამხ. სოხოვი. (ადს).

დანიშვნა

მოსკოვი, 2 იანვარი. საკავშირო სახკომსაბჭომ გაანთავისუფლა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობიდან ავსტრიაში ამხ. უფიმცევი და მის მაგიერ სავაჭრო წარმომადგენლად დანიშნა ამხ. ბენჩინი.

პარტიიდან გამორიცხულთა გამოწვევა საკავშირო ცაკიდან

მოსკოვი. 1 იანვარი. 1928 წლის ორ იანვარს საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა მოისმინა ცაკის პრეზიდიუმის კომუნისტური ფრაქციის განცხადება იმის შესახებ, რომ საკავშირო ცაკის წევრთა შემადგენლობიდან გამოწვეულ იქნან ბელობოროდოვი, ზინოვიევი, იშჩენკო, ტროცკი და, აგრეთვე ცაკის კანდიდატები კასპაროვი და სერებრიაკოვი; პრეზიდიუმმა დაადგინა: გამორიცხულ იქნან ზემოთ დასახელებული პირები საკავშირო ცაკის წევრთა და კანდიდატთა შემადგენლობიდან; ეს დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს საკავშირო ცაკის უახლოეს მორიგ სესიას. (ადს).

ახალი სახელმწიფო სესხი

სოფლის მეურნეობის გასაძლიერებლად

მოსკოვი, 2 იანვარი, სახელმწიფოს იმ საშუალებათა გაძლიერების მიზნით, რომლებიც ხმარდება გლეხური მეურნეობის გამტკიცებასა და განვითარებას საბჭოთა კავშირის ცაკმა და სახკომსაბჭომ დაადგინეს გამოუშვან ექვს პროცენტიანი „სახელმწიფო შინაური მომგებიანი სესხი გლეხურ მეურნეობის გასამაგრებლად", სესხი გამოშვებული იქნება 100 მილიონ მანეთის რაოდენობით, 10 მანეთიან ობლიგაციებით. სესხის ობლიგაციების ნაწილი გამოშვებულ იქნება ოთხ თანასწორ ნაწილად დაყოფით, თვითეული ნაწილი ღირება 2 მან. 50 კაპ. სესხი გამოშვებული იქნება სამი წლის ვადით დაწყებული 1928 წლის 1 თებერვლიდან. სესხის ობლიგაციებზე მოხდება მოგებათა ექვსი ტირაჟი 1928 წ—ის ოქტომბერში, 1929 და 1930 წლ. იანვარსა და ოქტომბერში და 1931 წლის იანვარში.

სულ სამ წლიწადში ექვს ტირაჟის დროს გათამაშებული იქნება 33.264 მოგება, რომელთა ღირებულება უდრის 31 მილიონ მანეთს, ე. ი. საშუალოდ 1 მოგება მოდის 30 ობლიგაციაზე. მთავარი მოგება 1.000 მანეთი, უმცირესი—50 მანეთი. ფულის მომგებს უფლება ეძლევა რიგს გარეშე იყიდოს მოგებულ თანხის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო იარაღები სახელმწიფო და კოოპერატიულ საწყობიდან დაწესებული შეღავათებისა და კრედიტების წესის დაცვით.

იმ საერთო თანხიდან, რა რაოდენობითაც გასაღდება სესხის ობლიგაციები თვითეულ რაიონში ან თემში, 10 პროცენტი გადაირიცხება რაიონულ ან სათემო ბიუჯეტში ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო და კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, როგორიცაა: სკოლების, საავადმყოფოების და საგზაო მშენებლობა, ხორბლის შესანახავი წისქვილების, ხორბლის გაწმენდა პუნქტების მოწყობა და შეკეთება მანქანების, ჯიშიან საქონლის და ფრინველის, გაუმჯობესებულ თესლის შეძენა, მელიორაცია და ადგილობრივი მნიშვნელობის მიწადმოწყობა (ადს).

ვაჭრობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან 1927 წელში

მოსკოვი, 2 იანვარი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახკომისარიატმა ჯამი გაუკეთა აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის შედეგებს გასული საოპერაციო წლის განმავლობაში.

ვაჭრობა სპარსეთთან

სპარსეთთან საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვა 1926—27 წლის განმავლობაში უდრის და 84.135.000 მანეთს ნაცვლად 78.823.000 მანეთისა 1925 26 წელში. აქედან სპარსეთში საბჭოთა კავშირიდან გატანილი იქნა—43.277.000 მან. საქონელი. სპარსეთიდან შემოტანილი იქნა — 40.858.000 მანეთის საქონელი. სპარსეთში უმთავრესად იგზავნებოდა ნავთი და სხვა სამრეწველო საქონელი. სპარსეთიდან შემოტანილი იქნა ბამბა, ბრინჯი, ხმელი ხილი. მატყლი და ტყავი. 1 ოქტომბრის ხელმოწერილი სავაჭრო შეთანხმება ქმნის სასარგებლო პერსპექტივებს ორივე ქვეყნის ეკონომიურ და საგარეო ურთიერთობის განვითარებისათვის.

ვაჭრობა ოსმალეთთან

ოსმალეთთან ვაჭრობის საერთო ბრუნვა 1926—27 წლ. განმავლობაში უდრიდა — 23.973.000 მან., ნაცვლად 27.532.000 მანეთისა 1925—26 წელში. აქედან ოსმალეთში გატანილი იქნა 13.184.000 მან. საქონელი, ოსმალეთიდან კი შემოზიდული იქნა 10.789.000 მან. საქონელი. ოსმალეთში უმთავრესად იგზავნებოდა სურსათი - საწვავი, ნედლეული, ნახევარ ფაბრიკატები და საფეიქრო ნაწარმოები. ოსმალეთიდან კი შემოდიოდა ნედლეული და ნახევრად ფაბრიკატები. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ოსმალეთის ექსპორტი საბჭოთა კავშირში განუწყვეტლივ იზრდება. 1927 წელს დადებულ ოსმალეთ - საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულებამ ნიადაგი ჩაუყარა ორივე ქვეყნის სავაჭრო და ეკონომიურ ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

ვაჭრობა მონღოლეთთან

მონღოლეთთან საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვა 1926 — 27 წელს უდრიდა 12.186.000 მან. მონღოლეთის ექსპორტი საბჭოთა კავშირში ქმნის მეტად ხელსაყრელ პირობებს მონღოლეთის მეურნეობისათვის, ვინაიდან თითქმის მხოლოდ საბჭოთა კავშირი იძენს მონღოლეთის სახალხო მეურნეობის ძირითად პროდუქტს — ნედლეულს. მონღოლეთის და საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას გასულ წელს ხელი შეუწყო ერთის მხრივ მონღოლეთის მეურნეობისა და მეორე მხრით საბჭოთა მრეწველობის განვითარებამ, რომელიც შეეფერება მონღოლეთის ბაზრის მოთხოვნილებებს.

ვაჭრობა დასავლეთ ჩინეთთან

სინ-ძიანთან (დასავლეთ ჩინეთი) ვაჭრობის ბრუნვამ გასულ წელს მიაღწია 21.986.000 მან., ნაცვლად 16.423.000 მან. 1925—26 წ. დასავლეთ ჩინეთში უმთავრესად იგზავნებოდა: ლითონის ნაწარმოები, შაქარი, სილიკატი და ქსოვილები. იქიდან კი შემოდიოდა მატყლი, ბამბა, და ნედლეული. დასავლეთ ჩინეთთან ვაჭრობას აფერხებს არანორმალური პირობები და წმინდა ტექნიკური ხასიათის მიზეზები.

ვაჭრობა ავღანისტანთან

ავღანისტანთან ვაჭრობა უკანასკნელი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იზრდება; გასულ წელს იგი შეადგენდა უკვე ომის წინა დროის ვაჭრობის 61 პროცენტს. 1926 27 წლის საერთო ბრუნვამ შეადგინა 7.535.000 მან. ნაცვლად 5.924.000 მანეთისა 1925 -26 წ. ჩვენი ზოგიერთი საქონლის ექსპორტმა უკვე გადააჭარბა ომის წინადროის ნორმას მაგ. შაქარი, ნავთი, ლითონის ნაწარმოები და სილიკატები. დღემდე ომის წინადროის ნორმას ჩამორჩა მანუფაქტურის ექსპორტი. გაზაფხულზე ხელმოწერილი სავაჭრო შეთანხმება ავღანისტანთან უეჭველად ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ირლანდია — ნავთის მტაცებელთა პლაცდარმი

ბერლინი, 2 იანვარი. ხმებია, რომ კუნძულ ირლანდიის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო, იქ ინგლისის სანავთო საზოგადოებანი „როიალ დეჩ-შელი" (რომელსაც დეტერდინგი მეთაურობს) და „ბრიტიშ ოილ კომპანი" აწყობენ ნავთის სადგურებს, რომლებიც იმაზე ორჯერ მეტს დაიტევენ, რასაც ამ კუნძულზე მთელი წლის განმავლობაში ხმარობენ. ადგილობრივი მოსახლეობა შეშფოთებულია ამ სადგურების აგებით, რადგან კარგად ახსოვს მსოფლიო ომის დროს, როდესაც ინგლისის კომისარი კუბლი თავისი მოსაზრების მიხედვით აწესრიგებდა კუნძულზე მოსახმარებელი ნავთის ფასს (ადს).

ყუმბარები ჩაპეიში

შანხაი, 2 იანვარი. 30 დეკემბერს, საღამოთი, შანხაის გარეთუბან ჩაპეიში (ჩინელებით არის დასახლებული), 61 პოლკის ყაზარმების მახლობლად 2 ყუმბარა გადააგდეს. ამის გამო შანხაის მთელ ჩინურ ტერიტორიაზე სამხედრო წესება გამოცხადებულია. ჩინური პრესა ყუმბარების აფეთქებას კომუნისტებს აბრალებს. (ადს).

ომი გუანდუნში

შანხაი, 2 იანვარი. ხოუენის რაიონში (აღმოსავლეთ მდინარეზე) სწარმოებს ბრძოლა ჩან ფა-გუის მე-4 არმიასა და სვატოუს ჯარებს შორის. ჩან ფა-გუის მხარეზე იბრძვის კანტონის ფლოტი. აღმოსავლეთ მდინარის რაიონში სამი არმიაა ომობს: სვატოუს, ჩან ფა-გუის არმია და „წითელი არმია", რომლის ბაზისი ხაილუფინში იმყოფება. (ადს).

სტანდარდ ოილის ყალბი ბალანსები

ვენა, 2 იანვარი. ბელგრა[illegible] მიღებული ცნობებით, [illegible] სამართლის [illegible] გამომძიებელმა [illegible] სტანდარდ ოილის სამხრეთ-[illegible] მთელი შე[illegible]ლების დირექციის და გამგეო[illegible] ბრალდებათა [illegible]ობის წინააღმდეგ; [illegible] ყალბი ბალანსის შედგენა. ბ[illegible]დების მიხედ[illegible]ვით, სტანდარდ ოილის სამხ[illegible]სლავიის გან[illegible]ყოფილებამ ბალანსში გაცილ[illegible]ით მეტი საქ[illegible] ცით კაპიტალის ზრდა აღნიშ[illegible] ვიდრე ნამ[illegible]დვილად არის. სტანდარდ ოი[illegible] ეჭვია მიტა[illegible]ნილი აგრეთვე იმაშიც, რომ [illegible] წლებშიაც ყალბი ბალანსი შეადგენია ს[illegible]ნდარდ ოილის ბრალდებული დირექტორები [illegible] მოსამსახუ[illegible]რეები ჯერ დაპატიმრებული [illegible] არიან. სტან[illegible]დარ ოილის გამგეობის წევრ[illegible] შორის ორი ამერიკელია—უოკერი და შ[illegible]ტი. (ადს).

„მანქანის ნაწილები"

ვენა, 2 იანვარი. გაზ. „[illegible]გენის" ცნობით, ავსტრია - უნგრეთის [illegible]პირო სადგურ სანტ - გოტარდზე გაჩერდა [illegible]ტალიიდან მომავალი „ტყვიისმფრქვეველი" [illegible] დატვირთული 5 ვაგონი. ავსტრიის სა[illegible]ში ტყვიისმფრქვევლების მისაღებად [illegible]რდგენილი იქნა ყალბი საბაჟო დეკლარაცია [illegible] მანქანის ნაწილების მისაღებად". ვიდრე ა[illegible]ტრიის საბაჟოს მმართველობა გამოარკვევდა [illegible]ტვირთის ნამდვილ ხასიათს, უნგრეთის რკ[illegible]ზელებმა ვაგონებს, რომლებიც უნგრეთ[illegible] საზღვარზე იდგნენ სამხედრო მცველებით [illegible]; მცველებმა ნება არ მისცეს ავსტრიის საბაჟოს მმართველობას ვაგონები [illegible] ავსტრიაში გაეგზავნა. უნგრელთა საქციელის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ავსტრიის საბაჟოს მოსამსახურეებმა სან-გოტარდ[illegible] დასტოვეს. ამ ხაზზე საქონლის მოძრაობა [illegible]ერებულია.

პედოლოგიური ყრილობა

ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენება

მოსკოვი, 2 იანვარი. 31 დეკემბერს პედოლოგიურ ყრილობაზე ამხ. ლუნაჩარსკიმ გააკეთა მოხსენება თემაზე: „საერთო აღმშენებლობა და პედოლოგიის ადგილი მასში"

ამხ. ლუნაჩარსკიმ აღნიშნა, რომ ჩვენი აღმშენებლობის დამახასიათებელი თვისებებია: სამრეწველო ინდუსტრიალიზაცია და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია, რომელიც ემყარება მანქანაზე და აგრარულ მეცნიერებაზე. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირის ამოცანაა „ადამიანის არა მარტო გონებრივი აღზრდა მანქანაზე მუშაობისათვის", არამედ მისი აღზრდა ცხოვრების კოლექტიურ ფორმების შესათვისებლად. ძველი პედაგოგიკისაგან განსხვავებით, რომელიც ემყარებოდა ძველ, დახავსებულ სასკოლო წესებზე, ჩვენ გვინდა, რომ პედაგოგიკა ემყარებოდეს ბავშვის აღზრდის მეცნიერებაზე — პედოლოგიაზე, გაურკვევლად,—თუ როგორ იზრდება ბავშვი, ჩვენ არ შეგვეძლება გავაშუქოთ ყველაზე უფრო რთული საწარმოო საკითხი — მუშათა ახალი კადრების მომზადების საკითხი. ამათვის პედოლოგიამ უდიდესი როლი უნდა შეასრულოს ჩვენს სოციალისტურ აღმშენებლობაში".

მოხსენების შემდეგ ყრილობის თავმჯდომარემ პროფესორმა გრიბოედოვმა წინადადება მისცა ყრილობას, რათა ამ. ლუნაჩარსკისათვის მიეცა დაპირება, როგორც პარტიის და მთავრობის წარმომადგენლისათვის, რომ ყრილობის ყველა მონაწილენი პირნათლად შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებას პედოლოგიის და სოციალისტური აღმშენებლობის განსავითარებლად. წინადადება მიღებული იქნა ერთხმად.

ამხ. როზინოვის მოხსენება

მოსკოვი, 2 იანვარი სექციების მუშაობის დაწყებამდე პედოლოგიური ყრილობის პლენუმზე 31 დეკემბერს მოსმენილ იქნა ამხ. როზინოვის მოხსენება—შრომის კულტურა ახალი თაობის სოციალისტურ აღზრდის ამოცანებთან დაკავშირებით.

„პირველი პედოლოგიური ყრილობის ერთ-ერთი ძირითადი თემა, — აღნიშნა მომხსენებელმა. — არის ბავშვთა შრომის საკითხების დაყენება. შრომის კულტურის ამოცანა ჩვენში. მომხსენებლის აზრით, მხოლოდ შრომითი გამოცდილების შეთვისებაში კი არ მდგომარეობს, რისაც მიზნად ისახავს შრომის ბურჟუაზიული კულტურა. ჩვენის უმთავრესი შრომის მიზანი, საშუალებანი იცნობს მისთვის წევად და ამ საშუალებათა რაციონალურად გამოყენება. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, ჩვენთვის უმთავრესია, როგორ იზრდება ადამიანი როგორ სწარმოებს შრომითი პროცესის კულტურული განვითარება და როგორ შეიძლება ის მეთოდების გამოკვლევა, რომელნიც ხელს უწყობენ ასეთ განვითარებას".

მომხსენებლის მიერ დასმული პრობლემა უფრო დეტალურად იქნება განხილული ყრილობის სპეციალურ სექციაში (ადს).

ბრძოლა ბიუროკრატიზმთან

მოსკოვი, 1 იანვარი. საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექცია შეუდგა პარტიული ყრილობის დადგენილებათა შესრულებას იმის შესახებ, რომ განუხრელად იქნას ბრძოლა ბიუროკრატიზმთან. საქმის გაჭიანურებასთან, მშრომელისადმი უყურადღებო და უდიერ მოპყრობასთან; ამ მიზნით მან დაადგინა, შეიქმნას საბჭოთა რუსეთის მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან ერთად საჩივართა ცენტრალური ბიურო საბჭოთა კავ. და საბჭ. რუს. მუშ. და გლეხ. ინსპექ. ბიუროს გამგებლობა დაეკისრება ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრს ამხ. [illegible]. მუშაობა იწარმოებს უმთავრესად მასიურ პროლეტარულ და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციების, დელეგატების, გლეხკომების, მუშკორების და სხვათა დახმარებით. ეს დაწესებულება ძირითად ამოცანად ისახავს, რომ უფრო ცოცხლად მოეწყოს მოსახლეობისათვის უშუალო დახმარების გაწევა. მოეწყოს სწრაფი გამოძიება იმ საჩივრებისა, რომლებიც შეეხება საქმის გაჭიანურებას; დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი. ბიუროს ამოცანაა, თუ რა თანამდებობა უკავია მათ გამოძიებით დადასტურებული ბრალდების შემთხვევები განხილულ იქნება ღია კრებებზე მუშების მონაწილეობით, რომლებსაც ამოირჩევენ საფაბრიკო-საქარხნო კრებები. ბიუროკრატიზმისა და გაჭიანურების საქმეები ფართოდ გაშუქებული იქნება პრესაში და ფართო კრებებზე (ადს).

გარმონისტების კონკურსი

მოსკოვი, 2 იანვარი. კავშირების სახლის სვეტების დარბაზში 1 იანვარს გაიხსნა მოსკოვის გუბერნიის გარმონისტების მეორე კონკურსი. კონკურსის ჟიურიის შემადგენლობაში არიან: ამხ. ლუნაჩარსკი, იპოლიტოვ - ივანოვი, პოლიანოვსკი, ირმა იაუნზემი, მეიერხოლდის სახელობის თეატრის გარმონისტების ტრიო და მუსიკალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონკურსი გახსნა საკავშირო ახალგ. ლენ. კომკავშირის მოსკოვის კომიტეტის მდივანმა, რომელმაც აღნიშნა გარმონის უდიდესი მნიშვნელობა [illegible] პირველი კონკურსის შემდეგ საბჭოთა კავშირში ჩატარდა 2.500 კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 30.000 გარმონისტმა. კონკურსებს დაესწრო სამი მილიონი მსმენელი. გარმონს აქვს მომავალი. იგი უნდა გახდეს მშრომელთა ფართო მასების კულტურული განვითარების საშუალებად.

მისასალმებელი სიტყვა განათლების სახ. კომისარიატის სახელით წარმოსთქვა ამხ. ლუნაჩარსკიმ, კონკურსის პირველ დღეს გამოვიდა 30 გარმონისტი (ადს).

პარტიული ცხოვრება

ოპოზიციონერების სამარცხვინო მეთოდების გამო *)

ქვემოთ იბეჭდება საქართველოს ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და საკავშირო ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ორი დადგენილება ამხ. ამბერკი ურუშაძის ძველი ბრალდების შესახებ, რომლის გამო პარტიულ ორგანიზაციების ამ რამოდენიმე წლის წინათ არა ერთხელ ჰქონია საკითხი დასმული და დამთავრებული. მაგრამ ადგილობრივი გაკოტრებული ოპოზიციონერები არ ისვენებენ. თვითეული პოზიციონერის შესახებ ისინი მზათ არიან მოიგონონ არამც თუ ძველი, დამთავრებული საქმეები ამა თუ იმ პარტიის წევრზე, არამედ უსირცხვილოთ, წარბ-შეუხრელათ შეთხზან სრულიად ახალი, გამოგონებული ცილისწამება და ასე შეეცადონ ვისმე ავტორიტეტის დაცემას და უმართებულოდ ჩირქის მოცხებას.

და აი, სხვათა შორის, ისინი იგონებენ ამხ. ურუშაძის შესახებ უკვე გარჩეულ საქმეს, სწერენ განცხადებებს და ეწევიან მის წინააღმდეგ ებლაც შხამით სავსე აგიტაციას. ასეთივე ცდები იყო ოპოზიციონერებისა მხრივ სხვა ამხანაგების მიმართაც, მაგრამ საკონტროლო კომისია და პარტია მსგავსი საშუალებებით „ბრძოლას" არავის დაანებებს და ყოველთვის გამოამჟღავნებს მათ სამარცხვინო საქციელს. ამ მიზნით და აგრეთვე ამხ. ურუშაძის თხოვნის თანახმად ვაქვეყნებთ ხსენებულ დადგენილებებს.

ა. დოლიძე.

საქ. კომ. პარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილება.

ყველა მასალების, დოკუმენტების და იმ პირთა ზეპირ ჩვენებების გაცნობით, რომელთაც იციან ამხ. ამბერკი ურუშაძის მოქმედება მენშევიკების ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, სავსებით და მთლიანათ დასტურდება, რომ ამხ. ურუშაძე აწარმოებდა აქტიურ ბრძოლას (იარაღით ხელში) მენშევიკების მთავრობის წინააღმდეგ, სხვა ამხანაგებთან ერთად, აწყობდა სამხედრო რაზმებს მენშევიკების წინააღმდეგ. სათავეში უდგა ამ რაზმებს (მაგალითად, სოხუმში) და მუდამ იჩენდა თავს, როგორც მეომარი, რომ ამხ. ურუშაძის საქმე, რომელთაც ბრალი ედებოდა მას მენშევიკების მთავრობისათვის წერილობითი მიმართვაში, და რომელიც გამოქვეყნებული იყო მენშევიკების პრესაში 1918 წელში, თავის დროზე (საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე—1920 წ. და გასაბჭოების შემდეგაც 1921 და 1922 წლებშიც პარტწმენდის დროს) გაირჩა სათანადო პარტორგანიზაციების მიერ და ამხ. ურუშაძე მთელი პარტიის ცნობით და თანხმობით დატოვებულ იქნა კომუნისტურ პარტიის რიგებში; რომ ამხ. ურუშაძის იმავე 1918 წლის წერილი მიმართულ მენშევიკების მთავრობის თავმჯდომარის სახელზე, რომელიც ამას წინათ წარედგინა ცენტრალურ საკონტროლო კომისიას პარტიიდან გამორიცხულ ფრაქციონერი —კვაჭაძის მიერ რაც ამ საქმის ხელმეორედ აღმოცენების საბაბათ შეიქმნა, თავისთავად ახალ რამეს არ შეიცავს და არ შეუძლია მას შეიტანოს რამე ცვლილება ამხ. ურუშაძის შესახებ პარტიულ ორგანოების მიერ გამოტანილ უწინდელ დადგენილებებში რომ ყოველივე მითქმა-მოთქმა და განცხადებები ამ საგანზე პარტიიდან გამორიცხული კვაჭაძის და სხვა ფრაქციონერების მიერ არის მხოლოდ გაკოტრებულ ფრაქციონერის პრაზიონობის შედეგი ცენტრ.—საკ. კომისია ადგენს: ერთხელ და სამუდამოდ ამხ. ურუშაძე ჩაითვალოს გამართლებულად და საქმე არქივს გადაეცეს.

საკავშირო კომ. პარტიის (ბ) ცენ. საკონტროლო კომისიის დადგენილება ამავე საკითხზე.

იქნა რა მოსმენილი ამხ. ურუშაძის პირადი განმარტებები და საქართველოს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიის თავმჯდომარის ამხ. შ. ლიჟავას აზრი და მიღებული მხედველობაში, რომ ამხ. ურუშაძე აწარმოებდა რევოლუციონურ მუშაობას ბოლშევიკებთან ერთად საქართველოს მენშევიკების მთავრობისათვის ამ განცხადების მიცემის შემდეგაც, რომელ განცხადებასაც იგი აღიარებს დაუშვებელ შეცდომათ და აგრეთვე იქნა რა მიღებულ მხედველობაში ისიც, რომ ეს საქმე გარჩეულ საქართველოს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მიერ იმ დროში მონაწილეობის მიმღებ ამხანაგებთან ერთად,—საკითხი ჩაითვალოს ამოწურულად საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის 1926 19 დეკემბრის დადგენილებით.

---

*) ვინაიდან ეს მასალები იმ სახით და რაოდენობით, როგორითაც ახლა იბეჭდება, ამას წინად „ადს"-მა შეცდომით არ გადაუგზავნა რედაქციებს და მაშინ დაიბეჭდა შეკვეცილად, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ვბეჭდავთ მათ მთლიანად. ა. დ.

ამხ. ტარუმოვის თვითმკვლელობა

ერევანი, 2 იანვარი. თავი მოიკლა ოპოზიციონურ-ფრაქციონული მუშაობისათვის პარტიიდან გამორიცხულმა ტომას ტარუმოვმა. თვითმკვლელობა ერთის მხრივ გამოწვეულია ოპოზიციისადმი იმედის დაკარგვით, მეორის მხრივ კი შიშით, რომ შეცდომების აღიარებისათვის ოპოზიცია მას გამცემლის სახელით მონათლავდა.

პარტიიდან გამორიცხვა

ხარკოვი, 2 იანვარი ხარკოვის საოლქო საკონტროლო კომისიამ ფრაქციული მოღვაწეობისათვის პარტიიდან გამორიცხა ჯგუფი 17 კაცის შემადგენლობით, რომელსაც თავი მოჰქონდა „უკრაინულ ცენტრათ". ამ ჯგუფის მოღვაწეობის გარჩევის დროს მისი წევრები არ იმიჯნებოდნენ ოპოზიციონურ შეხედულებისაგან და განაცხადეს. რომ განაგრძობენ თავის შეხედულებების დაცვას და მათ გატარებას ცხოვრებაში.

როგორ უნდა მუშაობდნენ პარტორგანიზატორები

უჯრედთა პარტორგანიზატორების მუშაობა შემდეგი სახით წარმოგვიდგება: როგორც საერთო მოვლენა პარტორგანიზაციების შემადგენლობა პოლიტიკური მომზადების თვალსაზრისით არაა სავსებით დამაკმაყოფილებელი. ხშირად პარტორგანიზატორები თავისი განვითარებით უფრო დაბალ საფეხურზე დგანან, ვიდრე ის მუშები და მოსამსახურეები, რომელთაც ეს პარტორგანიზატორები უწევენ ხელმძღვანელობას. ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ უჯრედები პარტორგანიზატორებათ მეტწილად გამოყოფენ პარტიის ახალგაზრდა, არააქტიურ წევრებს და აგრეთვე კანდიდატებს. ზოგიერთ უჯრედებში (მუშკოოპი) ორგანიზატორებად არიან არა რიგის მუშაკები, არამედ ადმინისტრაციული პერსონალი. პარტორგანიზატორებად ადმინისტრატორების გამოყოფა არ იძლევა მასებთან მჭიდრო კავშირის დაჭერას და მათში ამა თუ იმ მუშაობის წარმოების შესაძლებლობას. პარტორგანიზატორებმა დღემდე ვერ შესძლეს დაწვრილებით შეესწავლათ ცალკე დებულებები მათი მუშაობის შესახებ და დაეკავშირებინათ ისინი ამა თუ იმ წარმოების ან დაწესებულების თავისებურებებთან. მიუხედავათ პარტორგანიზატორების მუშაობის წლიური გამოცდილებისა, პარტორგანიზატორები და ჯგუფ ორგანიზატორები ჯერ კიდევ სავსებით არ იცნობენ თავიანთ ფუნქციებს. ეს აიხსნება იმით, რომ უჯრედთა ბიუროები არ უწევდნენ სათანადო ხელმძღვანელობას პარტორგანიზატორებს. უჯრედები მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ პარტორგანიზატორებს აცნობდნენ დებულებას პარტორგანიზატორების მუშაობის შესახებ. რაც შეეხება უჯრედების ბიუროების მიერ პარტორგანიზატორების მუშაობის რეგულიარულ ხელმძღვანელობას და მათთვის კონკრეტიულ მითითებათა მიცემას,—უნდა ითქვას, რომ ასეთს ადგილი არ ჰქონია. ასე მაგალითად, „26" კომუნარის სახელობის ქარხნის, არსენალის, ტრამვაიის და სხვ. უჯრედების ჯგუფორგანიზატორები არ ადევნებენ თვალყურს ბიუროს გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას, ვინაიდან უჯრედების ბიუროები თავიანთ სხდომებზე არ იწვევენ პარტორგანიზატორებს და ეს უკანასკნელნი არ იცნობენ არც ბიუროს გადაწყვეტილებებს და არც მაღლა მდგომ პარტორგანოების ცირკულიარებს.

პარტორგანიზატორები მცირე გამონაკლისის გარდა, თავის მუშაობის შესახებ არ უდგენენ ანგარიშს უჯრედების ბიუროებს. არ თუ უდგენენ,—უჯრედების ბიუროებს მეტწილად არავითარი პრაქტიკული წინადადებები არ გამოაქვთ. ჯგუფორგანიზატორები დღემდე მხოლოდ ზეპირ ინფორმაციას აწვდიან უჯრედების მდივნებს შემჩნეული დეფექტების შესახებ. მიუხედავად აღნიშნული ნაკლისა, მაინც უნდა ითქვას, რომ საერთოდ, საწარმოო უჯრედებში პარტორგანიზატორების ინსტიტუტმა ფეხი მოიკიდა; ჯგუფორგანიზატორების წინაშე იშლება მოღვაწეობის ფართო ასპარეზი, განსაკუთრებით ოქტომბრის გაწვევის ახალგაზრდა კადრებს შორის მუშაობის დარგში და აგრეთვე იმ მუშებს შორის, რომლებიც ახლო დგანან ჩვენ პარტიასთან.

დაწესებულების უჯრედებში ჩვენ სხვა სურათი გვაქვს. იქ პარტორგანიზატორების ინსტიტუტი უფრო მოიკოჭლებს, ჯგუფორგანიზატორებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ თავისი როლი ბიუროკრატიზმისა და პროტექციონიზმთან ბრძოლაში და აგრეთვე საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებისა და რაციონალიზაციის დარგში, ამიტომ იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ ჯგუფორგანიზატორებს საბჭოთა დაწესებულებებში თითქოს „არაფერი აქვთ გასაკეთებელი", როგორც ამის შესახებ ლაპარაკობენ საბჭოთა დაწესებულებების უჯრედების ჯგუფორგანიზატორები.

ვუკეთებთ რა ჯამს პარტორგანიზატორების მუშაობას, შეიძლება ითქვას შემდეგი:

პარტორგანიზატორების მუშაობის გამოცდილებამ დაამტკიცა მათი როლი ცხოველმყოფელობა და მთელ რიგ უჯრედებში, სადაც პარტორგანიზატორების მუშაობა სწორად იყო დაყენებული, ადგილი აქვს მიღწევებს, რაც გამოიხატება უჯრედის შინა მუშაობის გაუმჯობესებაში და პარტიულ მასებზე უჯრედის გავლენის გაძლიერებაში.

მაგრამ ყველა უჯრედებს არ აქვთ საკმაოდ შეგნებული პარტორგანიზატორების მნიშვნელობა, ზოგიერთი მათგანი არ უწევდა სათანადო ხელმძღვანელობას პარტორგანიზატორების მუშაობას.

შარშანდელ თათბირზე აღნიშნული ნაკლი ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა.

ჩვენი შემდგომი ამოცანა უნდა მდგომარეობდეს არსებულ ნაკლის აღმოფხვრაში.

ვ. ჯ.

კომკავშირის რიგების დათვალიერება

მოსკოვი, 1 იანვარი. საკავშირო კომკავშირის ც. კ-მა წინადადება მისცა ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ 23 თებერვალს ჩატარონ წითელ არმიის ათი წლის იუბილე კომკავშირის მებრძოლი რიგების დათვალიერების ლოზუნგით, რამაც ჯამი უნდა გაუკეთოს ახალგაზრდობის სამხედრო მუშაობას და ხელი შეუწყოს გასამხედროების ხარისხის ამაღლებას. დათვალიერება უნდა დაიწყოს ხლისთავიდან, არა უგვიანეს ერთ თვისა. რომლის განმავლობაშიც ახალგაზრდა უნდა გაეცნოს წითელი არმიის ყოფა-ცხოვრებას, მუშაობას და მეცადინეობას. (ადს).

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

წითელი ჯვრის კონფერენცია

სიღნაღი, 1 იანვარი. ჩატარდა წითელი ჯვრის სამაზრო კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 20 დელეგატი და ცენტრ. გამგეობის წარმომადგენელი. წითელი ჯვრის სამაზრო გამგეობის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში საზოგადოების მოქმედება მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა. ყველა თემებში დაარსებულია უჯრედები, რომლებიც აერთიანებენ 61 კოლექტივს 3.000 წევრით. ამჟამად საზოგადოებას მოეპოება ერთი სამშობიარო თავშესაფარი სოფ. ქვედა-ქედაში და ერთი საექიმო პუნქტი სოფ. ბაისუბანში. საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მალარიით დაავადებულ რაიონებს, სადაც ჩატარებულია მოსახლეობის თითქმის სრული ქინიზაცია. ამის გარდა საზოგადოება ენერგიულ ზომებს იღებდა სანიტარული განათლების გასავრცელებლად, რისთვისაც აწყობდა წრეებს. უფასოთ არიგებდა ლიტერატურას და სხ. (ადს).

სასოფლო-სამეურნეო მუშაკთა კონფერენცია

გორი, 1 იანვარი. გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო მუშაკთა კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 30 დელეგატი. კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: სპეციალისტების როლი სოფლად. კავშირის ცენტრ. გამგეობის მოხსენება, ინჟინერ-ტექნიკოსების სამაზრო ბიუროს მოხსენება. სამაზრო ბიუროს არჩევნები და დელეგატების არჩევა სასოფლო-სამეურნეო მუშათა სრულიად საქართველოს ყრილობაზე. (ადს).

საგზაო მშენებლობა

ოზურგეთი, 1 იანვარი. მიმდინარე წლის იანვრიდან დაიწყება ოზურგეთ-საჯევახოს გზატკეცილის კაპიტალური რემონტი. აღნიშნულ სამუშაოსათვის ცენტრის მიერ გადადებულია 40.000 მან. მუშაობაში საგზაო სავალდებულო ბეგრის სახით მონაწილეობას მიიღებს აღმოსავლეთ გურიის 11 თემი. (ადს).

წერილები

დ. ხარაგოულის კეთილ-მოწყობის შესახებ

ხარაგოულს ბუნება მტრად გადაქცევია. ის ვიწრო ხევშია ჩაკეტილი; გასაქანი არსაით აქვს. სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩხერიმელის შმაგი ტალღები ნიადაგს ალღის მის კალთებს, სამხრეთით კი ჩამოურბის პატარა, მაგრამ გიჟი ჯიხველა, რომელიც ადიდების დროს შიშის ჟრუანტელს გვრის ხარაგოულის მოსახლეობას. ვინ მოსთვლის რამდენჯერ მოურეცხავს მას მთელი ქვედა ბაზარი, რამდენჯერ აუვსია სახლები ქვიშით.

მდინარე ჯიხველაზე ნაკლებ ზარალს არ აძლევს ღომაეთის სერებიდან მოვარდნილი, ეგრედ წოდებული რახიელის ღელე.

უძველეს გზატკეცილზე, რომელსაც აღმოსავლეთისაკენ მიჰყავდა სავაჭრო ქარავნები, ხარაგოული საუკეთესო თავშესაფარი და მოსასვენებელი ადგილი იყო. დღეს კი ხარაგოული წყლებისაგან დაზარალებულ-დასირულია. 1905 წლის რევოლიუციის დროს ხარაგოულში ხანდევის კლდეებში გაუთხარა სამარე მეფის ჯალათებს—დავიდოვის რაზმს. ამან გამოიწვია ალიხანოვის შურისძიება. მთელი დაბა გადაბუგეს. მაგრამ ის ხელახლა დაიბადა ფერფლიდან ახალი გამარჯვებისათვის. ამის ნიშნები კიდეც გვიდგა თვალწინ. უკვე ჩაეყარა საძირკველი ხარაგოულის ელსადგურს; ძალი დაიგუგუნებს [illegible] ძრავი და ნათელი მოეფინება ხარაგოულის ბნელით მოცულ მიდამოებს. ხარაგოულს, ჯიხველას და ჩხერიმელის გამანადგურებელ ტალღებს დულებით ნაშენ კალაპოტებში ჩასვამს, თავისუფალ [illegible] კი მოსახლეობისათვის გამოიყენებს. მდ. ჩხერიმელის მარჯვენა ნაპირას, ზედა ბაზრის თავიდან დაუყევება ქვის კედელი, რომელიც შეუერთდება ძმათა სასაფლაოს ნახევარ კუნძულს. აქედან კედელი წავა და შეუერთდება კოპიტნარის ნახევარ კუნძულს. რახიელის ხევის-წყალს ორთავე კუთხეზე გაკეთებული ექნება იგივე კედლები, რომლის ტევადობა 3—10 მეტრამდე უდრის ხევიდან მოზღვავებულ მასას. გასაქცლი კარები ღია იქნება ამ ქვა-ღორღისათვის მდ. ჩხერიმელის შესართავთან. ამგვარი გეგმის მიხედვით იზღუდება კალაპოტში მდ. ჯიხველაც. ზედა ბაზარს, რახიელის ღელიდან მდ. ჯიხველამდე ემატება 27.500 კვ. საჟენი არე. ქვედა ბაზარს კი მდ. ჯიხველადან კოპიტნარის ხევამდე კუნძულამდე ემატება 33.580 კვ. საჟენი თავისუფალი მიწა.

აღნიშნული გეგმის ძირითადად უნდა გაუმჯობესდეს ხარაგოულის სანიტარული მდგომარეობა. ხარაგოულს დღეს არა აქვს [illegible] გამტარი არხები; მთელი ჭუჭყი იღინთება მიწის ნიადაგში და უერთდება მახლობელ ჭებს რითაც მოსალოდნელია რაიმე ეპიდემიის საფრთხე. ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად ხარაგოულის ახალი გეგმით ჩხერიმელის სანაპირო კედელს გასწვრივ გაჰყვება მთავარი „კოლექტორი“, რომელსაც უერთდება ყველა პერიფერიებიდან ჭუჭყის გამტარი არხები და შედიან მდ. ჩხერიმელაში.

უნდა ითქვას აგრეთვე, რომ ხარაგოულის [illegible] მომარაგება კარგი სასმელი წყლით ადვილია და მეტად მოხერხებული. ს. ფარცხნალის წყაროები, რომლებიც არა უმეტეს სამი ვერსით არიან დაცილებულნი დ. ხარაგოულს, მდებარეობენ ისეთ სიმაღლეზე, რომ წყლის დაწოლა სრულებით საკმარისი იქნება ორივე ზედა და ქვედა ბაზრის წყლით მომარაგებისათვის. რაც შეეხება წყლის რაოდენობას, უნდა ითქვას, რომ თუ ფარცხნალის წყაროებს შეუერთებთ დ. ჯიხველის პირზე ჰიპაშვილების წყაროს, ჩვენ მივიღებთ დღე და ღამეში რამოდენიმე ათი ათას ვედრო წყალს. რაც სრულებით დააკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებას.

ადგილობრივი მუშაკების და თვითეულ მოქალაქის მოვალეობას შეადგენს ხელი შეუწყოს ხარაგოულის კეთილ-მოწყობას და თავიდან აიცილოს ის დაბრკოლებები, რომლებიც წინ ეღობებიან მას ეკონომიურად და კულტურულად აღორძინების გზაზე.

კ. კილენჯერიძე.

საჭიროა ყურადღება
(სოფ. წავკისი. თბილისის მაზრა)

წავკისში არის კოოპერატიული სავაჭრო რომელიც მოთავსებულია უვარგის შენობაში. პირველ მოთხოვნილების საგნები ძალზე ცოტაა სავაჭროში. ფქვილი სულაც არ იშოვება. სამაგიეროდ ბლომად აქვთ ღვინო და ხშირად იმართება ქეიფი. ხორცის გამყიდველ ფარდულებში ჩარჩი ზის.

ცეკავშირმა ამ სავაჭროს მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს.

გ. გარსიაშვილი.

დიდი თოვლი კახეთში
(თელავი)

წელს კახეთში ზამთარი ძლიერ ადრე დაიწყო. ნოემბერში მოვიდა პირველი თოვლი და დაიჭირა ყინვები. შემდეგ ცოტა მოთბა, მაგრამ 20 დეკემბერს ამოვარდა ძლიერი ქარიშხალი და მას მოყვა თოვლი. ამჟამად დაბლობებში თოვლის სიღრმე ნახევარ მეტრს აღწევს. მიმოსვლა შეწყვეტილია. გლეხობა [illegible] წისქვილების მუშაობის [illegible] წყლის ნაკლებობით.

კან—ლი

საბჭოთა არჩევნებისათვის

საკ. პროფსაბჭო საბჭოების გადარჩევის შესახებ

მოსკოვი, 2 იანვარი. საკ. პროფკავშირთა ცენტრ. საბჭო ადგილებზე დაგზავნილ სადირექტივო წერილში მიუთითებს, რომ ვინაიდან მომავალ საბჭოთა საარჩევნო კამპანიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანების პრაქტიკულად გადაჭრის პირობებში, აღნიშნავს რომ პროფორგანიზაციებმა უნდა მოამზადონ და უზრუნველყონ, როგორც სოფლად, ისე ქალაქად ყველა მუშების და მოსამსახურეების აქტიური და ენერგიული მონაწილეობა კამპანიაში. საბჭოებში წამოყენებული უნდა იქნენ როგორც წარსული მოწვევის საბჭოების ის დეპუტატები, რომლებმაც გამოიჩინეს სათანადო ენერგია და საქმიანობა, აგრეთვე იმ მუშების ახალი კადრები. რომლებიც სარგებლობენ ავტორიტეტით მუშათა წრეებში და რომლებიც სარგებლობას მოუტანენ საბჭოებს. პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო იღებს რა მხედველობაში არჩევნებთან დაკავშირებულ პოლიტიკურ ბრძოლის სირთულეს სოფლად, აღნიშნავს, რომ პროფკავშირებმა, განსაკუთრებით კი სასოფლო-სამეურნეო მუშების კავშირმა, სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ მოჯამაგირეების, მწყემსების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, სეზონური მუშების, მასწავლებლების და აგრონომების ფართოდ ჩაბმას საარჩევნო კამპანიაში, რათა არჩევნებმა პოლიტიკური იზოლაციის როლი ითამაშოს კულაკების მიმართ და საბჭოების ირგვლივ შემჭიდროვოს ღარიბ და საშუალო გლეხობის უფრო ფართე აქტივი. ამ მიზნით სასურველია არჩევნების დროს თემებსა და რაიონებში გაიგზავნოს პროფკავშირთა საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ორგანოების წარმომადგენლები. (ადს).

სწერეთ საბჭოთა არჩევნების შესახებ

პარტია და ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ ჩააბას საბჭოთა არჩევნებში მშრომელი მასების რაც შეიძლება მეტი რაოდენობა. ამ მიზნით სხვა მრავალ ღონისძიებათა შორის პრესას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

საარჩევნო კამპანია, როგორც ყოველთვის, უნდა პოულობდეს გაზეთების ფურცლებზე, რაც შეიძლება სრულ გამოხატულებას. გაზეთი მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს ადგილობრივ ორგანიზაციებს და უნდა იღებდეს ცნობებს, როგორც საარჩევნო კამპანიის მომზადების, ისე თვით არჩევნების შესახებ. მთავარი, რასაც უნდა მიექცეს ამ შემთხვევაში ყურადღება, ესაა კამპანიის მსვლელობის ფაქტიური მხარის გაშუქება. არაა საჭირო საბჭოთა არჩევნების საერთო მნიშვნელობის შესახებ წერა. მთავარია კამპანიის მსვლელობის ფაქტიური მხარის აღნუსხვა, სახელდობრ ცნობები იმის შესახებ, თუ ვისგან შესდგება საარჩევნო კომისია, როგორ მუშაობს ის, აქვს თუ არა ადგილი საარჩევნო ინსტრუქციის დამახინჯებას, რა მონაწილეობას იღებს არჩევნების კამპანიაში ადგილობრივი პარტიული თუ კომკავშირის ორგანიზაცია, როგორი მუშაობა სწარმოებს ღარიბ გლეხკაცობის შორის იმისათვის, რომ მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, როგორია ამ მხრივ ქალთა შორის მუშაობა, რაში გამოიხატება სამკითხველოს მუშაობა საარჩევნო კამპანიაში და სხ.

ამ საკითხებზე გაზეთს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია დამაკმაყოფილებელი და სრული პასუხი გასცეს. თუ მას დახმარებას გაუწევს ყველა ის, ვინც დაინტერესებულია საბჭოთა არჩევნებით და ვისაც ისე მაინც ეხერხება კამათი, რომ შეუძლია რამდენადმე მაინც გასაგები ენით აზრების წერილობითი გამოთქმა. მუშა და გლეხ კორესპონდენტებმა ამ მხრივ მაგალითი უნდა მისცენ სხვებს. საბჭოთა არჩევნების კამპანიის მსვლელობაში მათ განსაკუთრებული აქტივობა უნდა გამოიჩინონ.

წარსულ საარჩევნო კამპანიების გამოცდილებით ვიცით, რომ მუშა და გლეხ კორესპოდენტებმა უდიდესი სამსახური გაუწიეს პრესას არჩევნების ფართოთ გაშუქების საქმეში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მუშგლეხკორები მიმდინარე არჩევნებში სავსებით გაამართლებენ იმ იმედებს, რომელთაც მათზე ამყარებს ჩვენი პრესა

დ. დ—ნი.

პოლიტგანის მონაწილეობა საბჭოთა არჩევნებში

საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით, საქ. მთავარ პოლიტგანმა შეიმუშავა ცირკულიარი საპოლიტ-განმანათლებლო ორგანოების მორიგ გადარჩევებში მონაწილეობის შესახებ. ცირკულიარი დაეგზავნება საქართველოს ყველა სამაზრო პოლიტგანებს ცირკულიარის მიხედვით სამაზრო პოლიტგანებს ევალებათ გასწიონ აგიტაცია-პროპაგანდა არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის აგიტაცია-პროპაგანდა უნდა გამოიხატოს შემდეგში:

საარჩევნო კამპანიის განმავლობაში საპოლიტ-განმანათლებლო ორგანოებმა უნდა ჩაატარონ რამოდენიმე პოპულიარული მოხსენება საბჭოების გადარჩევის მნიშვნელობაზე, კლუბები და ქოხსამკითხველოები უნდა მორთონ კამპანიასთან დაკავშირებულ პლაკატებით ლოზუნგებით, და დიაგრამებით. უნდა მოაწყონ აგრეთვე საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა. გამოცემულ უნდა იქნას საგანგებო კედლის გაზეთები, რომლებშიაც დიდი ადგილი უნდა დაეთმოს ადგილობრივ საბჭოების მუშაობას და გადარჩევის საერთო მასალებს. ღარიბთა და ქალთა შორის უნდა ჩატარდეს სპეციალური კამპანია არჩევნებში მათი ფართო ფენების ჩაბმის მიზნით.

არჩევნების წინ ქოხ-სამკითხველოებმა უნდა მოაწყონ საგანგებო ყუთები, რომელშიაც გლეხებს შეეძლებათ შეიტანონ თავიანთი წინადადებები, თუ ვის ცნობენ ისინი საჭიროდ არჩეული იქნეს საბჭოებში. ასეთი ყუთის მნიშვნელობა წინდაწინ უნდა განემარტოს გლეხობას.

საარჩევნო კამპანიაში ჩაბმულ უნდა იქნას აგრეთვე ყველა საკლუბო წრეები: კოოპერატიული, სასოფლო-სამეურნეო, დრამატიული, მომღერალთა, სამხატვრო და სხ. ამ წრეებმა თავიანთ დარგებში უნდა განიხილონ გადარჩევასთან დაკავშირებული საკითხები.

დრამატიულ წრეებმა უნდა დადგან არჩევნების შესაფერისი წარმოდგენები, „ინსცენიროვკები“ და ცოცხალი გაზეთები. სადაც გაშუქებულ უნდა იქნეს გლეხობის როლი არჩევნებში.

გადარჩევის წინ გამართულ საღამოებზე მომღერალთა წრეები უმთავრესად უნდა გამოვიდნენ ახალი სიმღერებით. რომლითაც შინაარსი უნდა ახასიათებდეს თანამედროვე სოფლის ცხოვრებას, ჩვენი მეურნეობის ზრდას. და სხვ.

სამხატვრო წრეების მუშაობა უმთავრესად უნდა გამოიხატოს საარჩევნო პლაკატების, დიაგრამებისა და კარიკატურების დამზადებაში. პლაკატებში მოცემულ უნდა იქნას ნათელი სურათი ჩვენი სახალხო მეურნეობის ზრდისა, საბჭოთა მუშაობისა და სხ. ხოლო კარიკატურებში კი უნდა [illegible] საბჭოების მოწინააღმდეგე ელემენტების სურათი და სხ.

სამზადისი ადგილებზე

ახალციხეში

ახალციხე, 1 იანვარი. სამაზრკომმა შეამუშავა საბჭოების გადარჩევის კამპანიის ჩატარების გეგმა. გეგმის თანახმად 15 იანვრიდან—5 თებერვლამდე იწარმოებს არჩევნების ტექნიკური მომზადება: ამომრჩეველთა და საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიის შედგენა. საარჩევნო უბნების დანაწილება და სხ. 5 თებერვლიდან 29 თებერვლამდე—საანგარიშო კამპანია, 1 მარტიდან—31 მარტამდე—არჩევნები 10 აპრილს—საბჭოების სამაზრო ყრილობა (ადს).

ახალციხე, 1 იანვარი. სამი დღის მუშაობის შემდეგ დამთავრდა ღარიბთა ჯგუფების წარმომადგენელთა სამაზრო თათბირი. თათბირი მეტად ცხოველებულად ჩატარდა. კამათში გამოვიდა 25 კაცი. მიღებულ რეზოლიუციებში თათბირმა აღნიშნა ღარიბთა ჯგუფების რიცხობრივი და ხარისხობრივი ზრდა. რეზოლიუციებში დასახულია აგრეთვე მომავალი მუშაობის გეგმა (ადს).

ოზურგეთში

ოზურგეთი, 1 იანვარი. გამოყოფილია სპეციალური სამაზრო საარჩევნო კომისია, რომელსაც ევალება სოფლის საბჭოების გადარჩევის ჩატარება. კომისია შეუდგა წინასწარ მზადებას. საბჭოების გადარჩევა მოხდება თებერვლის ბოლო რიცხვებში (ადს).

ოზურგეთი, 1 იანვარი. დამტკიცებულია საბჭოთა გადარჩევის კამპანიის ჩატარების გეგმა. გეგმის მიხედვით მაზრა დაყოფილია 79 საარჩევნო პუნქტებად. მოსამზადებელი კამპანია დამთავრდება 20 იანვარს, 25 თებერვალს ჩატარებულ იქნება ამომრჩევლების [illegible] ჩაბარების კამპანია და 1 მარტიდან 1 აპრილამდე მოხდება გადარჩევა. ინსტრუქტაჟისა და ხელმძღვანელობისათვის თვითეულ თემზე მიმაგრებულია 3 პასუხისმგებელი.

ჩატარებულ კამპანიასთან დაკავშირებით 5 იანვარს მოწვეული იქნება სათემო აღმასკომების თათბირი (ადს).

სიღნაღში

სიღნაღი, 1 იანვარი. მთელ მაზრაში დაწყებულია მოსამზადებელი კამპანია. ადგილებზე გაიგზავნა პასუხისმგებელი მუშაკები და დაწყებულია ამომრჩეველთა სიების შედგენა (ადს).

საქ. ცაკში

დახმარება მაზრებს და ავტონომიურ რესპუბლიკებს

საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ საქართველოს მაზრებისათვის და ავტონომიურ რესპუბლიკებისათვის იმ საშუალებების გასაძლიერებლად, რომლებიც ადგილებზე ხელისუფლების ორგანოებს გადადებული აქვთ შრომის და ომის ინვალიდებისათვის პენსიების მისაცემათ თავის სპეციალურ საშუალებებიდან კიდევ გადასდო 110.000 მანეთი; ამ თანხიდან ზემოაღნიშნულ დანიშნულებისათვის განყოფილებამ უკვე გადაუგზავნა მაზრებს და ავტონომიურ რესპუბლიკებს 17.000 მანეთი.

დახმარება ბრმების საზოგადოებას

გარდა იმ 1.500 მანეთისა, რომელიც ამას წინად მისცა დახმარებათ საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ ბრმების საზოგადოებას, გუშინ კიდევ მიეცა დახმარებათ ამ საზოგადოებას 80 მანეთი.

სოციალურ უზრუნველყოფის საქმეზე

საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილების ცნობით, მთავრობამ დამსახურებული რევოლიუციონერების, საზოგადო მოღვაწეების და ომის და შრომის ინვალიდების უზრუნველყოფის საქმეზე, რომლებიც არ არიან აღრიცხული სოციალურ დაზღვევის ორგანოებში დახარჯა: 1923—24 საბიუჯეტო წელში—78.159 მანეთი და 84 კ., 1924—25 წელში—166.324 მანეთი და 39 კაპ.; 1925—26 წელში—208.019 მანეთი და 22 კაპ; 1926—27 წელში 350.685 მანეთი და 18 კაპ. ამ ანგარიშში არ შედის ის თანხები, რომლებიც ზემოაღნიშნულ წლებში სოციალურ უზრუნველყოფის საქმეზე დახარჯეს თავის საშუალებიდან სამაზრო აღმასკომებმა. მიმდინარე 1927—28 საბიუჯეტო წელში საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებას სოციალურ უზრუნველყოფის საქმეზე გადადებული აქვს—681.000 მანეთი.

ა. კ. სახკომსაბჭოში

გადასახადების აკრეფის ვადები

ა. კ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა 1927-28 საბიუჯეტო წელში სახელმწიფო პირდაპირ გადასახადების გადახდისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი ვადები:

გამათანასწორებელი გამოსაღები — 1-ლი თებერვალი, 15 აპრილი, 15 ივნისი და 15 აგვისტო; საშემოსავლო გადასახადი—15 მარტი, 15 მაისი, 15 ივლისი და 1-ლი სექტემბერი; გადასახადი განძეულობის ტრიალიდან 15 აპრილი და 15 აგვისტო და გადასახადი ზედმეტ მოგებაზე—15 მარტი და 15 მაისი.

ხელშეკრულებები კოოპერაციასა და ა. კ. საბამბო კომიტეტს შორის

ა. კ. სახკომსაბჭოს და ა. კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დააწესა შემდეგი ჯილდოები კოოპერაციისათვის ხელშეკრულებების შესრულებაზე.

ერთ ტონა ბამბაზე, რომელსაც კოოპერაცია ჩააბარებს ა. კ. საბამბო კომიტეტს, კოოპერაცია მიიღებს მეორე კატეგორიით 5 მან. 50 კაპ. მესამე კატეგორიით კი 9 მან. კოოპერაციის რესპუბლიკანური ცენტრი მიიღებს 91,5 კაპეიკს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პრემიალური ჯილდო 50 კაპ. რაოდენობით ერთი ტონა ნედლ ბამბაზე გაცემული იქნება ხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კოოპერაცია მთლიანად შეასრულებს ხელშეკრულებას.

რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზები

ა.-კ. სახკომსაბჭოს და ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო პროექტი დებულებისა რესპუბლიკანურ მნიშვნელობის გზების მომვლელობის წესების შესახებ.

თბილისის საბჭოს სექციებში

გუშინ, 2 იანვარს, შესდგა თბილისის საბჭოს სექციების მორიგი სხდომები.

ლომბარდის სესხის გაიაფებისათვის

რამოდენიმე კვირის წინად საფინანსო სექციამ თავის ერთ-ერთ სხდომაზე მოისმინა მოხსენება თბილისის ლომბარდის მუშაობის შესახებ და სხვათა შორის აღნიშნა ლომბარდიდან გატანილი სესხისთვის დაწესებულ პროცენტის სიდიდე. სექციამ საგანგებო კომისიას დაავალა გამოემუშავებინა ღონისძიებები ლომბარდიდან გასატან სესხის გასაიაფებლად. გუშინდელ სხდომაზე სექციამ ამ საკითხის შესახებ მოისმინა კომისიის მოხსენება და სათანადო დასკვნები. კომისია საჭიროდ სცნობს, რომ შემოღებულ იქნას კლასიური მიდგომა დამწინდრებლებისადმი. დამწინდრებელნი იყოფა ორ მთავარ ჯგუფად: მშრომელ და არამშრომელ ჯგუფებად. სესხის გატანის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს დამწინდრებელის სოციალური მდგომარეობა, რისთვისაც შემოღებული იქნება დამწინდრებელის მიერ საბუთის წარდგენა იმის შესახებ, თუ რომელი ჯგუფს ეკუთვნის იგი. იმ მიზნით, რომ ადგილი არ ექნეს ბოროტმოქმედებას სესხის გატანის დროს, (სესხის გატანას არამშრომელ ელემენტების მიერ მშრომელთა სახელით) ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოებრივ კონტროლის გაძლიერებას. კომისია საჭიროდ სცნობს აგრეთვე გასასესხებელი თანხის [illegible] განაწილებას. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმ დამწინდრებელთა დაკმაყოფილებას, რომელნიც ითხოვენ სესხს 50 მანეთის ფარგლებში. კომისიას სრულიად ნორმალურად მიაჩნია სესხზე საშუალოდ დაწესდეს ათ პროცენტიანი მოგება. სესხის სარგებლობისათვის წესდება შემდეგი წლიური პროცენტი პირველი ჯგუფისთვის: 1 მან-დან 49 მანეთამდე 12 პროცენტი, 49-დან 99 მანეთამდე 18 პროც., 99 მანეთიდან 200 მანეთამდე 24 პროცენტი.; არამშრომელი ჯგუფებისათვის — 1 მანეთიდან 99 მანეთამდე 36 პროცენტი და 100 მან.—200 მანეთამდე 42 პროცენტი.

სექციის წევრთა მიმაგრება საგადასახადო უბნებზე

სექციის წევრთა მუშაობის გასაცხოველებლად სექციამ საჭიროდ სცნო საგადასახადო უბნებზე მიმაგრებულ წევრთა ხელახალი განაწილება. ძველი წევრები შეცვლილი არიან სექციის ახალი წევრებით. სულ საგადასახადო უბნებზე მიმაგრებულია 14 ამხანაგი; მათ შორის ძველი წევრია მხოლოდ ორი.

რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფო

ჯანმრთელობის სექციის გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ექიმ ჭიჭინაძის (მთავარ საავადმყოფოს გამგის მოადგილე) და სექციის მიერ გამოყოფილ კომისიის მოხსენება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს მდგომარეობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა შემდეგი: საავადმყოფოს ფინანსიური მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი, მისი წლიური ხარჯთაღრიცხვა მხოლოდ 216 ათასი მანეთით განისაზღვრება. [illegible] ლობა არის [illegible], რომ საავადმყოფოს არ ჰყავს ექიმთა საკმაო შტატი და მეტად საზღვრულია აგრეთვე მომვლელ ქალთა რიცხვი. თვითეულ მომვლელ ქალს [illegible] უხდება 25 ავადმყოფის მოვლა; [illegible] ისეთი განყოფილებებიც, სადაც თვითეულ მომვლელ ქალზე მოდის 550 ავადმყოფი. დაბალია აგრეთვე მომვლელ ქალთა მეტი ნაწილის კვალიფიკაცია, რაც აშკარად მოქმედობს მათი მუშაობის ღირსებაზე. საავადმყოფოს არ გააჩნია საკმაო თეთრეული. თეთრეულის ერთი-მესამედი გაცვეთილია და მოითხოვს გამოცვლას. კვებაც ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე.

აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ სექციამ საჭიროდ სცნო გადადგმულ იქნეს პრაქტიკული ნაბიჯი აღნიშნულ ნაკლულოვანებათა გამოსასწორებლად. უპირველეს ყოვლისა მიღებულ უნდა იქნეს ზომები საავადმყოფოს შენობის შესაკეთებლად, მომვლელ ქალთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და მათი რიცხვის გასადიდებლად, ავადმყოფთა კვების გასაუმჯობესებლად მთავარ საავადმყოფოში მომუშავე მედპერსონალის ხელფასის გასათანაბრებლად სხვა საავადმყოფოების მედპერსონალის ხელფასთან და სხვა.

განათლების სექციის რეორგანიზაცია

ახალი დებულების თანახმად, რომელიც სექციას გააცნო მომხსენებელმა ამხ. ტყაბლაძემ, ხდება განათლების სექციის რეორგანიზაცია. უქმდება სექციასთან მოწყობილი მუდმივი ქვესექციები და კომისიები და მათ ნაცვლად ეწყობა დროებითი კომისიები. ეს ღონისძიება საშუალებას მისცემს სექციას, რომ აქტიურ მუშაობაში ჩააბას სექციის წევრთა უფრო მეტი ნაწილი. ახალი დებულების თანახმად უფრო უნდა გაძლიერდეს სექციის წევრთა მიმაგრება დაწესებულებებზე და სექციის აქტიურ წევრ მუშების დაწინაურება ამა თუ იმ თანამდებობაზე.

საზოგადოებრივი შრომა სკოლებში

განათლების სექციის ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ზავარიანის მოხსენება საზოგადოებრივ შრომის შესახებ შრომის სკოლებში. კომისიამ, რომლის სახელით სექციას წარუდგა ამხ. ზავარიანი, გამოიკვლია საზოგადოებრივი შრომა ექვს სასწავლებელში. კომისია გაეცნო მოწაფეების მუშაობას სახელოსნოებში, ბაღებში, ბოსტნებში და სხვ. კომისიის დასკვნა ასეთია: სკოლების დიდ ნაწილს არა აქვს სათანადოთ მოწყობილი სახელოსნოები, სახელოსნოებს აკლია ბევრი ხელსაწყო იარაღები, რაც ხელს უშლის შრომის ნაყოფიერებას. ბაღების, ბოსტნების სივიწროვე, სადაც ბავშვებს უხდებათ მუშაობა, მეტად განსაზღვრულია და საშუალებას არ იძლევა შრომის გასაფართოებლად. კომისიის გამოკვლევა შეეხო აგრეთვე სანიტარული საქმის დაყენებას ზემოხსენებულ სკოლებში. კომისია სკოლების სანიტარულ მდგომარეობას დამაკმაყოფილებლად სცნობს.

ჩინეთის მუშათა დელეგაცია
თბილისში

გუშინ, დღისით ჩინეთის მუშათა დელეგაცია მთელი შემადგენლობით ესტუმრა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს, სადაც საუბარი ჰქონდა პროფსაბჭოს მდივანთან ამხ. ბ. მაჩაიძესთან.

დელეგაციამ ამხ. მაჩაიძეს მისცა შემდეგი შეკითხვები: პროფმოძრაობა საქართველოში, როგორი ურთიერთობაა ამიერ - კავკასიის რესპუბლიკებს შორის, ურთიერთობა საკავშირო ცაკთან, ეროვნული საკითხი საქართველოში მეფის მთავრობის დროს და ეხლა, შემუშავებულია თუ არა სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა და სხვა.

ყველა ამ კითხვებზე ამხ. მაჩაიძემ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა დელეგაციას.

მშენებლობა დასავლეთ საქართველოში
(საუბარი ს. მ. უ. ს თავმჯდომარე—ინჟ ბ. ჭიჭინაძესთან)

ამას წინად ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ინჟ. ბ. ჭიჭინაძე გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში ადგილობრივ მშენებლობის გასაცნობად და ახლად დაწყებულ ფაბრიკა ქარხნების აგების საქმის გამოსაკვლევად. დაბრუნებისას ინჟ. ბ. ჭიჭინაძემ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— დასავლეთ საქართველოში მე დავათვალიერე ბარიტის ახალი ქარხანა, აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა ქუთაისში, კირის ქარხანა მოწამეთაში, გავეცანი რიონჰესის სამუშაოებს, დავათვალიერე აბაშის ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო სამუშაოები, ვიყავი ოზურგეთში, სადაც დავათვალიერე ადგილობრივი აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა, გავეცანი აგრეთვე ხონის აბრეშუმის სახვევი ქარხნის მშენებლობას და დასასრულ დავათვალიერე აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოები.

ბარიტის საფქვავი ქარხანა სავსებით დამთავრებულად ითვლება იანვრის ბოლო რიცხვებში. ქარხნის მთელი მოწყობილობა მიღებულია და საამშენებლო სამუშაოთა დაწყების დასრულების შემდეგ დაუყოვნებლივ შეუდგებიან მოწყობილობათა დადგმას. ფაბრიკის აგება ჯდება 560.000 მანეთი და წლიურად ეს ქარხანა გადაამუშავებს 400 ათას ფუთ ბარიტს.

ქუთაისის აბრეშუმის სახვევი ქარხანა იქნება ერთ-ერთი უდიდესი ქარხანა მთელ საქართველოში. ქარხანაში დაიდგმება 144 ტაზი და მისი აგება დაჯდება არა უმეტეს 460.000 მანეთისა. ქარხნის აგების დამთავრება ვარაუდებით იყო 1928 წლის ოქტომბრისათვის. მაგრამ ამჟამად ირკვევა, რომ ქარხნის დამთავრება შესაძლებელია უფრო ადრეც. მთელი საამშენებლო სამუშაოები და [illegible] ხოლო ქარხნის ექსპლოატაცია კი დაიწყება დაახლოებით ივნისის პირველ რიცხვებიდან.

კირის ქარხნის საამშენებლო სამუშაოები ამჟამად დაწყებითი პერიოდშია. ქარხნის აგება იჯარის წესით გადაცემული აქვს ხარკოვის საამშენებლო ფირმას „ტრუბსტროის“. ეს ქარხანა აგებული იქნება ტყიბულის რკინის გზის შტოზე სოფელ მოწამეთის ახლოს. ამჟამად ქარხნის საამშენებლო სამუშაოები სიცივეების გამო დროებით შეწყვეტილია, მაგრამ თებერვლიდან ეს სამუშაოები განახლებული იქნება და თანახმად „ტრუბსტროისთან“ დადებულ ხელშეკრულებით [illegible] დამთავრდება ივლისისათვის. ქარხნის აგება ჯდება 200 ათასი მანეთი და მისი წლიური პროდუქცია მიაღწევს ერთ მილიონ ფუთამდე.

—რიონის ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო წინასწარი სამუშაოები თითქმის სავსებით დამთავრებულია. ახლო მომავალში დაწყებული იქნება შემდეგი მთავარი სამუშაოები: ჯებირის აგება სადერივაციო გვირაბის და არხის გაყვანა. ყველა ძირითად გენერალურ სამუშაოთა დაწყება ჯერ ჯერობით დაბრკოლებულია მხოლოდ იმ გარემოებით, რომ ცენტრიდან თავის დროზე ვერ ვღებულობთ საჭირო ასიგნობებს და ფინანსიური მხარის ასეთი დაბრკოლება იწვევს სამუშაოთა დაწყების დაგვიანებასაც. ამჟამად ს. მ. უ. საბჭო ღებულობს ზომებს, რომ ეს ასიგნობები დროულად იყოს მიღებული ცენტრიდან და იმავე ხნიდან, როგორც ცენტრი მიიღებს და დაამტკიცებს სადგურის საამშენებლო ტექნიკურ პროექტს, შევუდგებით სამუშაოების გაშლას ფართო მასშტაბით. ჩვენ ვფიქრობთ ახლო ხანში გამოვაცხადოთ საჯარო ვაჭრობა ჯებირისა და სადერივაციო გვირაბის გასაყვან სამუშაოებზე და აღნიშნულ სამუშაოთა შესრულება მივანდოთ რომელიმე დიდ სახელმწიფო ორგანიზაციას, არხი და წყალსაცავი კი აგებული იქნება ადგილობრივ სამშენებლო ორგანიზაციების მიერ.

მე დაწვრილებით გავეცანი აგრეთვე აბაშის ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო სამუშაოებს. 24 და 26 დეკემბერს აბაშის ელსადგურზე მოხდა საწნევი მილების გამოცდა, რამაც შესანიშნავი შედეგები მოგვცა. ახლო ხანში დაიწყება გენერატორებისა და ტრანსფორმატორების გამოზრობა, რის შემდეგაც ენერგია გაშვებული იქნება მთავარ გადამცემ ხაზებში. პირველ რიგში ენერგია გადაეცემა შემდეგ ქვე-სადგურებს: მარტვილს, ზანდას, სენაკს და ფოთს. ფოთში აბაშის ენერგიის მისაღებად უკვე სწარმოებს საჭირო სამუშაოები და ქალაქის არსებული ქსელი გადაკეთებული იქნება აბაშის ენერგიის მისაღებად გადამცემი ქსელის საერთო სიგრძე უდრის 94 კილომეტრს. პირველ ხანებში ჰიდრო-ელსადგურზე ამუშავებენ მხოლოდ ერთ აგრეგატს, მაგრამ ახლო ხანში დაიწყება აგრეთვე მეორე აგრეგატის დადგმაც. ორივე აგრეგატი მოგვცემს 1.700 ცხენის ძალას.

ოზურგეთის აბრეშუმის სახვევი ქარხანა გაფართოებული იქნება და ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს იმ ანგარიშით, რომ მომავალში წლის [illegible] სეზონისათვის ახალი ქარხანა მზად იქნეს. ჯერ ჯერობით ქარხანაში მუშაობს 560 მუშა ქალი. მუშაობა სწარმოებს დღეში ორ ცვლად, მაგრამ მიუხედავად ამისა ქარხანა მაინც ვერ ასწრებს დაამუშაოს ოზურგეთის რაიონში დამზადებული ნედლი მასალა. ახალი ქარხანა მოწყობილი იქნება 144 აუზით. ასეთივე ქარხანა შენდება აგრეთვე ხონშიაც. ქარხნისათვის საჭირო შენობა უკვე დამთავრდა და ამჟამად სწარმოებს ქარხნის მოწყობილობათა მონტაჟი. ამ ქარხანაში დადგმული იქნება სულ 48 აუზი (ტაზი).

აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოების შესაფერისად განვითარებას ძალიან აბრკოლებს სათანადო თანხების თავის დროზე მიუღებლობა. ეს სადგური თავისი აგების ტექნიკური პირობებით განსაკუთრებული რთული სადგური იქნება მთელ საბჭოთა კავშირში. მთავარი ძირითადი სამუშაოები, როგორიცაა საწნევი გვირაბი, ძირის გვირაბი და სხვა სამუშაოები, [illegible] უკვე შესრულებულია. რომ სადგურის საამშენებლო კომიტეტს სათანადო თანხების უქონლობა არ უშლიდეს ხელს, ყველა ამ სამუშაოთა გათავება უახლოესი დროის საქმე იქნებოდა. ს. მ. უ. საბჭო მიიღებს ზომებს რომ აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო სამუშაოები განვითარდეს საჭირო ტემპით და ეს სადგური დამთავრებულ იქნას თავის დროზე

—საზოგადოთ უნდა გავაცხადოთ, რომ ახალი მშენებლობის დათვალიერებამ დასავლეთ საქართველოში ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა; არსად არ აღმოჩნდა მუშაობაში დაშვებული საგრძნობი დეფექტი, ან სხვა დიდი ნაკლი.

ბიტუმების დამუშავება

სამთო მრეწველობის ტრესტმა გადაწყვიტა ახლო ხანში შეუდგეს 2.000 ფუთი [illegible] ბიტუმის დამზადებას ნატანების რაიონში. ბიტუმი დამზადებული იქნება შინამრეწველური წესით.

დამზადებული მადნიდან ნაწილი გადაეცემა თბილისის აღმასკომს და გზატკეცილების სამმართველოს, ხოლო ნაწილი ბაქოს ქალაქის აღმასკომს. თბილისის აღმასკომი შეუდგება ბიტუმის მადნის გამოკვლევას ლაბორატორიული წესით და შეისწავლის, თუ რამდენად ხელსაყრელი იქნება ბიტუმით თბილისის ქუჩების და მოედნების მოგება. გზატკეცილების სამმართველო ჩატარებს ზოგიერთი გზატკეცილების საცდელ მოგებას ბიტუმის მადნით.

ბაქოს აღმასკომს კი განზრახვა აქვს ნატანების ბიტუმებით მოაგოს 1 კილომეტრის სიგრძე გზა და მოახდინოს დაკვირვებები, თუ რამდენად გამოსადეგი იქნება ადგილობრივ კლიმატიურ პირობებში ნატანების ბიტუმი.

გეოლოგიური სამუშაოები

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ინჟ. გ. წულუკიძის მოხსენება სამთო განყოფილების მიერ ჩატარებულ გეოლოგიურ სამუშაოების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გასულ 1926-27 საანგარიშო წლის განმავლობაში სამთო განყოფილების ინიციატივით მოხდა შემდეგი გეოლოგიური გამოკვლევები:

ბორჩალოს მაზრაში, ჩათახის რაიონში სამთო განყოფილების გეოლოგმა კ. გაბუნიამ მოახდინა რკინის მადნების გამოკვლევა. გამოკვლევების ჩასატარებლად სახ ბიუჯეტიდან გადადებული იყო 3.180 მანეთი. პროფ. ა. თვალჭრელიძემ ჩატარა გამოკვლევები მროშის და [illegible] რაიონებში (ბორჩალოს მაზრა), სადაც მოიპოვება ე. წ. ჰემატიტები. მისივე ხელმძღვანელობით მოხდა ფლორიტების მადნების გამოკვლევა სოფ. კუმბეთში (ქუთ. მ.), სოფ. ბაზალეთში (შორ. მ.), და ასკანაში (ოზურგ. მ.). პროფ. ხმიბინოვმა ჩატარა [illegible] ქვების გამოკვლევა სურამის რაიონში შორაპნის მაზრის საზღვრებთან.

ელდარის ველზე მოხდა გეოლოგიური გამოკვლევები [illegible] გამოსარკვევად. ჩატარებულ იქნა აგრეთვე გეოლოგიური სამუშაოები მდ. ჯოჯორის ნაპირებზე (სამხ.-ოსეთში), ტყვიის მადნების გამოსაკვლევად ორივე აქ გამოკვლევებს ხელმძღვანელობდა გეოლოგი ფლოროვიჩი. სვანეთში ტყვიის, გრაფიტის, ქვა-ნახშირის. და სხ. სიმდიდრეთა გამოკვლევა ჩატარა გეოლოგმა ლ. კონიუშევსკიმ. გარდა ამისა სამთო განყოფილებამ შეასრულა მთელი რიგი გეოლოგიური სამუშაოები რიონის ჰიდრო-ელსადგურის ასაგებ ტერიტორიაზე. რიონჰესის სამუშაოთა სამმართველოს შეკვეთით.

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა მოიწონა სამთო განყოფილების მიერ ჩატარებული მუშაობა.

შირაქის ნავთი

ს. მ. უ. ს. რ. სამთო განყოფილებაში მიღებულია ცნობები შირაქის ნავთიან ადგილებში წარმოებულ სამუშაოთა შესახებ. სამუშაო იქ დაწყებულ დროიდან (1927 წ. [illegible]) 1928 წლის პირველ იანვრამდე ამოთხრილია 20 მეტრის სიღრმე ჭაბურღილი. ამჟამად სწარმოებს მუშაობა ჭაბურღილის გასაღრმავებლად.

მუშაობის პერიოდში 2-ჯერ იქნა აღმოჩენილი ნავთიანი [illegible]. პირველად ნავთი აღმოჩნდა 156 და 157 მეტრის სიღრმეზე. მეორე ნავთიანი ფენა აღმოჩნდა 178 მეტრზე.

სამუშაოების ხელმძღვანელ სპეციალისტების აზრით ნავთის წყაროები უნდა აღმოჩნდეს დაახლოებით 600 მეტრის სიღრმეზე. თუ მუშაობა იმ ტემპით განვითარდა, როგორც ეხლა მაშინ ეს სიღრმე მიღწეული იქნება ივნისისათვის. 1-ლი საცდელი ჭაბურღილის ამოსაღებათ დღემდე მუშაობა სწარმოებდა 2 წყებათ. ახლო ხანში კი საკონცესიო საზოგადოების გადაწყვეტილების თანახმად მუშაობა იწარმოებს 3 წყებათ.

სახურავი ფიქლის წარმოების პერსპექტივები

ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებაში ხშირად მოდის ცნობები ახალ-ახალი მინერალური სიმდიდრეების აღმოჩენის შესახებ. მარტო გასული ზაფხულის განმავლობაში სვანეთში და ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებში აღმოჩენილი იქნა რამოდენიმე, მეტად ძვირფასი მადანი. ასეთი იყო, მაგალითად მალახიტი, გრაფიტი, გორის მაზრაში აღმოჩენილი სიმდიდრეები, სახურავი ფიქლის (СЛАНЕЦ) ბუდობები და სხვ.

უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო თელავის მაზრაში აღმოჩენილმა სახურავი ფიქლის ბუდობებმა.

ინჟ. ა. კანდელაკმა სახურავი ფიქლის შესახებ შემდეგი აცნობა ჩვენი გაზეთის თანამშრომელს:

— სახურავი ფიქლისა და ქვადაფის (ასპიდ.) მადნებს ევროპაში და ამერიკაში დიდი ხანია რაც ფართო სამრეწველო ხასიათი მიეცა. სახურავ ფიქლს ხმარობენ შენობების დასახურავათ, ხის შენობების კედლებზე ასაკრავათ. ძვირფასი მაგიდებისათვის და სხვა. მოთხოვნილება ასეთ ქვებზე ძალიან დიდია, მაგრამ მიუხედავათ ამისა ჯერ-ჯერობით საბჭოთა კავშირში მისი დამუშავება მაინც არ დაწყებულა. უკანასკნელ ხანებში კი ამას აქცევენ დიდ ყურადღებას და იმედია ამ ქვების მრეწველობა ერთ პირველ ადგილთაგანს დაიჭერს ჩვენს სახ. მეურნეობაში სახურავი ფიქლის ქვები განსაკუთრებით დაუფასებელია ტენიან და ხშირ წვიმებიან ადგილებისათვის, როგორიცაა ბათუმი, ფოთი და ზღვის პირას მდებარე სხვა ქალაქები. სახურავი ფიქლი წვიმას უძლებს რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში და იგი გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე რკინის ან კრამიტის სახურავი.

წელს თელავის მაზრაში სოფ. საბუეს ახლო აღმოჩენილია ასეთი ქვების მეტად მდიდარი ბუდობები. აქ მოიპოვება მრავალნაირი ფერის ფიქლი და ქვადაფი. ამ ბუდობებიდან ამოღებული ნიმუშები გამოსაცდელათ გადაეცა ს. მ. უ. ს. ქიმიო-ტექნიკურ ლაბორატორიას, რომელმაც დაადასტურა ამ ქვების საუკეთესო ხარისხი.

ამჟამად მე სამთო განყოფილების დავალებით ვწერ შრომას ამ სიმდიდრეების შესახებ. ეს შრომა და ქვების ნიმუშები ერთად იქნება გადაგზავნილი გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტში (მოსკოვში), რომელიც მოგვცემს საბოლოო დასკვნებს იმის შესახებ—მიზანშეწონილი იქნება თუ არა ამ ბუდობების ადგილზე სამრეწველო ხასიათის მუშაობის დაწყება.

მუშათა ცხოვრება

მეტი ყურადღება ფსიქიატრიულ ინსტიტუტს

არის თბილისში მეტად საყურადღებო და [illegible] საავადმყოფო, ფსიქიატრიული ინსტიტუტი. სამწუხაროთ ამ საავადმყოფოს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ. ბევრმა კი ვიცით მისი არსებობა და მივადგებით მის კარებს, როცა უბედურება კარზე მოგვადგება.

მართლაც, რომ დიდი უბედურებაა სულით ავადმყოფი—აქ სიკვდილი სანატრელი ხდება. არ შველის არავითარი ექიმობა. მოვლა და მოფერება. არ იცი როდის მოუვლის ავადმყოფს სიგიჟე და როდის შეუდგება ცემას, კბენას და სახლკარის მტვრევა-დაწვას.

რამდენი შემთხვევა ყოფილა გიჟის მიერ ადამიანის მოკვლის და სახლკარის გადაწვის. რამდენი შემთხვევა ყოფილა სულით ავადმყოფის მიერ ოჯახის დანგრევისა და ცემატყეპისა. აი ასეთი საშიშარი ავადმყოფობისათვის არსებობს ფსიქიატრიული ინსტიტუტი. მაგრამ იგი ძალიან პატარაა, რის გამო ადმინისტრაცია იძულებული ხდება ხშირად უარი უთხრას მძიმე ავადმყოფს მიღებაზე.

აღმასკომმა, მთავრობამ და საზოგადოებამაც ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას აუცილებელი საჭიროა, რომ ყველა მძიმე ავადმყოფმა იპოვოს ალაგი საავადმყოფოში.

ყველას უნდა მივაჩნდეს სასირცხვილოთ, როცა სულით ავადმყოფი დაძრწის ქუჩა-ქუჩა და მათ ბავშვები და ხშირად დიდებიც ამასხარავებენ. ასეთი ქცევით ავადმყოფის მდგომარეობა უარესდება და მას მეტი ზარალი მოაქვს საზოგადოებისათვის თუ ასეთი ავადმყოფი დროზე იპოვის ალაგს საავადმყოფოში და თუ მას ექნება შესაფერი მოვლა-პატრონობა, მაშინ ბევრი მათგანი შეიძლება გამოკეთდეს და ისევ გახდეს საზოგადოებისათვის მარგებელი წევრი.

ამ ინსტიტუტის ადმინისტრაციის განცხადებით, საავადმყოფოს მდებარეობა და თვით შენობაც საშუალებას იძლევა მიემატოს საავადმყოფოს კიდევ ორი განყოფილება და გადიდდეს ალაგი ავადმყოფთათვის.

რამოდენიმე ათეული ათასი მანეთი აქ საქმეს გააუმჯობესებს და ინსტიტუტს შემატება ასამდე საწოლი ალაგი.

ჯანმრთელობის განყოფილებამ უნდა გამონახოს საშუალება ამ ინსტიტუტის გასაფართოებლად. დღესვე უნდა მივაქციოთ ყურადღება; დღესვე უნდა დავეხმაროთ ქუჩებში მოხეტიალე სულით ავათმყოფს.

ქალაქის საბჭომაც საჩქაროთ უნდა დასვას ეს საკითხი თავის კრებაზე და გამონახოს საშუალება ამ საქმის მოსაგვარებლად.

ძველი მუშა.

„ახალი ვიქტორია“

ტკბილეულობის ქარხანა „ახალი ვიქტორია“ ეკუთვნის მოქ. ახმეტოვს ქარხანაში ემუშავება ხლოებით 10 კაცი. ყველა მათგანი კავშირის წევრები არიან, მაგრამ უნდა ითქვას სიმართლე, რომ კავშირის რაიონული კომიტეტი ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევს აღნიშნულ მუშებს.

ეს უყურადღებობა უმთავრესად ხელფასის საკითხის მოუგვარებლობაში გამოიხატება. წინად მუშები ღებულობდნენ თვეში 60 მანეთს. დღეს კი მათი თვიური ხელფასი უდრის 27-დან 30 მანეთამდე ფუთ კამფეტს აქ ამზადებენ 64 კაპიკათ. გოზალოვის ქარხანაში კი 85 კაპიკათ. რაიონული ადგილკომი თავსაც არ იწუხებს ხელფასის გასათანასწორებლად.

ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებების დადების დროს მუშებმა მოითხოვეს ჯამაგირის მომატება. მაგრამ ადგილკომის უყურადღებობით გათამამებულმა ქარხნის პატრონმა უარი განაცხადა ჯამაგირების მომატებაზე. რის გამო კავშირი იძულებული იყო საქმე შრომის სასამართლოზე გადაეცა განსახილველად.

საჭიროა რაიადგილკომმა ცოტა მეტი ყურადღება მიაქციოს ამ მუშებს.

მაკამეტაძე

ჩვენი ნაკლი და მიღწევები

ზაჰესის საუწყებო მილიციის უფროსი ამხ. ა. ფანცულაია პირნათლად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. უწინ სამკითხველო თითქმის ყოველთვის დაკეტილი იყო. მაგრამ ამხ. ფანცულაიას წყალობით ამჟამად სამკითხველო ღიაა და კარგადაა მოწყობილი.

მაგრამ არის კიდევ ნაკლიც. მაგალითად მტკვრის პირას აყარებული რკინები და სხვა გამოსადეგი მასალები ყრია, რომელიც ცის ქვეშ ფუჭდება. ამას კი არავინ ყურადღებას არ აქცევს.

ურიგო არ იქნება, რომ მიაქციოს ვინმემ ყურადღება ამ მასალას და გადაარჩინოს იგი განადგურებას.

ხ. ქიზიყურაშვილი.

ყურადღება ვაკეს

შედარებით სხვა მუშათა უბნებთან, ვაკე ძალიან ჩამორჩენილი რაიონია. აქ არ არსებობს ამბულატორია. მუშები მოკლებულნი არიან თეატრს დიდი სიშორის გამო და სხვა. მილიციელი ხომ სანთლით საძებარია. რის გამო თავისუფლად დათარეშობენ ხულიგნები და მოსვენებას არ აძლევენ მოსახლეობას. არც კოოპერატივი არსებობს ამხელა უბანში.

ამას სათანადო ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა მიაქციონ და ვაკეზე მოაწყონ სხვადასხვა კულტურულ და კოოპერატიული დაწესებულებები.

შალვა აგრაშვილი.

ვის როგორ ესმის შტატის შემცირება

ასე შეამცირეს შტატი

მეცხვარეთა კოოპერატიული ამხანაგობის „მწყემსის საბჭოს“ სამმართველოდან წინეთ მოხსნეს დაბალი ხელფასის მქონე თანამშრომელი ქალი. მოხსნის მიზეზი, როგორც გამგეს განუცხადებია არის შტატის შემცირება. მაგრამ ჯერ ერთი, რომ ეს ტყუილია. შტატის შემცირების შესახებ არაფერი თქმულა საბჭოში და მეორეც თუ რომელიმე პიროვნებამ გადასწყვიტა შტატის შემცირება, რატომ ის ერთი უმნიშვნელო ჯამაგირიანი თანამშრომელი მოხსნა სამსახურიდან. ნუ თუ ის ერთი თანამშრომელი იყო მეტი შტატში. რატომ არ დაითხოვეს დიდჯამაგირიანები ან თუ შემცირება იყო რად ზის შემცირებულის ადგილას მეორე მოხელე? ეს შინაურული შტატის შემცირებაა, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს.

დარაჯიანი.

რა მიზეზია
(ზაჰესს)

ზაჰესში მეხანძრის თანამდებობაზე მსახურობდა გიორგი კლიმიაშვილი, რომელმაც დაარსა მეხანძრე მოხალისეთა წრე და თვითონვე ამეცადინებდა მათ. გარდა ამისა ის ჩაება კულტურულ მუშაობაში და შეძლებისდაგვარად მხარში ედგა [illegible]. მაგრამ ამას წინათ სრულიად უმიზეზოთ, ვითომ და შტატის შემცირებით თანამდებობიდან მოხსნეს იგი და მის ადგილას დანიშნეს სხვა. ეტყობა აქ რაღაც „ავი სული“, პროტექციონიზმი ბუდობს, რომელიც თავისებურად აბახრაკებს საქმეს. იმედია პროკურატურა უყურადღებოთ არ დასტოვებს ამ მოვლენას.

საყვავიტელი.

როგორი შემცირებაა.
(სადგ. ნავთლუღი)

სადგ. ნავთლუღის ამხ. მამია ორახელაშვილის სახელობის კლუბში დღიდან მისი გაფართოებისა ტექნიკურ მეანგარიშე თანამდებობაზე მსახურობდა ანა შუბლაძის ასული, რომელიც მასზე დავალებულ სამუშაოს ასრულებდა პირნათლად. ცხრა თვის განმავლობაში მას არც ერთხელ შენიშვნა არ მიუღია უფროსებისაგან. მაგრამ მორიგ [illegible] წასვლისთანავე იგი მოხსნეს სამსახურიდან შტატის „შემცირების“ გამო. განვლო სამმა თუ ოთხმა თვემ დღიდან მისი მოხსნისა და მის ადგილზე მოიყვანეს სხვა თანამშრომელი.

რაშია საქმე. თუ შტატის შემცირება მოხდა მაშინ რაღა საჭირო იყო დათხოვნილ შუბლაძის ადგილზე სხვა თანამშრომლის მიღება. აშკარაა, რომ აქ ვიღაც ნათლიმამობის ხელი მუშაობს უნდა გამოირკვეს ეს საქმე და უკანონოდ დათხოვნილი კავშირის წევრი აღდგენილ იქნეს თავის უფლებებში.

ჩხერელი.

მუშათა ქრონიკა

— არც ერთი მუშა კოოპერაციის გარეშე. მელითონეთა კერძო ქარხნების მუშების გაფართოებულმა კრებამ დაადგინა ხელი შეუწყოს კოოპერატივის ფონდის გაძლიერებას და მიღებულ იქნეს ყოველგვარი ზომები, რათა კოოპერაციის გარეშე არ დარჩეს არც ერთი მუშა.

— კავშირის წევრებათ. ამ დღეებში მელითონეთა კერძო ქარხნების მუშების, რიცხვით 30 მუშა ჩარიცხულ იქნა მელითონეთა კავშირში წევრებათ.

— ხელფასი. ახალი კოლხელშეკრულებით მელითონეთა კერძო წარმოებებში მუშების ხელფასის გაცემა თვეში იწარმოებს ორჯერ ყოველი თვის 1-ლ და 15 რიცხვში.

— ქარხანა „ლურსმანი“. ახლო მომავალში ქარხანა „ლურსმანთან“ მოეწყობა საწარმოო თათბირი.

1907 წელში დაბადებულთა მიწერა
გასაწვევ უბნებზე

თანახმად ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2-ე ქართ. მსრ. დივიზიის ბრძანებისა, 10 იანვრიდან 15 თებერვლამდე საქართველოში იწარმოებს 1907 წელში დაბადებულ ახალგაზრდების მიწერა გასაწვევ უბნებზე.

ყველა ახალგაზრდები, რომლებსაც ეხება მიწერა, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ დანიშნულ ვადაზე: სოფლად მცხოვრებნი—თემაღმასკომების სამხედრო მაგიდის გამგეებთან, ქალაქად მცხოვრებნი კი—სათანადო სამილიციო რაიონებში და განაცხადონ ხელწერილის ქვეშ, თუ საბჭოთა კავშირის რომელ ადგილას სურთ მოიხადონ სამხედრო ბეგარა.

ახალგაზრდებს თან უნდა ქონდეთ შემდეგი საბუთები: წლოვანების, პროფესიის, ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის; მოწაფეები და მასწავლებელნი ვალდებულნი არიან წარადგინონ მოწმობა იმის შესახებ, რომ ისინი ნამდვილათ ირიცხებიან მასწავლებლად ან მოწაფეთ ამა თუ იმ სასწავლებელში; კომპარტიის წევრნი, კანდიდატები და კომკავშირელნი არდგენენ სათანადო პარტბილეთს.

ის ახალგაზრდები, რომელნიც მძიმე ავადმყოფობის გამო ვერ შესძლებენ პირადათ გამოცხადებას, ვალდებულნი არიან წარადგინონ რაიონული ექიმის მოწმობა. განკურნების შემდეგ ეს პირები უნდა გამოცხადდნენ გასაწვევ უბანზე მისაწერად.

მიწერის წარმატებით ჩატარებისათვის ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებები და წარმოებები ვალდებულნი არიან მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ ახალგაზრდები დროზე გამოცხადდნენ მისაწერად.

ყველა მოქალაქენი, რომლებიც შენიშნულ იქნებიან მიწერის თავიდან აცილებაში, მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში.

შვიდი საათის სამუშაო დღე

შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით, წარმოებებში 7 საათის სამუშაო დღის შემოსაღებად. წინასწარი მუშაობის ჩატარების მიზნით დაარსდა კომისია შრომის სახ. კომისარის მოადგილის ამხ. შელიძის (თავმჯდომარე), გოგინაშვილის, ელგაქიანის, ამირანოვის და სოსანაშვილის შემადგენლობით.

ამხ. შელიძემ ჩვენს თანამშრომელს გამოუცხადა, რომ ამ კომისიის მიზანია დაწვრილებით შეისწავლოს 7 საათის სამუშაო დღის შემოღების პირობები.

წინასწარი გეგმით,—განაცხადა ამხ. შელიძემ,—[illegible] ხანებში 7 საათის სამუშაო დღე შემოღებულ იქნება 10 საფეიქრო წარმოებაში. ჯანმრთელობისათვის არა-მავნე წარმოებებში მოზარდთა მუშაობის დრო ძველებური დარჩება. უქმე და დასასვენებელი დღეების წინა დღეებში, 7 საათის სამუშაო დღის შემოღების შემდეგაც მუშაობა იწარმოებს ძველი წესით. ღამე მუშაობის საათები შემოკლებული იქნება 7 საათიდან 6 საათამდე.

7 საათის სამუშაო დღის შემოღების შემდეგ საუზმისათვის მისაღებად არსებული შესვენების წესი დარჩება [illegible], შეიცვლება მხოლოდ ძუძუმწოვარ ბავშთა დედების განთავისუფლების პირობები: ამ [illegible] ძუძუმწოვარ ბავშების პატრონ მუშა-ქალებს ბავშების გამოსა[illegible] ანთავისუ[illegible] ყოველ 3 ნახ. საათის შემდეგ შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღების შემდეგ კი განთავისუფლებენ ყოველ სამ საათში. ამგვარად ძუძუ-მწოვარ ბავშების პატრონი მუშა-ქალები იმუშავებენ მხოლოდ 6 საათს.

საკონცესიო და კერძო წარმოებებში დასადებ ხელშეკრულებაში აუცილებლად იქნება გათვალისწინებული 7 საათიანი სამუშაო დღე.

მატყლის მრეწველობის გამოკვლევა

ამიერ - კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექცია, საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დავალებით, შეუდგა მატყლის მრეწველობის და მისი ნედლეული ბაზრის გამოკვლევას. გამოკვლევის მიზანია გამოარკვიოს იმისა, თუ რამდენად შესაძლებელია შემცირებული იქნეს საბჭოთა მრეწველობის დამოკიდებულება უცხოეთის ბაზრისაგან. გამოკვლევის ამოცანა შეადგენს აგრეთვე მეცხვარეობის მდგომარეობის გამოკვლევა, მეცხვარეობისათვის ზოოტექნიკურ, ზოოკულტურულ და ვეტერინარულ დახმარების შესწავლა და გამორკვევა იმისა, თუ როგორ სწარმოებს ჯიშიან ცხვრების მიწოდება მეცხვარეებს კერძო და სახელმწიფო მეურნეობებისათვის.

გამორკვეული იქნება აგრეთვე, თუ რამდენად უზრუნველყოფილი არიან მეცხვარეები პურით, სამრეწველო საქონლით, საძოვრებით, მატყლის საკვები მასალით და სხვა: რამდენად გაერთიანებული არიან მეცხვარეები კოოპერაციაში და როგორია ის პირობები, რომლებიც ხელს უწყობს მათ ჩაბმას კოოპერაციაში.

ამასთანავე გამოკვლევა მიზნათ ისახავს შეისწავლოს მატყლის გადამუშავების არსებული წესები, შემოწმოს თუ რამდენად ტარდება ცხოვრებაში მატყლის დამუშავების მოსაწესრიგებლად შემუშავებული ღონისძიებები და გამოარკვიოს მატყლის მრეწველობის ეხლანდელი მდგომარეობა.

ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების დაარსება

პირველ იანვარს საქართველოს კომპ. ც. კ. [illegible] მოწვევით სახალხის წითელ დარბაზში შესდგა ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების დამფუძნებელი კრება.

კრებაზე გამოცხადდნენ არა მარტო ის ამხანაგები, რომლებიც გაზეთის საშუალებით იყვნენ მოწვეულნი, არამედ ისინიც კი, ვინც შემთხვევით არ იყო გამოცხადებული.

სანკეტო ფურცლების შედგენის შემდეგ კრებამ მიმდინარე სხდომის გასაძღოლად ერთხმათ აირჩია თავმჯდომარეთ ამხანაგი **ფილიპე მახარაძე,** მდივნად ამხ. **თენგიზ ჟღენტი.**

კრების მოწვევის მიზნის გაცნობის შემდეგ დღის წესრიგში დასმულ იქნა შემდეგი საკითხები: წესდების განხილვა და დროებითი ხელმძღვანელ ბიუროს და სარევიზიო კომისიის არჩევა.

წესდების განხილვის დროს გაიმართა კამათი. კრების მცირე ნაწილი ამტკიცებდა, რომ ასეთი საზოგადოების დაარსება მაინცდამაინც დიდათ საჭირო არაა. კამათში მონაწილეობა მიიღეს: იტრიევმა, ვანო სტურუამ, პავლე საყვარელიძემ, ფილიპე მახარაძემ, დათიკო ნასარიძემ, ანდრო ფირცხალავამ, ხ. სტეფანიანმა, სილ. თოდრიამ, ვანო ბოლქვაძემ, თენგიზ ჟღენტმა და სხვებმა. ორატორების დიდმა უმრავლესობამ საჭიროთ სცნო ასეთი საზოგადოების დაარსება. ამხ. ვანო სტურუამ მოსკოვში არსებულ ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების ცხოვრებიდან მოიყვანა ცოცხალი მაგალითები იმისა, თუ როგორ მუშაობს იქაური საზოგადოება, როგორ იდეურ ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდობაზე და აგრეთვე რა დიდი ფასი აქვს პარტიული ისტორიისათვის მასალების ობიექტურად გაშუქებას ასეთი საზოგადოების მიერ. გამოირკვა, რომ საზოგადოებას შეეძლია ფართოდ ისარგებლოს წესდებაში ნაჩვენები მუხლებით და მოაწყოს საზოგადოებისათვის ბიბლიოთეკა-სამკითხველო, დასასვენებელი სახლი, სანატორიუმი და სხვა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ დაადგინა მიზან-შეწონილად იცნოს საზოგადოების დაარსება და წარმოდგენილი წესდება საფუძვლად. მომავალ ბიუროს დაევალა შესწორება შეიტანოს წესდებაში, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით. კრება აგრეთვე შეეხო საკითხს, თუ რამდენად საჭიროა საქართველოს მაზრებში განყოფილებების დაარსება. უმრავლესობის აზრით მაზრებში განყოფილებები საჭირო არ არის. საქართველოში, როგორც პატარა ტერიტორიის მქონე რესპუბლიკაში, შეიძლება აღრიცხვაზე აყვანილ იქნას ყველა ძველი ბოლშევიკი და სათანადო ფორმალური მხარეების შესრულების შემდეგ მათი მიღება შეიძლება ძველ ბოლშევიკთა საზოგადოებაში და ყველა მათ ხელმძღვანელობას გაუწევს თბილისში არსებული ბიურო.

კრება დასასრულ შეუდგა დროებითი ბიუროს არჩევას. ბიუროში არჩეულ იქნენ: მალაქია ტოროშელიძე, სილიბისტრო თოდრია, ვანო სტურუა, თენგიზ ჟღენტი, ვანო ბოლქვაძე; ნაზაროეტიანი; ანდრო ფირცხალავა, შამშე ლეჟავა და ლადო სუხიშვილი.

სარევიზიო კომისიაში: კახტაკოვი, გიორგი რთველაძე და ათაბეგოვი, კრებამ ერთხმად დაადგინა არჩეულ იქნეს ბიუროს საპატიო წევრებათ საქართველოს უხუცესი ბოლშევიკები **მიხა ცხაკაია** და **ფილიპე მახარაძე.** შემდეგი კრება შესდგება მოსკოვის ძველ ბოლშევიკების საზოგადოებასთან კავშირის დაჭერისა და ბიუროს მიერ სათანადო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის შემდეგ.

ბიუროს მდივნად არჩეულ იქნა ამხ. მ. ტოროშელიძე.

X.

სასამართლო

ახალი წლის წინა დღით

— მე ვარ მთვრალი? ვინა, მე? მიძახის.. მე ღვინო კი არ მათრობს, არამედ მართობს. მაშინ მოგიკვდეთ კარაპეტი.

— ჰო!.. ამხანაგო, მოგვეთმინეთ, შეჩერდით თუ შეიძლება... ეს, „რომელიც რომ“ თქვენ ხელში გიჭირავთ.. სწორედ ეს. ამხანაგო, ვინ მოგცათ ამის ნება, „რომელიც რომ“ თქვენ ღვინო გაყიდოთ და საერთოდ მიჰქვეთ, როგორც ასეთი...

გაკვირვებული მოქალაქე მიაშტერდება კარაპეტ გუკასოვს.

— შე კაი კაცო, ღვინოს პირველად ხედავ, თუ როგორ არის შენი საქმე!

— წადი შენი ღვინოც... ახალ წელს ხვდები და მარტო ორი კვარტი ღვინო!, მეტი არაფერი მიგაქვს სახლში? ორი კვარტი ღვინო ჩემთვის ერთი „ყლაპის“ საქმეა.

— თქვენთვის არც გვიყიდია და არც არაფერი გვაქვს თქვენთან საერთო, გთხოვთ თავი დაგვანებოთ, — უპასუხებს მოქალაქე, რომელსაც ორივე ხელში ღვინით სავსე კვარტები უჭირავს.

— მე თქვენ მოგცემთ „საერთოს“.. კარაპეტ გუკასოვმა დაიკაპიწა და ისეთი „ჩაფარა“ მოქალაქეს, რომ ორივე კვარტმა თქვენი პირია წაიღო.

— კაცო, რა ღმერთი გაგიწყრა, რას მერჩი. დი, რა ღვინომ... როგორ ხარ ჭკუაზე.

— მე შენ ჭკუას დაგანახვებ.. ახალი წელი, რომელიც რომ..

ატყდა ხმაურობა. გუკასოვი იგინება, როგორც ავარა.

მოდის მეეზოვე.

— რას ერჩოდი ამ კაცს, რატომ დაგიმტვრევია ეს ბოთლები? — ეკითხება მეეზოვე გუკასოვს

— ჯერ ერთი, ამხანაგო, გამოარკვიე ვინ არის დამნაშავე და მერე ვილაპარაკოთ... კონტრაბანდას ხომ უნდა ვებრძოლოთ, ჩვენი დირექტივაა, რომელიც რომ... და საერთოდ.: რატომ „ბანდეროლი“ არ ჰქონდა მაგის კვარტებს? აბა შეეკითხეთ... ჩვენ, რომელიც ვიბრძვით კონტრაბანდის წინააღმდეგ, საერთოდ კვარტზე ბანდეროლი უნდა იყოს... სხვან რას იგებთ... ბანდეროლი...რა უფლება აქვს,რომ უბანდეროლო ღვინის ყიდულობს. მე ვარ კანონიერების სადარაჯოზე...

გუკასოვმა ერთი შეურაცხყოფა მეეზოვესაც.. შემდეგ შეკრული გუკასოვი მიიყვანეს კომისარიატში. კომისარიატიდან, როგორც წესია, სათანადო „შეამდგომლობით“ გადაიგზავნა [illegible] კამერაში.

გუკასოვი სასამართლოშიაც თავს იმართლებდა იმით, რომ ღვინო „უბანდეროლო“ იყო და კვარტებიც ამიტომ დაამტვრია..

სასამართლომ გუკასოვი ერთი თვით გაგზავნა გამასწორებელ სახლში.

ზერ.

ცოლიც იმსხვერპლა და ცოლის ძმაც

გასული წლის ივლისში მოქ. აბრამ ახრათიანმა გაეყარა თავის ცოლს.

ცოლს დარჩა აღსაზრდელად შვილები—[illegible] ვაჟი. რომ უზრუნველეყო ბავშვების მდგომარეობა, აბრამის ცოლმა თამარმა დაიწყო მასწავლებლობა სოფელ დაგეთხაჩინში. ბავშვები დაუტოვა თავის ნათესავს თბილისში.

ახრათიანმა გაიგო, რომ მისი შვილები ცოტა შეუძლოთ იყვნენ. ეს ამბავი მან გამოიყენა იმის საბაბად რომ მოეთხოვა შვილების მისთვის ჩაბარება ამაზედ უარი უთხრეს მისი ყოფილი ცოლის ნათესავებმა.

აბრამი წავიდა ყოფილ ცოლთან ბავშვების დაბრუნების საკითხის მოსაგვარებლად.

დაგეთ - ხაჩინში მისი ყოფილი ცოლი სცხოვრობდა ძმასთან აბრამიანცთან.

ახრათიანმა წინადადება მისცა თავის ყოფილ ცოლს დაებრუნებინა ბავშვები.

— თუ სასამართლო დაადგენს და მოგაკუთვნებს, მე არაფერი მექნება საწინააღმდეგო, უპასუხა ყოფილმა ცოლმა.

ამის საპასუხოდ ახრათიანმა იშიშვლა დანა და ჩასცა ყოფილ ცოლს.

17 ჭრილობა მიაყენა ახრათიანმა ქალს, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

ქალის დასახსნელად სახლში შევარდა ძმა, რომელიც არ დაზოგა გამხეცებულმა ახრათიანმა და დანით მოუღო მასაც ბოლო.

საქმე მალე გაირჩევა.

ბ.ბ.

ქრონიკა

დიპლომატიური დარბაზობა

კვირას, 1 იანვარს, ახალი წლის გამო საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ამიერ-კავკასიაში ამხ. ო. [illegible] ეწვივნენ გერმანიის, სპარსეთის, ოსმალეთის, იტალიის და პოლონეთის გენერალური კონსულები, რომლებმაც მიულოცეს [illegible] სახით ამიერ-კავკასიის და საბჭოთა კავშირის მთავრობებს ახალი წელი.

ურთიერთ მისალმების შემდეგ უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებისათვის გაიმართა საუზმე, რომელსაც დაესწრნენ ამხ. **მიხა ცხაკაია, კასიანი, გუსეინოვი, მ. ორახელაშვილი, ფ. მახარაძე, ს. ჯუღელი, ი. ვარძიელი, ხ. მგალობლიშვილი** და უცხო სახელმწიფოების გენერალური კონსულები და მათი მოადგილეები.

საუზმის დროს სიტყვები წარმოსთქვეს ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთავრობების და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა.

რაიონული სკოლები

ადგილობრივ სკოლების მასწავლებელთა ცოდნის ასამაღლებლად და მათ გასაცნობად სწავლის ახალ მეთოდებთან, განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა მაზრებში გახსნას სანიმუშო ხასიათის რაიონული სკოლები. ყოველ მაზრაში დაარსდება 3 ასეთი სკოლა. სკოლებს უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევს განათლების კომისარიატი. ასეთ სკოლებში დაყენებულ სწავლის საქმეს სისტემატიურად გაეცნობიან მაზრის სკოლების მასწავლებლები.

მიწა-ტყის მუშაკთა თათბირი

პროფკავშირთა მცირე დარბაზში 5 იანვარს შესდგება საქართველოს მიწა-ტყის მუშაკთა თათბირი, რომელსაც დაესწრებიან სპეციალისტი-აგრონომები მაზრებიდან და ავტონომიურ რესპუბლიკებიდან. თათბირი განიხილავს სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს და მოისმენს მიწად-მოქმედების კომისარიატის მოხსენებას მომავალი მუშაობის შესახებ.

საავადმყოფოების მოსაწყობად

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, რესპუბლიკანურ სამკურნალო ფონდიდან ათას-ათასი მანეთი მიეცათ გორის, თელავის და ფოთის აღმასკომების ჯანმრთელობის განყოფილებებს ადგილობრივი საავადმყოფოებისა და ამბულატორიების მოსაწყობად.

აღნიშნული თანხები დანიშნულებისამებრ გადაიგზავნება ამ დღეებში.

შაქარი გორის ჭარხლიდან

შაქრის ტრესტმა თბილისში გამოგზავნა 25 ფუთი შაქარი, რომელიც დამზადებულია შაქრის ტრესტის ქარხანაში გორის მაზრაში 1927 წელს დათესილ ჭარხლიდან. ეს შაქარი ჭარხლის თესვის პოპულარიზაციის მიზნით განაწილებული იქნება გორის მაზრის გლეხებს შორის.

„საქართველოს ჩაი“-ში

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაიმ“ გადასწყვიტა მიმდინარე წელში ჩაის დიდი ფაბრიკის გარდა ჩაქვაში ააგოს საცხოვრებელი სახლი მუშებისათვის, სახელოსნოები და კანტორა ჩაის ფაბრიკისა და ჩაქვის საბჭოთა მეურნეობისათვის.. ამას გარდა აგებული იქნება მუშათა ყაზარმა 100 კაცისათვის სოფელ ხალვაში.

ოზურგეთში საზოგადოების მიერ აშენებული იქნება ყაზარმა 40 კაცისათვის და დროებითი კარავი 120 სეზონო მუშისათვის.

სახმედვაჭრობა

ფინანსთა სახალხო კომისარიატის გამოანგარიშებით 1926-27 წლის სავაჭრო ოპერაციებიდან საქართველოს სახელმწიფო მედიკამენტებით ვაჭრობის სამართველოს დარჩა მოგება 76.000 მანეთი. ამ თანხიდან მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელ ფონდის სასარგებლოდ გადაიდება 7.300 მანეთი, სათადარიგო ფონდში გადაირიცხება 14.600 მანეთი, სოფლად საექიმო დახმარების გასაფართოებლად—36.500 მან. და სხ.

ტრავმატიზმის წინააღმდეგ

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით დაარსდა ტრავმატიზმთან (წარმოებაში უბედურ შემთხვევებთან) მებრძოლი კომისია, რომელშიაც შედიან შრომის სახ. კომისარიატის, შრომის დაცვის, სოცდაზღვევის კომიტეტის, პროფკავშირთა საბჭოს, სახ. მეურ. უმ. საბჭოს და ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის წარმომადგენლები და უფროსი ტექნიკური ინსპექტორი და უფროსი სანიტარული ინსპექტორი.

განსახკომში

◆ **აღრიცხვა.** განათლების კომისარიატი შეუდგა სასკოლო ჰასაკამდე აღზრდის ორგანიზაციების და საბავშო სახლების აღრიცხვა-გამოკვლევას.

◆ **რაიონული კონფერენციები.** მთელ საქართველოში დასრულდა მასწავლებელთა რაიონული კონფერენციები.

მიწსახკომში

◆ **ჯიშიანი ცხვრების** მოსაშენებელ ფერმა „უდაბნოსათვის“ შეძენილი იქნა 4000 თუშური და მერინოსის ჯიშის ცხვარი.

◆ **დაჯილდოება.** მიწსახკომმა გადასდო 3000 მანეთი იმ მეურნეების დასაჯილდოებლად, რომლებიც სანიმუშოთ ეწევიან საქონლის ჯიშის გაუმჯობესების საქმეს.

◆ **წიგნი ვაზის სენების წინააღმდეგ.** მიწსახკომმა გამოსცა წიგნი ვაზის ახალი სენების წინააღმდეგ.

„ქართული მწერლობა“ № 11—12.

გამოვიდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ჟურნალი „ქართული მწერლობა“ ნომერი 11—12.

ჩაუბარებელი დეპეშები

დარკვეთიდან—ჭანტურიძეს, გროზნოდან—ავეტისოვს, ლენინგრადიდან—წერეთელს. ბათუმიდან—კუშელავას, განჯიდან—მარიაზანოვს, ჭიათურიდან—დარახველიძეს, კიევიდან—იბოდინოვს, ჭიათურიდან—იობაშვილს, ცაგერიდან—ფალიაშს, ცხინვალიდან—სანაკოევს, კრასნოდარიდან—ამირხანოვს, სოხუმიდან—სტუდენტ სტიპენდიანტს, ბათომიდან—ცეკმანკს, ცხრამლისხიდიდან—ქილიფთარს, ბაქოდან—ალი-ზადეს, საგარეჯოდან—გალუსტოვს, ერევნიდან—მამიკონიანს.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **თბილისის მუშათა თეატრში.** თბილისის მუშათა თეატრის ქართულ სექტორს 4 იანვრისათვის დასადგმელად განზრახული ჰქონდა პრემიერა „ბრბო“. ტექნიკურ მიზეზების გამო მისი დადგმა გადადებულია 11 იანვრისათვის. 4 იანვარს კი დაიდგმება „ამფეთქებელნი“.

◆ **მოხსენება ძველი ქართული ფრესკების შესახებ.** ოთხშაბათს, 4 იანვარს საღამოს 7 ნახ. საათზე მხატვარ ტოლმაჩევსკაიას სურათების გამოფენაზე პროფ. დ. გორდეევი და სახ. უნ. ასისტენტი შ. ამირანაშვილი წაიკითხავენ მოხსენებას ქართული კედლის მხატვრობის შესახებ.

◆ **ბოროვსკის კონცერტი.** რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში დღეს გაიმართება ცნობილ პიანისტის ბოროვსკის კონცერტი.

◆ **მუშათა თეატრში** რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „ჯენტლმენი“.

შემთხვევები

ელექტრო-მექანიკურ ტრესტის მაღაზიის გაძარცვა

შაბათს, 31 დეკემბერს, ღამით გაქურდეს სახელმწიფო ელექტრო-მექანიკურ ტრესტის მაღაზია (რუსთაველის პროსპექტი). ბოროტმოქმედთა მიერ გატაცებული იქნა რკინის ცალიერი სალარო.

საგუშაგოზე მდგომმა მილიციელმა რუსთაველის პროსპექტზე შრომის სასახლის წინ ღამის სამ საათზე, შენიშნა ორი მოქალაქე, რომელნიც ძლიერ სისწრაფით გადადიოდნენ მახლობელ ქუჩაზე „სამხედრობოზე გასვლის“ მიზნით.

მილიციელმა ორთავე მოქალაქე მიიჩნია საეჭვო პირებათ და ასტეხა სტვენა და ყვირილი.

მილიციელი და მეეზოვე დაედევნენ ბოროტმოქმედებს და გლეხთა სახლის მახლობლად ორივე დააპატიმრეს. ისინი აღმოჩნდნენ ნიკოლოზ კორჩიოვი და არშაკ შახნაზაროვი.

დაპატიმრებულებს აქვთ ჯიბგირობისა და ქურდობის რამოდენიმე რეგისტრაცია.

როგორც გამოირკვა, ხსენებულ პირებმა პირველად მორგებული გასაღების საშუალებით გააღეს მაღაზიის კარები, შემდეგ ამოიღეს მინის კარი და შევიდნენ უკანა ოთახში, სადაც რკინის სალარო იყო.

მაღაზის დღიური ბრუნვა უდრის დაახლოებით 2.000 მანეთს, მაგრამ 31 დეკემბერს ფული შეტანილ იქნა სახელმწიფო ელექტრო-მექანიკურ ტრესტის თბილისის განყოფილების მთავარ სალაროში.

ამგვარად ბოროტმოქმედებმა წაიღეს მხოლოდ ცალიერი სალარო.

გატაცებული სალარო აღმოჩენილია.

თვითმკვლელობა

31 დეკემბერს, ღამით ილიკო ანდრიას ძე დავიდოვმა სიმთვრალის დროს თვითმკვლელობის მიზნით დანით გამოიღადრა მუცელი.

მოქ. დავიდოვი უგრძნობ მდგომარეობაში გადაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

თვითმკვლელობის განზრახვის მიზეზი ჯერჯერობით გამოურკვეველია.

მოკვლის განზრახვა

1 იანვარს, ალაქვერ სადის-ოღლიმ მოკვლის მიზნით დანით მძიმედ დასჭრა მუცელში გასან ახუნდოვი. დაჭრის მიზეზი რომანიულია.

დაჭრა

1 იანვარს, სურენ მანუჩაროვმა ჩხუბის დროს სასიკვდილოთ დასჭრა არტემ გაბრიელოვი (ფოსტის ქუჩა, № 13). ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

როგორც გამოირკვა, მანუჩაროვმა ბოროტმოქმედება ჩაიდინა სიმთვრალის დროს.

ჯიბგირების დაპატიმრება

უკანასკნელ ხანებში „დეზერტირკა“-ს და ცენტრალურ ბაზრებს შეიჩვია ჯიბგირი ქალები, რომელნიც სისტემატიურად ეწეოდნენ მოქალაქეებისათვის ჯიბიდან ფულის ამოცლას.

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ორი ბოროტმოქმედთაგანი. ისინი აღმოჩნდნენ: მარიამ კალანჯა და მარიამ ლუღიკოვა.

ვისია საათი?

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი ქალის ოქროს საათი. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს.ს. მილიციაში, ოთახი ნომერი 7, გ. თუხარელთან.

ბიბლიოგრაფია

სტეფან ცვეიგ—„ამოკ“. თარგმანი ლ. ჯაფარიძისა რუსულიდან. გამომცემლობა „შრომა“, თბილისი 1927 წ.

თანამედროვე ევროპის მწერლობაში ს. ცვეიგი საკმაოდ ცნობილი მწერალია, მაგრამ არც ისე დიდი, როგორც ჩვენში ჰგონიათ. განსაკუთრებით შორს სდგას იგი ჩვენი, პროლეტარული საზოგადოებრიობის ხასიათიდან და მით უმეტეს ამ მუშათა გამომცემლობის („შრომა“) დანიშნულებიდან, რომელსაც იგი გამოუცია. (ცვეიგის ასეთმა გადაჭარბებულმა დაფასებამ კინოში ისეთ სამწუხარო შედეგამდე მიგვიყვანა, როგორიცაა კ. მარჯანიშვილის მიერ დადგმული „ამოკი“).

მაგალითად **პანაიტ ისტრატის**, ამ თანამედროვე „ევროპის მაქსიმ გორკის“ გამოცემა „შრომა“-სთვის დაახლოებით უფრო შესაფერისი იქნებოდა, ვიდრე წმინდა ბურჟუაზიული და დეკადენტური ცვეიგისა, თუ, რა თქმა უნდა ამ გამომცემლობას გეგმა დაუსახავს მუშათა მკითხველისათვის თანამედროვე ევროპის მწერლობის გაცნობა. პ. ისტრატი რომ თავი დავანებოთ, განა ცოტაა სხვა უფრო რევოლიუციონური, თუმცა უფრო „პატარა“ მწერლები?!

თვით „ამოკ“-ი ცვეიგის ნოველებს შორის, ერთი „საუკეთესოთაგანია“, თუ ცვეიგისავე საზომით მივუდგებით. თემა მეტად „ფსიქოლოგიურია“. ევროპის ჩამოშორებული და ბედს მოძულებული გერმანელი ექიმი, შვიდი წელია „კულურ“ და მისთვის მოსაწყენ აღმოსავლეთის კოლონიაში მსახურობს. პირველად ამ შვიდი წლის განმავლობაში ამ უკვე ცნობილ ექიმს ეწვევა ნანატრი თეთრი „ქალი საუკეთესო საზოგადოებიდან“, რომელიც „არაკანონიერ“ პირობებში ფეხმძიმეთაა. საიდუმლოება „კანონიერ“ ქმარიდან დამალულ უნდა იქნეს და ქალიც ცდილობს იყიდოს ექიმი, მეტად სახიფათო და ხელისუფლების მიერ აკრძალული ოპერაციის ჩასატარებლად. ექიმი შეურაცყოფილია ასეთი ვაჭრობით მისი პროფესიით, იმ ქალის მიერ, რომელსაც ის მოეწონა. იგი ცდილობს აიძულოს ეს მდიდარი კომერსანტის ცოლი, რათა მან ადამიანურად სთხოვოს და არა ივაჭროს ოპერაციის შესახებ.

ქალი ამაყია და გარბის. ექიმი გრძნობს დანაშაულს და ამ ქალისადმი სიყვარულით და „ამოკით“ (ტროპიკული ავადმყოფობა!) შეპყრობილი ცდილობს გამოისყიდოს დანაშაული. იგი ცოფმორეული ეძებს შემთხვევას დაეხმაროს ქალს და ამისათვის თავისი ქალაქიდან დაშორებული პლანტაციებიდან საოლქო ქალაქში მისდევს ქალს. დახმარების შემთხვევა ძლიერ გვიან ეძლევა ექიმს, მაშინ, როცა ქალი უკვე კვდება. მაგრამ ექიმი მაინც ერთგულია და თავს იდებს მოვალეობას, დამალოს ამერიკიდან დაბრუნებული ქმარიდან და „უმაღლეს საზოგადოებისაგან“ საიდუმლო, რათა არ იქნეს შეურაცყოფ. მკვდარის „რეპუტაცია“. როცა ქმარს ცოლის გვამი ევროპაში შესამოწმებლად მიჰქონდა, ნეაპოლში ექიმი გადააგდებს ზღვაში კუბოს და თვითონაც გადაჰყვება და იღუპება. ქალის საიდუმლოს ამგვარად ზღვა შთანთქავს.

როგორც ვხედავთ მოქმედება მეტად ეგზოტიურ ფონზეა გაშლილი („აღმოსავლეთი“) და ასეთივე ეგზოტიურ-ტროპიკული ხასიათის პატოლოგიური ავადმყოფობა „ამოკი“ ფსიქოლოგიურ კომპლიკაციამდეა აყვანილი. თვით ექიმის ტიპი საკმაოდ მოძღლილი, დაღლილი, მოქანცული და პოტენციაში არანორმალურია, და ყოველივე ეს მეტად საინტერესოა ევროპის ბურჟუაზიული მკითხველისათვის. როგორც **ეგზოტიზმი**, ისე **პატალოგია** მეტად დამახასიათებელია მსოფლიო ომის შემდეგი ევროპის იდეურად დაცემული, მაგრამ ტექნიკურად ჯერ საკმაოდ ძლიერი ბურჟუაზიული მწერლობისათვის.

პატალოგია, ე. ი. ლტოლვა არანორმალურ-ავადმყოფურისადმი, რაიც რუსეთის მწერლობაში მხატვრული განვითარების მწვერვალზე აიყვანა ფ. დოსტოევსკიმ, ცვეიგის და კერძოთ ამ ნაწარმოების მთავარი მოტივთაგანია. საერთოდ თანამედროვე ევროპის ბურჟუაზიულ მწერლობას დოსტოევსკის გვირგვინი აწამებს. თუმცა ამ მწერლობას დოსტოევსკის შემოქმედების **„სიფილიტიკა“** და არა საზოგადოებრივი მხარე აინტერესებს. ცვეიგი თვითონ ამბობს: „ადამიანებს უცნაური და აჩირებული თვისებებით, შეუძლიათ ჩემში მათი მეცნობის ისეთი სურვილი აღძრან, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდება, თუნდაც, სურვილს ქალისადმი დაუფლებისა“ (დამახასიათებელია, რომ შედარებაც კი აქ. კოროტიულ-არანორმალურია: „თუნდაც, სურვილი ქალისადმი დაუფლებისა“).

მაგრამ „ამოკ“-ში კარგადაა მოცემული საზიზღროება ევროპიული „მაღალი საზოგადოების“ პირმოთნეობაზე და ხიცალებზე დამყარებული „მორალისა“. ქალი სიკვდილზედაც მზადაა, ოღონდ „საზოგადოებამ“ არ გაიგოს, რომ იგი უკანონოდაა ფეხმძიმეთ. კარგადაა აგრეთვე მოცემული (ექიმის სახით) ის ხასიათი დამოკიდებულებისა „თეთრებსა“ და „ყვითლებს“ შორის, რომელიც კოლონიზატორების კულტურულ ხელს დამყარებია.

მიუხედავათ იმისა, რომ „ამოკი“-ს თარგმანი ცუდათ არ არის გაკეთებული, იგი მაინც ვერ იძლევა წარმოდგენას ამ ნაწარმოების იმ მისტიურ „მშვენიერებაზე“, რომელსაც მას ალბათ დედანში (გერმანულად) და ნაწილობრივ რუსულ თარგმანშიაც კი მოიპოვება. ეს იმის ბრალია, რომ ქართულად „ამოკ“-ი თარგმანის თარგმანია. მთარგმნელს კი, რახან სწორედ ასეთი გადმოუთარგმნია, უნდა ეცადა მოეცა ეს „მშვენიერებაც“, რადგან უამისოდ ნაწარმოების შინაარსი ჰკარგავს შესაფერის ფორმას და კოლორიტს. თარგმანი საერთოდ სუსტია და ნაჩქარევია. არის თარგმანში მრავალი ძლიერ ცუდი ადგილები.

პლ. ძიკოძე.

დაწვრილებითი ცნობები

ქობულეთსა და ჩაქვს შუა მომხდარ კატასტროფის შესახებ

31 დეკემბერს, ღამის 11 საათზე და 30 წუთზე ქობულეთსა და ჩაქვს შუა მომხდარ კატასტროფის შესახებ ამიერ-კავკ. რკ. გზ. სამმართველომ მიიღო შემდეგი დაწვრილებითი ცნობები:

სამარშრუტო მატარებელი № 304-ს (ბათომში მიდიოდა თბილისიდან), რომელიც შესდგებოდა 45 ცისტერნისაგან (მათ შორის 12 ცისტერნა ბენზინიანი იყო) ციხის ძირთან დაეჯახა ჩამოშვავებულ მიწის მასა. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ ორთქლმავალი გადაბრუნდა. მისი წინა ნაწილი გადავარდა ფერდობზე, ხოლო უკანა ნაწილი ნახევრად ლიანდაგზე ძევს. კატასტროფის დროს 18 ცისტერნა (მათ შორის 8 ბენზინით დატვირთული) მოსწყდა შემადგენლობას. ეს ცისტერნები ჩაიყვანეს ქობულეთში.

დანარჩენი 27 ცისტერნა დაიმსხვრა. ბენზინის დაღვრის გამო დაიწვა 25 ცისტერნა. ორთქლმავალს ცეცხლი არ გაჩენია. დაიღუპა მეთავე ბზიკაძე. საგრძნობლად დაშავდა კონდუქტორი, რომლის გვარი ჯერ გამოურკვეველია.

კატასტროფის ადგილზე დაუყოვნებლივ გაემგზავრნენ რკინის გზის და ბათომის ქალაქის ცეცხლის მქრობელთა რაზმები. ცეცხლი ჩააქრეს პირველ იანვარს ნაშუადღევს 2 ნახევარ საათზე. ხაზი დაზიანდა ასი მეტრის მანძილზე. ბათომიდან და სამტრედიიდან შემთხვევის ადგილზე გაგზავნეს დამხმარე მატარებლები.

კატასტროფა ისეთ ადგილას მოხდა, რომ მუშაობის წარმოება გზის გასაწმენდათ შესაძლებელია მხოლოდ ქობულეთის მხრიდან. მუშაობის პირობები უაღრესად ძნელია, რადგან განუწყვეტლივ წვიმს და თოვს.

1 იანვარს საღამოსათვის მხოლოდ ათი ცისტერნის დაშლა და აღება შეიძლეს.

მუშაობას ხელმძღვანელობს ამიერ-კავკ. რკ. გზ. გამგეობის წევრი (ტექნიკურ ნაწილში) ინჟ. ბ. ბერიძე, რომელიც შემთხვევის ადგილზე გაემგზავრა 31 დეკემბერს ღამით.

საახალშენო საქმე

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა ახალშენების მოსაწყობად 1926-27 წელში გამოყო მიწის 8 ნაკვეთი, სივრცით 4206 ჰექტარი. ამ მიწებზე დასახლებული იქნება დაახლოებით, 450 უმიწაწყლო გლეხის ოჯახი ამას გარდა 4 ახალშენისათვის გამოყოფილი იქნა 780 ჰექტარი მიწა 97 კომლისათვის.

საახალშენო კომიტეტის ცნობით დღემდე ახალშენებისათვის გამოყოფილ აღნიშნულ მიწებს გარდა, მოწყობილი იქნა 6 ახალშენი. ამ ახალშენებში დასახლებული იქნა 332 კომლი.

1926-27 წლამდი არსებულ ახალშენებში დამატებით ჩასახლებული იქნა 80 კომლი.

არსებულ ახალშენებიდან 7 ახალშენში სავსებით დამთავრებულია მიწათმოწყობა, ხოლო 11 ახალშენში გამოკვლეული იქნა ახლად დასახლებულ 600 კომლის მდგომარეობა, რის შემდეგ 287 კომლს მეურნეობის გასაფართოებლად გრძელვადიანი სესხის სახით მიეცა 36.570 მანეთი, 135 კომლს კი—12.780 მანეთის მოკლევადიანი სესხის სახით.

საძოვრები

მეცხვარეობის განვითარებას საქართველოში ხელს უშლის საძოვრების ნაკლებობა. 1913 წელს საქართველოში 1.854.355 სულ ცხვარზე მოდიოდა 386.000 დესეტინა საზაფხულო და 272.000 დესეტინა საზამთრო საძოვრები. ამ ჟამად კი 1.619.000 სულ ცხვარზე მოდის 117.000 დეს. საზაფხულო და 217.000 დესეტ. საზამთრო საძოვრები. ე. ი. 1913 წელთან შედარებით საზამთრო საძოვრები შემცირდა 20 პროცენტით, საზაფხულო კი 69 პროცენტით. ეს გამოწვეულია მიწების გლეხებზე განაწილებით.

საძოვრების ნაკლებობის გამო საქართველოს მეცხვარეებს ცხვარის გაყვანა მოუხდათ მეზობელ რესპუბლიკებში, სომხეთსა, აზერბეიჯანში და ოსმალეთში. მაგ. „მწყემს“-მა გასულ წელში გაიყვანა—ოსმალეთში—51.000 სული, სომხეთში—70.000 სული და დაღესტანში—100.000 სული ცხვარი. სულ გაყვანილია 221.000 სული. მომავალ წელში ჩვენი საძოვრების განტვირთვის მიზნით, „მწყემსმა“ საზამთროდ იჯარით აიღო ელდარ-სამუხის ველი (აზერბეიჯანში); ამასთან ერთად 1928 წელში საქართველოს საზღვრებიდან გაყვანილი იქნება ნახევარ მილიონზე მეტი ცხვარი.

სასროლო სპორტი

შეჯიბრი საუკეთესო მსროლელზე

7 და 8 იანვარს ფიზკულტურის თბილისის საბჭო აწყობს შეჯიბრს საუკეთესო მსროლელზე. შეჯიბრში მონაწილეობას იღებენ როგორც სამხედრო ნაწილები, ისე სამოქალაქო დაწესებულებები და სასწავლებლები. მონაწილეობის მიღება შეიძლება ჯგუფურად (არა უმეტეს 7 კაცისა ჯგუფში) და ინდივიდუალურად. შეჯიბრში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ქალებსაც.

შეჯიბრის პირველ დღეს, 7 იანვარს სროლა იწარმოებს საგარნიზონო სასროლ მოედანზე (ვაკეში). იარაღათ ხმარებული იქნება სამხაზიანი შაშხანა თოფი. მანძილი დაწესებულია 300 მეტრი.

შეჯიბრის მეორე დღეს, 8 იანვარს, სროლა იწარმოებს ნაგანიდან და „გეკო“-ს სისტემის თოფიდან ამიერ-კავკ. ქვეითა სკოლის ტირში. მანძილი დაწესებულია 20 40 და 75 მეტრი.

გამარჯვებულებს მიეცემათ ძვირფასი საჩუქრები და დიპლომები. საუკეთესო მსროლელთათვის დაწესებულია თბილისის აღმასკომის სახელობის საჩუქარი. საჩუქრები გამოფენილია რუსთაველის პროსპექტზე—„სახელგამი“-ს მაღაზიის ვიტრინაში.

შეჯიბრი იწყება დილის 10 საათზე. დაგვიანებულებს ერთმევათ შეჯიბრში მონაწილეობის უფლება.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 3 იანვარი

დღეს, 3 იანვარს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

მუშა-გლეხთა გაზეთი—რუსულ და ქართულ ენებზე.

მიღწევები მეცნიერებაში და ტექნიკაში—რუსულ ენაზე.

გაზეთი „პროლეტარი“—სომხურ ენაზე.

მოხსენება: სპარსეთის და საბჭოთა კავშირის სავაჭრო ბრუნვა—რუსულ ენაზე.

რა სთქვა მე-15 ყრილობამ ტროცკისტულ ოპოზიციის შესახებ რუსულ ენაზე.

ობსერვატორიის ცნობა.

მუსიკის ახსნა-განმარტება.

კონცერტი. ანდა ტრანსლიაცია.

ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

—:—

ცნობების გადაცემა მოკლე ტალღებით

რადიო ცნობების შორ მანძილზე გადაცემა დღემდე უმთავრესად წარმოებდა დიდი რადიო-სადგურების საშუალებით, რომელთა სიმძლავრე აღწევდა 20—60 კილოვატამდე. ასეთი სადგურები ყოველგვარ გადაცემას ახდენენ გრძელი ტალღებით.

უკანასკნელ ხანებში, როგორც ევროპაში, ისე საბჭოთა კავშირში დაიწყო ცდები მოკლე ტალღების გამოსაყენებლად რადიო ცნობების გადაცემის დროს. ცდებმა დადებითი შედეგები გამოიღეს.

ტექნიკის ამ უკანასკნელ მიღწევას ყურადღება მიაქციეს აგრეთვე თბილისის რადიო სადგურის მუშაკებმაც. ა.-კ. კავშირ-გაბმულობის საოლქო სამართველოს დახმარებით მათ დაიწყეს ერთი კილოვატის სიმძლავრის მოკლე ტალღოვანი გადამცემი რადიო სადგურის აგება. სადგურის აგება დამთავრდება დეკემბერში. პირველი რადიო გადაცემა მოხდა რამდენიმე დღის წინად. ცდები გრძელდება.

ა.-კ. კავშირ-გაბმულობის საოლქო სამმართველოში არსებულ ცნობებით, ცდებმა დადებითი შედეგები გამოიღეს. მოკლე ტალღებით (44 მეტრი) გრძელ მანძილზე გადაცემა კარგად ისმოდა „მატოჩკინ შარ“-ზე (ახალ მიწაზეა—თბილისიდან დაშორებულია 3.700 კილომეტრით) და ნოვოსიბირსკში (თბილისიდან მდებარეობს 3.100 კილომეტრის დაშორებით). როგორც აღნიშნულ ადგილებიდან იტყობინებიან, თბილისის მოკლე ტალღოვანი რადიო-სადგურიდან გადაცემული ცნობები შევრად უფრო კარგათ ისმოდა იქ, ვიდრე გრძელი ტალღებით მომუშავე სადგურებიდან გადაცემული ცნობები.

ავიაქიმში

ავიაქიმის მარში

თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოს მიერ მიღებული და დამტკიცებულია ავიაქიმის მარში. ტექსტი მარშისათვის დაწერილია მწერალ ა. ჟაროვის მიერ.

კონფერენციები

მიმდინარე წლის თებერვლის პირველ რიცხვებში ჩატარებულ იქნა თავდაცვა-ავიაქიმის სამაზრო და საქალაქო კონფერენციები. კონფერენციების მიზანია წარსულ მუშაობის ვადასინჯვა და მომავალ მუშაობის გეგმის შემუშავება.

გამორიცხვა საზოგადოებიდან

თანახმად თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმის დადგენილებისა, ის წევრები, რომლებიც გაურბიან საწევრო გადასახადის შეტანას, გამორიცხულ იქნებიან საზოგადოებიდან.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება № 22

საქ. ს. ს. შრომის სახალხო კომისარიატისა

8 ნოემბრის უქმე და 6 იანვრის დასვენების განსაკუთრებულ დღეებათ გამოცხადების შესახებ

ა.-კ. ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის მიერ 1927 წლ. დეკემბრის 5-ს თარიღით უქმე და დასვენების „განსაკუთრებულ დღეების შესახებ“ გამოცემულ დადგენილების თანახმად და შ. კან. კოდ. 112 მუხ. განსავითარებლად საქართ. ს. ს. რ. შრომის სახკომისარიატი ადგენს:

1. საქართველოს ს. ს. რ. შრომის სახკომისარიატის მიერ 1927 წ. ნოემბრის 11-ს თარიღით და № 18-თ „უქმე და დასვენების განსაკუთრებულ დღეების შესახებ“ გამოცემული დადგენილების 1-ლ მუხლის „ბ“ წერტში დასვენების განსაკუთრებულ დღეთა რიცხვში აღნიშნული „8 ნოემბერი“ გადატანილ იქნეს იმავე მუხლის „ა“ წერტში, ე. ი. უქმე დღეთა რიცხვში.
2. ამავე დადგენილების „ბ“ წერტში აღნიშნული 19 იანვარი გაუქმებულ იქნეს, და მის ნაცვლად დასვენების განსაკუთრებულ დღეთ გამოცხადდეს 6 იანვარი 1928 წ.

საქ. ს. ს. რ. შრომის სახკომისრის მოადგილე: ი. ჭელიძე.

შრომის დაცვის განყ. გამგე ელბაქიანი.

პარტიული კალენდარი

დღეს, 1928 წლის 3 იანვარს, საღამოს 6 საათზე შესდგება პარტგანათლების ქსელის მსმენელთა საერთო საქალაქო კონფერენცია.

კონფერენციის ყველა დელეგატების, უჯრედთა აგიტპროპორგანიზატორებისა და პარტგანათლების ქსელის სასწავლო ერთეულთა ხელმძღვანელების დასწრება აუცილებელია.

დღის წესრიგშია: 1) პარტგანათლების მორიგი ამოცანები საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15-ე ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით; 2) მსმენელთა მოხსენება პარტსკოლებში მეცადინეობის მიმდინარეობის შესახებ.

——

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იტყობინებს, რომ დღეს ა. წ. 3 იანვარს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება არსრაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

——

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ დღეს, 3 იანვარს ხსენებულ განყოფილებაში (ოთახი № 44) ამხ. კვირიკაძესთან:

ივანე ნიკოლოზის ძე ჩხეიძე, პორ. ცანავა, ალექსანდრე ცქიტიშვილი, ივანე ხახაშვილი, ს. ხუციშვილი, დიმიტრი თოფურია, პიმენ ხობაძე, ნიკოლოზ სარქისოვი, ეპიფანე სიამაშვილი, ბაგრატ სიმონგულოვი, ბენიამენ ფხალაძე, ანტონ მაკაბერიძე, ბენია მაღრაძე, გიორგი მთვრალაშვილი, გიორგი ლეჟავა, ვალერიან ლეჟავა, ალექსანდრე ქურხაძე, პეტრე კაჭკაჭიძე, დავით კოპლატაძე, გერასიმე კალანდაძე, დავით მესხი, დავით გაბუნია, მიხეილ სვანიძე, ისონ ნადარაია, ალექსანდრე კვანიშვილი.

უღრმესად დამწუხრებულნი და სამუდამოთ გულმოკლულნი მუდამ ცრემლ შეუშრობელნი: დედა ოლინკა ეგნატეს ასული, მეუღლე ივანე რიაბცოვი და შვილი ლილი, ძმები: იოსები და ვალოდია ქავქარაძეები, დები: ნინო, ლუბა და ჟულეტა; სიძე ვანიჩკა ბუაძე, რძალი ტატია, ძმისშვილები: კაკო, ეთერი და პალიკო, დისწული ლუტუშა ბუაძე აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 28 დეკემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

თინა ბესარიონის ასული
ქავქარაძე-რიაბცოვისა

გამოსვენება მოხდება 3 იანვარს, 3 საათზე პლეხანოვის გამზ. № 10 ბ. № 20 სამოქალაქო პანაშვიდი ორშაბათს, 3½ საათზე. 940

გულდათუთქულნი შვილები შალვა და მირიკა, ძმა რევაზი, ბიძა ტარასი, ბებია ნინო, ბაბუა თედორე [illegible] და მათთან [illegible] ბიები მართა და ბუქუტი ლომაძეები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს მათი უსაყვარლესი [illegible]—

დარეჯანის
(დაჯანიკოს)

უდროოდ გარდაცვალებას, დასაფლავება მოხდა წ. წ. 29 დეკემბერს, ს. ქვენობანის სასაფლაოზე (გურია). 963

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე კასიანე (იგივე განია), დები: ანტონინა, დომნა, ივლიტა შვილებითურთ, აღზრდილი მარიამ გრიგოლიასი; სიძეები: სიმონ ნიკოლოზ-ძე ხამიჩეიშვილი, ანტონ ბოკუჩავა და ლავრენტი ხუნდაძე აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 1927 წ. დეკემბრის 30, გარდაიცვალა მათვის ძვირფასი და დაუვიწყარი

მიხეილ გიორგის-ძე გრიგოლია

რომლის დაკრძალვა მოხდება 1928 წ. იანვრის 5-ს, დღით ხუთშაბათს, სოფ. საჯილაოში. ნ. 433

თბილისის ინდუსტრიალური ტექნიკუმის სტუდენტები უაღრესი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, რომ გარდაიცვალა მათი ძვირფასი ამხანაგი ტექნიკუმის კურს დამთავრებული, გორის ხილის საშრობი ქარხნის ტექნიკოსი

ვლადიმერ ივანეს-ძე
გოგოლაძე

დაკრძალვა მოხდება ქ. ხაშურში ა. წ. 3 იანვარს, დღით სამშაბათს. 955

ღრმათ დამწუხრებული ქმარი ინჟენერი სერგო ემილიანის-ძე ბაშინჯაგოვი, ქალიშვილები: სუსანა, სონია, ასია, რიმა, სიძეები—სერგო მაქსიმეს-ძე ელენტი, ანდრო ფრანცეს-ძე ზენტეკი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ წ. წ. 31 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე უეცრათ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

თაქუი სტეფანეს ასული
ბაშინჯაგოვი

რომლის გამოსვენება მოხდება ა. წ. 4 იანვარს დღის 3 საათზე, (არსენალის ქუჩა № 13) პანაშვიდი სამშაბათს, საღამოს 6 საათზე. 954

ღრმად დამწუხრებულნი მარიამ ზოსიმეს ასული გოგინავა-კალანდარიშვილისა და მათე კონსტანტინეს-ძე კალანდარიშვილი შვილებით და შვილისშვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ სოფ. უშაფათში ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი აღმზრდელი და საყვარელი ბიძა

ბეჟა (ბეჟან) გოგინავა

დაკრძალვა მოხდება იანვრის 3-ს სოფ. უშაფათში 956

არშაკ სარქისის-ძე ჩითაევი აცნობებს ყველა მეგობრებს, რომ უდროოთ გარდაცვალებული

ვასო გიორგის-ძე
ლელაშვილის

დაკრძალვა მოხდება 3 იანვარს, ვერის სომეხთა სასაფლაოზე გამოსვენება დღის 3 საათზე ბელინის ქუჩა № 9. 958

ძმები: ვასილი, დიმიტრი, ილარიონი და იასონ ხახუტაშვილები, დები: ოლღა რუსიშვილისა, დუცა ხახუტაშვილი, ანა ახალშენიშვილისა ოჯახებით, დისწულები: გიგო, სანდრო, შიო, ნინა, კოლა კასრაძეები ოჯახებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 31 დეკემბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი, დიდი მოამაგე

ნატალია გიორგის ასული
ხახუტაშვილი

დაკრძალვა მოხდება 3 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზე კუკიის სასაფლაოზე. წირვა დაიწყება 12 საათ. ამავე სასაფლაოს ეკლესიაში. ნ. 431

სავალდებულო დადგენილება № 129
თბილისის აღმასრულებელ კომიტეტისა
ფუტკრის ავადმყოფობის გავრცელების აცილების შესახებ
ქ. თბილისი 1927 წ. დეკემბრის 2-ს

ქ. თბილისისა და მისი მაზრის ფარგლებში ფუტკრის ავადმყოფობის „სიმყაყე“-ს გავრცელების აცილების მიზნით თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმი ადგენს:

1. ფუტკრის პატრონი თავის საფუტკრეში „სიმყაყის“ შემჩნევისას ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ თბილისის აღმასკომის სადგილ-მამულო განყოფილებას და ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით შეუდგეს დაავადებული ფუტკრის მკურნალობას;
2. სადგილ-მამულო განყოფილებისათვის ცნობის მიწოდებასთან ერთად დაავადმყოფებული საფუტკრეს პატრონი ვალდებულია აცნობოს „სიმყაყის“ გაჩენის შესახებ თავის მეზობელ მეფუტკრეებს, როგორც ქალაქად, ისე სოფლად;
3. სადგილ-მამულო განყოფილება მეფუტკრეებისაგან „სიმყაყის“ გაჩენის შესახებ ცნობას მიღებისთანავე, აგზავნის დაავადმყოფებულ რაიონში მეფუტკრეობის ინსტრუქტორს, რომელიც ვალდებულია მიიღოს ყოველივე ზომები ადგილობრივად ავადმყოფობის მოსასპობად, ხოლო მეზობელ მეფუტკრეებს მისცეს საჭირო ახსნა-განმარტება ავადმყოფობის გავრცელების თავიდან ასაცილებლად. მაგრამ ინსტრუქტორი დაავადებულ ფუტკრის ექიმობას შეუდგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ დასნეულების კერა აღემატება ამ რაიონის საფუტკრეების საერთო რაოდენობის 10 პროცენტს. იმ შემთხვევაში კი, როცა დასნეულების კერა საფუტკრეების საერთო რაოდენობის 10 პროცენტზე ნაკლებია, ინსტრუქტორს უფლება აქვს მოსპოს აღნიშნული საფუტკრე;
4. ის პირი, რომელიც ფუტკარს შეიძენს თავის საცხოვრებელ ადგილის გარედ და აგრეთვე მოისურვებს მის სხვაგან გადაყვანას, ვალდებულია დროულად აიღოს სათანადო ნებართვა თბილისის აღმასკომის სადგილ-მამულო განყოფილებიდან. ამ მუხლში აღნიშნული ნებართვის გარეშე ფუტკრის ადგილიდან ადგილზე გადაყვანა აკრძალულია;
5. „სიმყაყით“ დაავადებულ საფუტკრედან ფუტკრის ძველი ოჯახის ან გუნდის ყიდვა-გაყიდვა აკრძალულია. აგრეთვე აკრძალულია დაავადებულ რაიონებში საფუტკრე ინვენტარით კოლექტიურად სარგებლობა;
6. საფუტკრეს პატრონი ვალდებულია დაუშვას თავის ფუტკრის დასათვალიერებლად როგორც თბილისის აღმასკომის სადგილ-მამულო განყოფილების ინსტრუქტორი, ისე რაიონული აგრონომი ან ინსტრუქტორის რწმუნებული ექსპერტი;
7. ბაზარსა და მაღაზიაში თაფლის გაყიდვა შეიძლება დოლბანდით ან ბადით დახურულ ჭურჭლით, ჭურჭელს გარედან არ უნდა ეცხოს თაფლი;
8. ის პირი, რომელიც ეწევა სანთლის ხელოსნურად დამზადებას, ვალდებულია სანთლის ყველა ანაყარი დასწვას ან ჩაფლას მიწაში;
9. ამ სავალდებულო დადგენილების შეუსრულებლობისათვის დამნაშავე ადმინისტრატიული წესით დაპატიმრებული იქნება ან გადაგზავნილი იძულებითი სამუშაოზე ორ კვირამდის, ან დაჯარიმებული 50 მან.;
10. ამ სავალდებულო დადგენილების შესრულების მეთვალყურეობა ეკისრება მიწათმოქმედების ადგილობრივ ორგანოებს, მილიციას და თემაღმასკომებს;
11. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის ორი კვირის შემდეგ დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

თბ. აღმ. თავმჯდომარის მაგიერ **ვ. მესხი.**

აღმასკომის მდივანი **დ. თხილავა.**

ნ. 432



მოითხოვეთ ახალი წიგნები

1. **აკაკი წერეთელი**—რჩეული ნაწერები. ლირიკა ს. გორგაძის და ალ. აბაშელის რედაქციით. [illegible] 3 მ.
2. **შიო არაგვისპირელი**—რჩეული მოთხრობები [illegible] ფასი—3 მ.
3. **ი. დავითაშვილი**—ლექციები [illegible] და [illegible] გვ. 400 +VIII ფასი 2 მან.
4. **ი. გედევანიშვილი**—მოთხრობები. გვ. 246. ფასი—1 მან. 50 კაპ.

ნ. 429

ცირკი „კოლოს“
ტელ. 8—64
ნ. 430 3—1

სამშაბათს—3. ოთხშაბათს—4 და ხუთშაბათს 5 იანვარს
საახალწლო სანახაობანი
ფართო გაძლიერებული პროგრამით ყველა ატრაქციონები!!
ჟანრის ყველა სახეები
3 განყოფილება 14 ნომერი დამსახურებულ არტ. ძმ ტანტების მეთაურობით დასაწყისი საღ. 8½ საათზე
ანონსი: ეწყობა ძმ. ტანტების საღამო
ყოველ დღე ჩამოდიან ახალი ატრაქციონები
დირ ი. ზ [illegible] რწმუნებ. [illegible] ადმინისტრატ. მ. ტატი

აპოლო სოლეი
მსოფლიოში განთქმული ხატვრული სურათი
„ვარიეტე“
მთავარ როლებში:
ლია დე-პუტი და ემილ იანინგსი
რეჟისორი დიუპონი

არფასტო
დადგმის მე-2 კვირა
მხატვრული შედევრი
მონტე-კარლო
აღსასრული
მთავარ როლებში:
ფრანჩესკა ბერტინი
და ჟან ანჟელო

დარჩაზი
„სამლკთო
ბრილიანტი“
3 და 4 სერია ერთად
მთავარ როლში:
პირლ უაიტი

ანონსი: საქართ. სახკინმრეწვის უახლოესი გამოშვება „მთის კანონი“.

ექიმი
კ. ს. ფოფ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სისივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 1 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღ. 7—8 საათამდე 25—

ექიმი
არტ. ს. ვადაჭკორია
ღებულობს ავადმყოფებს დილაობით 9—12 საათამდე, საღამოთი 4—6 საათამდე. ლენინის ქ. № 35, ყოფ. ოლღას). 13—1

ექიმი
პ. ი. მგალობლიშვილი
სპეციალობა: კანის და ვენერიული დაავადებანი ათაშანგი ავადმყოფების მიღება: დილით 8—9 ს. საღამოთი 5—7 ს. ლენინის ქუჩ № 3. [illegible] სახლი) ბინა № 2. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელ. 12—6

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი.
სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) ვერისხიდთან. ტელ. № 15 № 07—8

ბათომის აღმასკომის კომუნალური განყოფილება 1928 წლის 6 იანვრისათვის,
დღის 12 საათზე ბათომის აღმასკომის დარბაზში
ნიშნავს საჯარო ვაჭრობას
რომელზედაც იჯარით გაიცემა, ქვაფენილის დაგების სამუშაო—ხრეშით—ქ. ბათომში, არტილერიის გზატკეცილზე.

პირობებისა და ხარჯთ-აღრიცხვის გაცნობა შეიძლება სამუშაო დღეებში დილის 9 საათიდან დღის 2 საათამდე სამშენებლო ქვე-განყოფილებაში (ოთახი № 13), სადაც აგრეთვე საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე მიიღება განცხადებები დაბეჭდილ კონვერტში.

კომუნალურ განყოფილების გამგე ჯ. ფილავა.
სამშენებლო ქვეგანყ. გამგე ე. ხვედელიძე.
ნ. 425 3—1 საქმის მწარმოებელი ტყეშელაშვილი.

თელავის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
გ. ზ. ყარასაშვილი.

ამით აცხადებს, რომ 7 იანვარს 1928 წელს, სოფ. ურიათუბანში, დილის 10 საათზე, ილია დათუნაშვილის ეზოში, იქნება **საჯარო ვაჭრობა** მისი, დათუნაშვილის ქონებისა, შემდეგი: მაგიდა, ღვინის გადასაღები მანქანა, არაყის გამოსახდელი ქვაბი, ხუთი „ბოჩონკა“, 13 გეჯა ფუტკრით და ფიცრები შეფასებული 365 მან., დასაკმაყოფილებლად ვლადიმერ ბრაგვაძეს ვალისა—475 მან. 40 კაპ. და ხარჯებისა 24 დეკემბერს 1927 წ. ნ. 434

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, კოლონოვის ქ., № 20 25—1

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 8—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი მეგრაბიანცი
ფილტვების, ძვლების და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონნოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩა 25—1

ექიმი ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.). ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—7

ექ. თოდაძე
დაბრუნდა საზღვარ გარედან და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეც. უროლოგია (თირკმელები, საშარდე ბუშტი, სასქესო ორგანოები და სხ.) ქირურგია. ცისტოსკოპია. დიატერმია (ახალი კაბინეტი). მიღება 5—7 საათამდე ბელგიის ქ. № 1. 13 1

ექ. ს. ი. ვოლოხი
ქალთა სნეულებანი და ბებიობა მიღება საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა ბელგიის ქ. № 5 რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) ახლოს. ტელეფონი 10—80. 25 - 1

მედიც. დოქტორი
გ. ა. ასვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—1

ექიმი
იონა გაბიჩვაძე
პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი 65 ვენერიული და კანის ავადმყოფობანი სიფილისი და მისი შედეგები. დილით 7—8 ნახ. ს. საღამოს 5 8 ს. 25—1

ზოგვის თემ-აღმასკომის მიერ სოფ. ლახჩუთის ცხოვრებ თამარა ბაბლოს ასულ გოგეშვილის (წილოსანისა) სახელზე გაცემული მოწმობა 1927 წ. 26 ნოემბ. თარიღით № 266 ჩაითვალოს გაუქმებულად.
ზოგვის თემ-აღმასკომი 953

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი ფორმა № 4 ლევან ეგ. ნასიძის სახელზე, ჩ. გ. 962

დაიკარგა განათლების კავშირის საწევრო წიგნაკი ანასტასია ნოეს (იგივე ნესტორი) ასული გეგენავას სახელზე, ჩ. გ. 961

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 4832 სამსონ ავდოევის სახელზე, ჩ. გ. 961

დაიკარგა კოოპერატივის წიგნაკი № 426 ვასილი სააკაძის სახელზე, ჩ. გ. 960

დაიკარგა საპენსიო წიგნაკი № 8202 გაცემული იოაკიმ გაბრიელისძე კობახიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 426

დაიკარგა ზონის ინდუსტრიალის ტექნიკუმის საზეიკლო სახელოსნოს მეორე ჯგუფის დამთავრების მოწმობა № 49 გიორგი ივანეს ძე რუხაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 426

დაიკარგა ორი ცალი ოცი თუმნის ჩარბოწერილი თამასუქი ბლანკი ხელ მოწერილი ნიკიფორე ნემსაძის და ილარიონ შიშინაშვილის მიერ პეტრე იოაკიმეს ძე ტალახაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 426

დაიკარგა პირადობის მოწმობა და მანდატი ზესტაფონის ხელოსანთა კავშირის გალაკტიონ ივანესძე გოცაძის სახელზე, ჩ. გ. 959

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 7864 რაისა ქარციძის სახელზე, ჩ. გ. 957

დაიკარგა ქ. ზონის ყოფილი სახელოსნო სასწავლებლის კურს დამთავრების მოწმობა № 244 | 165 შალვა იესეს ძე ლომთაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 435

დაიკარგა პირადობის [illegible] სახელზე, ჩ. გ. ნ. 435

დაიკარგა პირადობის მოწმ. და სამხედრო [illegible] სახელზე, ჩ. გ. ნ. 435

დაიკარგა აღმასრულებელი ფურცელი № 163—№ 37 გიორგი [illegible] სახელზე, ჩ. გ. ნ. 435

[illegible] ქ. № 68